სიმონ ხუნდაძე

ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1927

8/XI — 26. ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრ. 1-ლი სტამბა, პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტი № 1547. შეკვ. № 1378/189. ტირაჟი 2000.

ავტორისაგან.

ამ წიგნაკში მოთავსებული არის ჩემი ორი წერილი. რომელიც წინასწარ გამოქვეყნებული იყო გაზ. „კომუნისტის" ფურცლებზე.

პირველი წერილი შევსებული იბეჭდება. ხოლო მეორე — უცვლელად. ორივე წერილი ერთ უმთავრეს თემას ეხება — ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ფიზიონომიას მე-19-ე საუკუნეში. მეორე ნაწილი — **ქართული მენშევიზმი და მისი სოციალური საფუძვლები** — არსებითად ეხება ამ მომდინარეობის წარმოშობის საკითხს და იმ პერიოდს. როდესაც მენშევიზმის წინამორბედნი ისახებოდნენ და ვითარდებოდნენ ჩვენი ცხოვრების საზოგადოებრივ ფონზე. ეს ხანა არის მე-19-ე საუკუნის 90-იანი წლები: ამ ეპოქაში ჩაისახა და ძირეული საფუძველი ჩაეყარა ქართულ მენშევიზმს. ხოლო შემდეგში იგი ამავე საფუძველზე აეგო და გარკვეულ პოლიტიკურ სისტემაში ჩამოყალიბდა: საფუძვლები დარჩა ძველი. ხოლო ფორმები შეიცვალა. ამიტომ ამ წერილს უახლოესი კავშირი აქვს მე-19-ე საუკუნის ქართველ ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური ფიზიონომიის შესწავლის საკითხთან.

პირველი წერილი ეხება ქართველი ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნების ვითარების საერთო ფონს მე-19-ე საუკუნეში.

მკითხველს ვთხოვთ არ დაიეიწყოს: წერილები კონსპექტიურად და ზოგადად ეხება იმ საკითხს. — ქართული

საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუციას, – რომელიც უფრო ღრმა და სერიოზულ შრომას თხოულობს. საფეილეტონოდ—დაწერილ წერილებში ამ საკითხის განხილვა შესაძლებელი არის მხოლოდ კონსპექტიურად. ამიტომაც წერილებში ინტელიგენციის ფიზიონომია უფრო „პროფილებში" არის გაშუქებული, ვინემ სრული სახით.

ოქტომბერი. 1926 წ. ქ. ტფილისი.

ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური იდეალები მეცხრამეტე საუკუნეში

(კონსპექტიური ნარკვევი)

I. საქ. საერთო სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ვითარება მე-19-ე საუკუნეში.

ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნების შემუშავებაზე მე-19-ე საუკუნეში სამი დიდი ფაქტორი ახდენდა გავლენას: ა) საქართველოს ეკონომიური წყობილება. მისი სამეურნეო სტრუქტურა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული სოციალური კლასები (ან წოდებები); ბ) რუსეთის შემოსვლა საქართველოში და მისი სოციალ-პოლიტიკურ სისტემის შედეგები ჩვენი ქვეყნისათვის; გ) საქართველოს დაახლოვება რუსეთისა და ევროპის კულტურასთან.

ამ სამი დიდი ფაქტორის ქვეშ და მათი ზეგავლენით შემუშავდა ქართველი ინტელიგენციის ფსიქოლოგია. მისი სოციალ-პოლიტიკური კრედო.

პირველი ამ სამ ფაქტორთაგანი დასაყრდენი ბაზა იყო ინტელიგენციისათვის. ვინაიდან ეს უკანასკნელი არა ზეკლასიური ან კლასთა გარეშე მდგარი სოციალური ძალა არის. არამედ შვილი განსაზღვრული კლასისა და ინტელიგენციაც თავის საარსებო საკვებს იმ კლასის წიაღიდან ღებულობს. რომელიც მის მშობლიურ სოციალურ საშოს წარმოადგენს.

მაგრამ ვიკითხოთ: რაში გამოიხატებოდა ძირეული შინაარსი ზემოდ აღნიშნულ ფაქტორების და როგორ ახდენდენ ისინი გავლენას ქართველი ინტელიგენციის აზროვნებაზე მე-19-ე საუკუნეში. მოკლედ ამ ფაქტორების შინაარსი შემდეგში გამოიხატებოდა:

მე-18-ე საუკუნის გასულამდე. საქართველოს **ეკონომიური სტრუქტურა** ნატურალურ სამეურნეო სისტემაზედ იყო აგებული. სამოქალაქო ცხოვრებამ, აღებ-მიცე-

ბობამ. შექმნილ ობიექტიურ პირობების გამო, საქართველოში ვერ მოიპოვა შესაფერი ნიადაგი. **პოლიტიკურად** საქართველო დანაწილებული იყო სამეფოებად და სამთავროებად. რუსეთის შემოჭრამ (1801 წ.) საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში, გარდა პოლიტიკური ფეოდალიზმის აღმოფსვრისა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წარმატების საქმეზედაც. საქართველოში შემოიჭრა რუსეთის საავჭრო და სამრეწველო კაპიტალი და შეარყია მისი პატრიარქალური მყუდროება. ლეგრადაციის გზაზე დაიყენა ჩვენი ნატურალური მეურნეობა. უკვე მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევრის მეორე პერიოდიდან საქართველოში საკმაოდ შეირყა ნატურალური მეურნეობა და ფულის ტრიალი დაწესდა; ხოლო ვორონცოვის მმართველობის (1844 — 54 წ.). რომელიც. ამბ. მ. პოკროვსკის თქმით, რუსეთის საავჭრო კაპიტალის წარმომადგენელი იყო ამიერ-კავკასიაში. მისი სამეურნეო და კულტურული პოლიტიკით ჩვენში სამოქალაქო ცხოვრებამ და ვაჭრობამ საკმაოდ წასდგა ფეხი წინ. ამრიგად გასული საუკუნის მე-50-ე წლებში ე. ი. ბატონყმურ საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის ხიშტებზე დაყრდნობილი რუსეთისა და ადგილობრივი კაპიტალი არღვევდა ჩვენი ცხოვრების სამეურნეო ფორმებს.

ამ ნარკვევის ფარგლებში შეუძლებელი არის საკმაოდ გამორკვეული იქნეს კაპიტალისტური ფორმების შეჭრის პროცესი და ტემპი ჩვენი მეურნეობის საშოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ზოგადი ხაზებით კი ამის აღნიშვნა აუცილებელი არის. თუ ინგლისის. საფრანგეთისა და გერმანიის სამეურნეო ცხოვრების განვითარების ისტორიას გავითვალისწინებთ დავინახავთ. რომ კაპიტალისტური ეკონომიკა ორი ფორმით ან გზით ვითარდებოდა ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს და მის წიაღში: ერთის მხრით **სოფლის მეურნეობის** ზოგიერთი დარგები. განსაკუთრებით კი ისეთი დარგები. რომელთაც მნიშვნელობა ჰქონდათ საერთო წარმოებისა და ვაჭრობისათვის. მიზნად ისახავდენ ვაჭრობის. გაცვლა-გამოცვლის მიზნით. ზედმეტი საქონლის დამზა-

ლებას და ურთიერთობა ჰქონდათ დამოკიდებული სავაჭრო ბაზრებთან და წარმოების მეთაურებთან. ამრიგად ეს დარგები სასოფლო მეურნეობისა ეწყობოდა კაპიტალისტურ ნიადაგზე და ვაჭრული მიზნებით იყო გატაცებული. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის საერთო ცხოვრებისათვის: **ეკონომიურად** ნატურალური მეურნეობის გვერდით და მის საწინააღმდეგოდ სოფლის ეკონომიკის საშოში ისახებოდა სავაჭრო კაპიტალისტურ ნიადაგზედ აღმოცენებული სამეურნეო ფორმა; **სოციალურად** კი ეს მოვლენა იწვევდა ძველი მემამულეთა ნაწილის ახლად აღმოცენებული კლასის—**ბურჟუაზიის** ბანაკში გადასვლას ან გადახრას. მეორეს მხრივ კაპიტალისტური ეკონომიკის ფორმები ეწყობოდა და ვითარდებოდა ქალაქებში ვაჭრობისა და წარმოების ახალი სხვადასხვა ფორმის განვითარების სახით. შეიძლება ითქვას, რომ მინიატურაში და მცირედი სახით სავაჭრო-საგრეწველო კაპიტალისტური ეკონომიკა ორივე ზემოდ აღნაშნული გზით შეიჭრა ჩვენს მეურნეობაში ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარშივე. რომ საკითხი სათელი გახდეს აკვიდოთ მხოლოდ თამბაქოს მოყვანის საქმე და მასზე დამოკიდებული თუთუნის წარმოება. მეურნეობის ამ დარგს 40-იან და 50-იან წლებში დიდი ყურადღება მიაქცია ვორონცოვმა. თავის მოხსენებაში ვორონცოვი სწერდა, რომ თამბაქოს მოყვანის გაუმჯობესების მიზნით საზღვარგარეთიდან, განსაკუთრებით კი ამერიკიდან გამოწერილი იქნა თესლი, შედგენილი იქნა შესაფერი სახელმძღვანელო და აგრეთვე ჰამბურგიდან გამოწერილი იქნა სპეციალისტი თამბაქოს საქმისა. როცა ეს ადამიანი გადავიდა ტფილისში ახლად დაარსებულ სასოფლო მეურნეობის საზოგადოების განკარგულებაში. ეს სპეცი (მარტი მიხაილი) ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა ამიერ-კავკასიის ფარგლებში და ადგილობრივ მეთამბაქოებს ასწავლიდა თამბაქოს კულტურის საქმეს. გარდა ამისა ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა რუსეთში ჩვენებური თუთუნის გავრცელების საქმის მოგვარებას, ხოლო ხონში რუსეთის ფაბრიკანტების

კარხანით დაწესებული იქნა ყოველწლიური თუთუნის ბაზრობა. ამ სამეურნეო პოლიტიკას ჩვენში თავისი ნაყოფი გამოუღია; „ძოხსენების" გადმოცემით, საქართველოში აღმოჩნდა „მრავალი მეურნე, რომელთაც მოისურვეს თამბაქოს მოყვანის საქმის გაუმჯობესება, და 40-იან წლების დასასრულში ამიერ-კავკასიის სხვადასხვა მხარეებიდან წარმოდგენილი იქნა გავანისა და მერელანდის თესლის ძლიერ კარგი ხარისხის დაწმენდილი თამბაქოს ნიმუშები, განსაკუთრებით კარგი იყო ლენქორანის თამბაქო დუდი-ნისაგან და თავ. დ. ორბელიანისა ბორჩალოს მაზრიდან. თამბაქოს ეს ნიმუშები სრულსა და დამარწმუნებელ იმედს იძლევიან, რომ რამდენიმე წლის შემდეგ თამბაქოს მოყვანის საქმე სწრაფად განვითარდება და მიიზიდავს ქვეყანაში მნიშვნელოვან კაპიტალს". ასე სწერდა ვორონცოვი. თავის მოხსენებაში 50 წლის დასასრულს. რასაკვირველია. მეფისნაცვლის ეს პროცენტიანი „დამარწმუნებელი იმედი" არ გამართლდა, მაგრამ მისმა პოლიტიკამ მაინც გამოიღო შესაფერისი ნაყოფი. 1865 წელს გაზ. „**კავკაზის**" ფურცლებზე **ნ. ზეიდლიცი** გადმოგვცემს, რომ 60-იან წლების დასაწყისში თამბაქოს მოყვანის საქმე საქართველოში გამოცოცხლდა: 1863 წელს სილნაღის მაზრაში თავ. თორნიკე ანდრონიკოვმა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია თამბაქოს მოშენების საქმეში. „მისმა წარმატებამ იმდენად წაახალისა კახელების წამოწყების სურვილი, რომ შემდეგ წელს (1864 წ.) 200 მეტი მემამულე (Поменщик) და გლეხი გაყვა მის მაგალითს. მათ არ გასჭირვებიათ აგრეთვე მუშების ძებნაც. მათი (მუშების) მოყვანა აღარ შეიქნა საჭირო ტრაპეზუნდიდან; ისინი (მუშები) თვითონ მოდიოდენ მუშაობის წინადადებით მემამულეთა სასარგებლო პირობებში... 1864 წელს კახეთში მოყვანილი იქნა 10.000 ფუთზე მეტი თამბაქო. რომლის ნაწილი გაიყიდა ტფილისში 9 მან. 20 კაპ. ფუთი. რომ ამ საქონლით არ გაევსოთ ადგილობრივი ბაზრები. სილნაღის ზოგიერთმა მემამულეებმა გააგზავნეს თამბაქოს დიდი

ტრანსპორტი მოსკოვში, სადაც მათ იმედი ჰქონდათ ამ საქონლისათვის ეპოვათ ახალი და სასარგებლო ბაზარი". *).

ჩვენ განსაკუთრებით მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ზეიდლიცის ცნობებზე; ეს ცნობები ნათლად გადმოგვცემს ჩვენ იმ პროცესს. თუ როგორ ხდებოდა ჩვენი სასოფლო-მეურნეობის საშოში კაპიტალისტური ეკონომიკის ფორმების შეჭრა: ძველი მემამულე, რომელსაც წინად ვაჭრობის სცხვენოდა, აღნიშნულ პერიოდში თავის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს სავაჭრო მიზნებით აწყობს და თამბაქოს მოყვანის საქმეში ევროპიულ კულტურასაც იშველებს: იგი აღარ კმაყოფილდება ტფილისის ბაზრით და მოსკოვისაკენაც მიეშურება დიდი ტრანზიტით თამბაქოს ზედმეტ ფასებში გასაყიდათ: მას ეშინია არ გაავსოს ადგილობრივი ბაზრები საქონლით და გარეშე ბაზრების დაპყრობისაკენაც მიიწევს. მაგრამ არა მარტო ამ მომენტში მოსჩანს კაპიტალისტური ეკონომიკის ფორმები: თვით წარმოების პროცესში. ამ შემთხვევაში კახეთის დოვლათიან მინდვრებზე. ჩვენს წინ სდგას არა ბატონი და ყმა. არამედ „**კაპიტალისტი**" — **მემამულე** და **შრომის გამქირავებელი თავისუფალი მუშა.** ცხადია, რომ თათქარიძეების გვერდით ჩვენი ცხოვრების ეკონომიურმა გავითარებამ ახალი **ტიპის მემამულეც** წარმოშვა: მცირე რიცხოვანი ვაჭრობით და წარმოებით დაინტერესებული კადრი მიწისმფლობელთა და გაკულაკებულ გლეხობისა... ამ კადრს თავისი იდეოლოგიც გაუჩდა ალ. ორბელიანის სახით 50-იან წლებში. ამაზე ქვევით. ეს პროცესი მემამულეთა სავაჭრო ურთიერთობით გატაცებისა განსაკუთრებულის სიძლიერით განვითარდა ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ. ჩვენმა მემამულეებმა ყმების ხელიდან გამოცლის შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო შემოსავლის გადიდებისა ვაჭრობაში დაინახეს. აი მაგ. როგორ ასაბუთებდა 80-იან წლებში კახეთის თავადაზნაურობა კახეთის რკინის გზის გაყვანის საარგებლობას გზათა მინისტრისადმი მირთმეულ მოხსენებაში.

---

*) იხ. **Ст. Гулишамбаров:** „Обзор фабрик и заводов тифлисской губернии". **გვ. 19 — 21," 1888 წ.**

ილია ჭავჭავაძის გადმოცემით ამ მოხსენებაში თავადაზნაურობა სწერდა: „რადგანაც რკინის გზები გაყავთ ერთისა და ორის წლისათვის კი არა, არამედ სამუდამოდ, ამიტომაც მის შესატყობლად თუ — რა გამორჩომა ექნებოდა კახეთის რკინის გზას, დროებით ვითარებას კი არ უნდა შეაჩერდეს კაცი. არამედ მას რაც სამუდამოს ძალნონეს წარმოებისას შეადგენს. ამისათვის საფუძვლად მიღებლი უნდა იქნენ იგი თვისებანი ჰავისა და მიწისა, რომელთაც ერთად კრება ამცნებს კაცს. ქვეყანას რა წარმოება შეუძლიან და რა არა. **ამ ჰავისა და მიწის ბუნების თვისებასთან ერთად იმედი ნაწარმოების ადვილად გასაღებისა თითქმის ერთად-ერთი მიზეზია, ერთად-ერთი სათავეა ეკონომიურ ცხოვრების განვითარების, ყოველგვარ საწარმოებელის აღორძინებისა და განვითარებისა. გაუხსენით კარგი, ხასწრაფო და იაფი გზა და მაშინ ქვეყანა რის შემძლებელიც არის, უეჭველათ ყოველისფერს შექმნის ადრე თუ გვიან“.** (იხ. „ივერია“ № 10. 1883 წ. გვ. 1[illegible]9).

ეს ცნობები ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორი საბით შეიქრა ვაჭრული — კაპიტალისტური სულისკვეთება ჩვენს მემამულეთა სფეროებში, როგორც ბატონ-ყმობის გადავარდნამდე, ისე მის შემდეგაც.

მაგრამ კაპიტალისტური ეკონომიკა ჩაისახა არა მარტო სოფლად, არამედ უმთავრესად ქალაქშიაც. მაგ. თამბაქოს მოყვანის გაფართოებას სოფლად თან მოყვა თუთუნის საწარმოო ფაბრიკების გახსნა ქალაქებშიაც. ტფილისში გახსნილი იქნა 1852 — 1886 წლების განმავლობაში თუთუნის მრავალი ფაბრიკა. ხოლო კონკურენციის გამო მრავალი მათგანი დაიღუპა. მხოლოდ 8 დიდ ფაბრიკას დარჩათ ძალა-უფლება. მათ შორის პირველი გახსნილი იყო 1852 წ; მეორე — 1858 წ; მესამე — 1878 წ; მეშვიდე 1873 წ; მეხუთე — 1873 წ; მეექვსე — 1878 წ; მეშვიდე — 1879 წ; მერვე — 1886 წ. (იხ. გულიშამბაროვის დასახელებული შრომა — გვ. 26). ზემოდ მოყვანილი ცნობები მხოლოდ თამბაქოს წარმოების შესახებ დაახლოებითი სა-

ხით იძლევიან იმას: თუ როგორი იყო ჩვენი სამეურნეო ცხოვრების სახე მე-19-ე საუკუნის 60-იან წლებამდე.

ეს იყო, ასე ვსთქვათ, პერიოდი ნატურალური და სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის სამეურნეო ფორმების ბრძოლისა, რომლის დროსაც პირველი თანდათან ირღვეოდა და მცირდებოდა, ხოლო მეორე კი ძლიერდებოდა. ბატონ-ყმურ მეურნეობის დეკადანსმა (დაცემამ) საქართველო დააყენა მე-50-ე წელში სამგვარი სახის მეტად მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტის წინაშე:

ა) ეკონომიურად დაცემის გზას დაადგა გაბატონებული წოდება — თავადაზნაურობა: საქართველოში მომხდარ სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებების გამო. ჩვენმა ბრწყინვალე წოდებამ დაკარგა თავისი ძველი სოციალური ფუნქციები და ცხოვრებისათვის ზედმეტ ელემენტად გადაიქცა. მე-19-ე საუკუნემდე. დაუსრულებელი ომიანობის გამო. ეს წოდება დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის დაცვის საქმეში. როდესაც მოისპო ეს ომები რუსეთის დამკვიდრებით ამიერ-კავკასიაში ამ წოდებასაც გამოეცალა ნიადაგი და იგი საერთო ცხოვრების ვითარებაში ვეღარ ასრულებდა პროგრესიულ დანიშნულებას. ლუარსაბ თათქარიძენი სწორედ ამ ეპოქაში უნდა აღმოცენებულიყვნენ. ეკონომიურად ფეოდალური არისტოკრატია მძიმე ტვირთად დააწვა კისერზე გლეხობას. განსაკუთრებით სავაჭრო კაპიტალის შემოჭრამ საქართველოში და ვორონცოვის ეკონომიურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ამ წოდების დაცემას და დიფერენციაციას და როგორც დავინახეთ, ვაჭარ-მემამულის ტიპიც ჩაისახა. ამ ფონზედ უალრესად გამწვავდა წოდებათა შორის ბრძოლა მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში და ეკონომიურად დაჩაგრულმა გლეხობამ — ყმებმა **იარაღით ხელში** მოინდომა თავისი პირობების გაუმჯობესება. მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევრის **გლეხური რევოლიუციები** ჩვენში გამოხატავდენ ბატონ-ყმურ ურთიერთობისა და ნატურალური მეურნეობის ღრმა კრიზისს. ბატონ-ყმური ურთიერთობის ფორმა აღარ შეესაბამებოდა ცხოვრების მოთხოვნილებას და მის წინააღმდეგ მახვილი აღმართა დაჩაგრულმა წოდებამ. გაბო. ზა-

ქრო, კაკო ამ ეპოქის ღვიძლი შვილები არიან, გამოსულნი ყველაზე უფრო შევიწროებულ და დამცირებულ სოციალური წრის წიაღიდან, ხოლო არსენა ოძელაშვილი და მიქავა (სამეგრელოს 1857 წლის გლეხური რევოლიუციის გმირი) ნამდვილი რევოლიუციონერები. „...ქვეყანაზედ შეუძლებელი არა არის რა, გულოჯან, **სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება**" ამბობს „სურამის ციხის" (1859) გმირი. ეს გამოხატავდა ბატონყმურ ურთიერთობის ღრმა კრიზისს, ხოლო საერთო დასკვნით კი — ფეოდალური არისტოკრატიის სოციალურ და ეკონომიურ დაცემას.

ბ) სამოქალაქო ცხოვრების განვითარებითა და ფეულის ტრიალის გაფართოებით ჩვენი ცხოვრების ფონზე აღმოცენდა ახალი **საციალური ფენა — მოქალაქე, მოქალაქის წოდება.** როგორც ვიცით, წინა საუკუნეებში, მაშინდელ ისტორიულ პირობების გამო, სამოქალაქო ცხოვრება ვერ განვითარდა ჩვენში და ვერც მოქალაქეთა წოდება ჩამოყალიბდა. ამ მხრივ ჩვენში შექმნილმა პირობებმა და ახალმა ეკონომიურმა გარემოებამ, საგაჭრო კაპიტალის განვითარებამ — ღრმა კვალი დააჩნია ჩვენს ცხოვრებას და ახალი სოციალური კლასი უკვე საგრძნობ ძალად გადაიქცა. **არჩილ ჯორჯაძე** თავის ნარკვევებში სწერს: „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მოქალაქენი ჯერ კიდევ არავითარ ძალას არ წარმოადგენენ. ოცდათიან წლებში გარემოება იცვლება. თავად-აზნაურობა უკვე ღარიბდება და ნელის ნაბიჯით იზრდება ახალი ელემენტი — მოქალაქე. ეს მოქალაქე, უმეტეს შემთხვევაში, სომეხია. თუმცა იმ ხანაში ქართველ და სომეხ მოქალაქეთა შორის დიდი გარჩევა არ იყო"[1]. ეს ახალი სოციალური ფენა — განსაკუთრებით მისი ვაჭრული ნაწილი საგრძნობი ფერადებით აგვიწერა რეალისტურ ლიტერატურის მამათმთავრებმა — **დ. ჭონქაძემ** დურმიშხანისა და **ლ. არდაზიანმა** სოლომონ მეჯღანუაშვილის სახით.

[1]) იხ. არჩ. ჯორჯაძე: თხზულებანი ტ. 5 გვ. 49, 1914 წ.

გ) თანდათანობით ფეხი მოიკიდეს **სოფლის წვრილმა მესაკუთრეებმაც** და გაჩნდა შრომის გამყიდველი ელემენტები მე-19 საუკ. პირველ ნახევრამდე.

ბატონ-ყმობის გადაარღვევამ ჩვენში (1864 წ.) ფართოდ გაუხსნა კარები კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებას. ერთის მხრივ შეიქმნა დამოკიდებული **სოციალური ელემენტი — სოფლის კერძო მესაკუთრე,** რომელიც ორი მხრით უწყობდა ხელს კაპიტალისტურ განვითარებას: როგორც **გამსაღებელი ბაზარი** და როგორც **სამუშაო ძალის მიმწოდებელი;** მეორეს მხრივ რკინისგზების გაყვანამ (1871 წლიდან). ნავთის მრეწველობის (ამიერ-კავკასია), მაგანეცის და ტყიბულის ნახშირის წარმოების გაჩაღებამ. საბანკო სისტემის შემოღებამ. ფართოდ გაუხსნა კარები ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას და 90-იან წლებში საქართველო მჭიდროდ იყო გადაბმული რუსეთთან და საერთაშორისო ბაზრებთან: **ნატურალური მეურნეობა დაჩიავდა, ფულის ტრიალმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა** [3]) საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ასეთ სწრაფ დაწინაურებას მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში თავის შესაფერისი სოციალური შედეგები მოჰყვა: [*]).

---

[*]) 90-იან წლებში **გ. მაიაშვილმა** შემდეგნაირად დაახასიათა ის ღრმა ეკონომიური ცვლილება, რომელიც განიცადა საქართველომ ბატონ-ყმობის გადაარღვევის შემდეგ: „სრულიად ძირეულად შეიცვალა მეურნეობა (ჩვენი) ქვეყნის. ეს მეურნეობა წინად ბუნებრივი იყო. განცალკევებული და ახლა ფულებურია, ახლა საალებ-მიცემო შეიქმნა და დადგა ის მეუფება ფულისა. რომელიც არის ნიშნობრივი თვისება საალებ-მიცემო მეურნეობისა." (იხ. „საქართველოს კალენდარი". გვ. 364. 1890 წ.).

[3]) გულიშამბაროვის ცნობით 1886 წ. მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში 41 სხვადასხვა სამრეწველო დარგებში იყო ფაბრიკა-ქარხნები — 253 (თუ ამას დაუმატებთ ბაღებთან არსებულ ხილის. ღვინის და არაყის ქარხნებს მაშინ იქნება — 590): ამ ქარხნებში რკინის გზის სახელოსნოების გამოკლებით მუშაობდა 3.800 მუშა: კერძო ფაბრიკების და ქარხნების წლიური წარმოება იმავე რკინისგზის სახელოსნოების გამოკლებით უდრიდა — 4.725.791 მანეთს. კერძო ფაბრიკებში და ქარხნებში დადგმული იყო დაახლოებით (შეფასებულია) 53 ორთქლის ქვაბი, 951 საერთო ძალით. (იხ. გულიშამბაროვის დასახელებული შრომა გვ. 228-32).

ა) თავად-აზნაურობის დეგრადაცია გაგრძელდა. მათი ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა საერთო ცხოვრებაში წინანდელთან შედარებით შემცირდა; გაფართოვდა მათი დიფერენციაციაც. აქედან ნაწილმა ქალაქს შეაფარა თავი და ჩინოვნიკობას მიჰყო ხელი (თავად-აზნ. წარმოშობილი ინტელიგენცია), მცირე ნაწილმა ვაჭრობა დაიწყო, ნაწილი კი წვრილ აზნაურთა გაპროლეტარების გზას დაადგა (გაიხსენეთ დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები").

წვრილი აზნაურობის შესახებ აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ამ წოდების დიდმა ნაწილმა მე-19-ე საუკ. მეორე ნახევარში აუცილებლად დაჰკარგა თავისი წინანდელი სოციალური მდგომარეობა და ფუნქციები. **სოფლებში ეკონომიურად დიდი ნაწილი ამ წოდებისა გადავიდა გლეხურ მდგომარეობაში და გაითქვიფა გლეხურ მასაში;** თავისი სოციალური მდგომარეობითა და ეკონომიური ფუხქციებით იგი ისეთივე სოფლის წვრილი მესაკუთრეა, როგორიც გლეხობა. აქ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც თვით გლეხთა სხვადასხვა ფენებს შორის. წვრილი აზნაურობა, როგორც ეკონომიური და სოციალური კატეგორია, მოისპო ან მოსპობის პროცესში იმყოფებოდა, იგი გადაიქცა სოფლის წვრილ მესაკუთრედ და როგორც ასეთი, არავითარ განსხვავებულ ეკონომიურ მდგომარეობით არ სარგებლობდა გლეხებთან შედარებით. რაც შეეხება მეორე ნაწილს ამ წვრილი აზნაურებისა, მან სოფლად მიწა-წყლის დაკარგვითა და ეკონომიური სილატაკის გამო დასტოვა სოფლის პატრიარქალური მყუდროება და ქალაქის ცხოვრებაში გადაეშვა. აქედან ნაწილმა **ფიზიკურ შრომას** მიყო ხელი და მუშათა კლასში გაითქვიფა. ამრიგად ქალაქის ატმოსფერამ და მისმა საწარმოო ურთიერთობამ ახალ სოციალურ ქვაბში გადახარშა ჩვენი წვრილი აზნაურების ნაწილი.

ბ) სამოქალაქო ცხოვრების გაჩაღებამ გამოიწვია ქალაქის მცხოვრებთა ღრმა დიფერენციაციაც: წარმოი-

ძვა ვაჭარ-მრეწველთა კლასი [1]) და ჩამოყალიბდა მუშათა კლასი, პროლეტარიატი; განვითარდა მნიშვნელოვანი წვრილი ბურჟუაზიაც განსაკუთრებით სხვადასხვა წოდებიდან გამოსულ ინტელიგენციის, წვრილ ვაჭრების, ნოქრებისა და სხვათა სახით.

რომ დაახლოვებით წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს ეკონომიურ წარმოების შესახებ ბურჟუაზიული მიმართულებით მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში და იმ სოციალურ დიფერენციაციაზე, რომელიც გამოიწვია კაპიტალისტურ ეკონომიკის განმტკიცებამ ჩვენში, აქ მოკიყვანთ შემდეგ მხოლოდ მშრალ ციფრებს:

1900 წელს ქალ. ტფილისში სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი, რომელნიც ამუშავებდნენ 2—8 მუშამდე უდრიდა 650-ს: ამ დაწესებულებებში მუშაობდნენ — **2.400** სხვადასხვა პროფესიის მოსამსახურენი (მუშები, ნოქრები და სხვ.). იმავე წელში სახელოსნო დაწესებულებათა რიცხვი, რომელნიც არ იხდიდენ სარეწაეო გადასახადს და ყავდათ 1 — 2 მუშამდე უდრიდა — **1.973**.

სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი, რომელთაც ყავდათ ცხრა მუშაზე მეტი, უდრიდა 73. ამ დაწესე-

---

[1]) 70-იან წლებში ცნობილი ბელეტრისტი და პუბლიცისტი გ. წერეთელი სწერს: „დღეს რომ ჩვენ ქვეყანაში დიდისა და პატარის ოფლით რჩება, იმ ვაჭრობაში სომეხიც ურევია და ქართველიც, რუსიცა და თათარიცა. იმათ ყველას პირი აქვთ შეკრული, იმათ ფული აქვთ მოგროვილი ხელში და ამ ფულის წყალობით ყველასაგან სარგებლობენ. მაშასადამე ჩვენი ვაჭრების უსამართლობა ჩვენივე შინაური ჩირქია: ჩვენი ვაჭრების უსინდისობა, ჩვენი ფულის ძომგების შინაური ძაების და მეზობლების ბრალია. აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, უნდა დავეხმაროთ მშრომელ ხალხს, რომ თვითონ იმან იკისროს თავისი ნაწარმოების გასაღება და არ გადასცეს ჩარჩებს ხელში მანეთის საღირალი ორ შაურად. ჩვენ უნდა შევეწიოთ მშრომელ ხალხს, ბანკები გავხსნათ, საკირო ფული გაუჩინოთ, რამდენიც კალოზე უნდა, რომ ერთის და ორ მანეთის გულიზა მიკიტანს-არ ჩაუვარდეს ხელში ძთელი წლის მოსავალი. ჩვენ უნდა ვეცადოთ თვითონ მშრომელი და მაწარმოებელი ხალხი თვითონვე აღებ-მაკცევი, თვითონვე ვაჭარი და თვით ნაწარმოების გამსაღებელიც გახდეს (იხ. „დროება" № 13-16. 1879 წ.).

ბულებებში მუშაობდა 6.336 სხვადასხვა პროფესიის მუშა-მოსამსახურენი.

1900 წელს ტფილისში იყო 14 **აქციონერული საზოგადოება**, მათ შორის 5 საბანკო და საკრედიტო დაწესებულება, მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა — 1. 906 (მარტო ადელხანოვის ტყავეულობის ქარხანაში მუშაობდა 946 მუშა, ხოლო 5 თუთუნის ფაბრიკაში 1895 წელს — 1079 მუშა).

იმავე წელში ტფილისში იყო 2. 553 **სავაჭრო დაწესებულება**, რომელშიაც მუშაობდა 7.341 სხვადასხვა პროფესიის მოსამსახურენი.

ამრიგად მე-19-ე საუკუნის გასულს მხოლოდ ქალ. ტფილისში იყო 5. 263 მსხვილი, საშვალო და წვრილი საძრეწველო და სავაჭრო დაწესებულება, ე. ი. ამა თუ იმ სახის კაპიტალისტურ დაწესებულებათა ფორმები ამ კაპიტალისტურ — სავაჭრო-დაწესებულებათა ქსელში ჩაბმული იყო დაახლოვებით 21.037 სხვადასხვა პროფესიის პირები (მუშები, კაპიტალისტ-ვაჭრები, ნოქრები. მოსამსახურენი და სხ.) *).

ქ. ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი ერთი ათეული წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სისწრაფით გაიზარდა: 1886 წელს ტფილისში იყო 78.445 მცხოვრები. 1897 წელს კი — 160.645, ე. ი. მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 104,8%-ით. **) ამრიგად 1900 წელს ტფილისი 160. 645 მცხოვრებლებიდან 21.073 ე. ი. დაახლოებით 13,1% უშუალოდ ჩაბმული იყო სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა მოღვაწეობაში.

ეს მშრალი ციფრები, რომელიც მხოლოდ საქართველოსა და მთელ ამიერ-კავკასიის ცენტს — ტფილისს შეეხება. გარკვევით გვისურათებს მთელი საქართველოს **ეკონომიური წარმატებისა** და **სოციალური ანატომიის** სახეს მე-XIX-ე საუკუნის გასულში. გასაკვირველი არ არის

---

*) იხ. Сборник статистических сведений по Закавказскому краю. Под редакцией Е. Кодратенко. ტ. I. გვ. 296-42, 1902 წ.

**) იქვე გვ. 18-19.

თუ კაპიტალისტურმა განვითარებამ ჩვენში გამოიწვია ღრმა მნიშვნელობის სოციალური დიფერენციაცია და კლასთა ბრძოლის გამწვავება 90-იან წლებში.

გ) ახალმა ეპოქამ თავისი გავლენა მოახდინა სოფელზედაც და წვრილი კერძო მესაკუთრის პარალელურად განვითარდა ნახევრად პროლეტარული ელემენტი, რომელიც უმთავრესად ქალაქებისაკენ ეშურებოდა და შრომის გაყიდვით ცდილობდა დაეკმაყოფილებია თავის მოთხოვნილებანი. ეს ნაწილი ჩვენი გლეხობისა ავსებდა და დღესაც ავსებს ქალაქის პროლეტარიატის რაზმს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნამ ჩვენში ფეოდალური საქართველო უმთავრესად გადააქცია სოფლის წვრილ მესაკუთრეთა ქვეყნად. გლეხი „განთავისუფლდა“ იურიდიულად და მოიპოვა თავისუფლება. ამით იგი ეკონომიურადაც და ფორმალურადაც წვრილ მესაკუთრედ გადაიქცა. მაგრამ ამ მესაკუთრის ეკონომიური მდგომარეობა არ იყო სახარბიელო და კვლავ შეიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჩვენი ერის სოციალურ სტრუქტურაში სოფლის წვრილ მესაკუთრის — გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას თითქმის გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ კლასის ინტერესები მეტად დიდ გავლენას ახდენდა ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების შემუშავებაზე მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამიტომ ზედმეტი არ იქნება აქ სიტყვა დაუთმოთ ჩვენი ცხოვრების დაკვირვებულ მეთვალყურეს. 70-იან წლების ნიჭიერ პუბლიცისტს ს. მესხს. 1876 წ. გაზ. „დროების“ ფურცელზე ჩვენი გლეხობის შესახებ იგი სწერდა:

„მართლაც ბატონისაგან განთავისუფლებული ჩვენებური გლეხი ისევ სრულ დამოკიდებულებაშია იმისაგან. უბატონოთ „თავისუფალი“ გლეხი ფეხს ვერ გადასდგამს. სულის მობრუნება არ შეუძლია...

ჩვენს გლეხს უმიწა-წყლოთ. უტყეოთ ცხოვრება არ შეუძლია იმიტომ. რომ ის მეურნეობის მიმდევარია. იმიტომ. რომ იმის არსებობა ახლაც ისე. როგორც ათასის წლის წინათ. მხოლოდ მეურნეობაზე არის დამოკიდე-

ბული. და მითხარით. ბეყრს ნახავთ საქართველოში ისეთს გლეხს, რომელსაც იმდენი საკუთარი მიწა ჰქონდეს, რომ მებატონეებისაგან იჯარით. ღალით აღება არ ესაჭიროებოდეს. ასში ერთს თუ შეხვდებით, ისიც ბევრია. დანარჩენ უმრავლესობამ კი ძალაუნებურად უნდა მიმართოს. უნდა სთხოვოს ან თავის ადრინდელ ნაბატონარს. ან სხვა რომელიმე მემამულეს. რომ მიწა მიაქირაოს. ტყეებში შეუშვას და სხვა.

ღა რამდენს აძლევენ ამისათვის ღალას? შემოსავლის მეოთხედს თუ დასჯერდა მემამულე. გლეხს ბედნიერად მიაჩნია თავი. მომეტებულს ნაწილს კი მესამედობით და ზოგან სანახევროდაც აქვთ მიწები აღებული. ან მეტი რა ჩარა აქვთ, რომ არ აიღონ.

ეს კიდევ არაფერი: ზოგი მებატონეები თხოულობენ. რომ „ნადელის" ფული გლეხებმა. ჭირნახულით კი არა. ფულით აძლიონ. სად აქვთ ვინ მისცა გლეხს ფული?

„გაჭირვებული გლეხი. რომელსაც მხოლოდ ერთი წყარო აქვს ცხოვრებისათვის — მიწა. ყველაფერზე დათანხმდება. რომ მიწა იშოვოს. დათანხმდება იმ იმედით. რომ „ღმერთი მოწყალეა. როგორც იქნება გადავიხდი ბატონის ღალასო". მაგრამ დრო. რომ მოაღწევს შემოდგომა რომ დადგება და ჰხედავს. ერთის მხრით **ბატონი** მოადგება. მეორე მხრით — **ხაზინა**, მესამე — **მოვალე ვაჭარი** და მეოთხის — **მღვდელი**, — სრულებით იბნევა და არ იცის რა ჰქნას". [1]).

აქ დაკვირვებული მწერლის მიერ საუკეთოოთ არის გადმოცემული ბატონ-ყმურ ურთიერთობის უღლიდან — „განთავისუფლებულ" გლეხის გასაჭირი და ეკონომიური მდგომარეობა. გლეხი უმიწოდ გაანთავისუფლეს: ეკონომიურად. იგი კვლავ ბატონისაგან დარჩა დამოკიდებული. ასეთ პირობებში უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხი უკმაყოფილო დარჩა არსებული წყობილებით და სრულიად თავისუფლად გაყვა შემდეგში რევოლიუციონურ მოძრაობას. ხოლო იმავე უმი-

[1]) იხ. სერგ. მეხხის ნაწერები ტ. I გვ. 4041 — 05. 1904 წ.

წაწყლობამ საკმაო ნაწილი ჩვენი გლეხობისა გამოდევნა თავის ქოხიდან და ჩააბა კაპიტალისტურ წარმოებაში, როგორც **შრომის გამქირავებელი კლასი**, როგორც **პროლეტარი.**

ამრიგად, მე-19-ე საუკუნის მიწურულში საქართველო ევროპიულ ცხოვრების ფერხულში ჩაება და მისი სოციალური შენობა ახალი კლასიური სტრუქტურის საფუძველზედ აეგო.

სწორედ ეს ზემოდ აღნიშნული ეკონომიური და სოციალური ფაქტორები ახდენდენ გავლენას ქართველი ინტელიგენციის აზროვნებაზე და ავსებდენ მათ სოციალ-პოლიტიკურ მრწამსს გარკვეული კლასიური შინაარსით.

მაგრამ ამ ფაქტორებს ზედ ერთვოდა სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული მოვლენებიც.

რუსეთის შემოსევამ ჩვენში დიდი სარგებლობა მოუტანა ქართველ ხალხს: მან აღმოფხვრა **პოლიტიკური ფეოდალიზმი** და ერს საშუალება მისცა გაერთიანებისათვის: ალაგმა გარეშე მტრები და მშვიდობიანი ნიადაგი შექმნა ეკონომიური და კულტურულ შემოქმედებისათვის. ეს იყო დადებითი პოლიტიკური შედეგები რუსეთის მოღვაწეობისა საქართველოში.

ქართველი ხალხის მთელი ტრაგედია წარსულში იმაში მდგომარეობდა, რომ მან ვერ შესძლო შესაფერისი სამოქალაქო ცხოვრების განვითარება და ეკონომიურად წინ წაწევა. ამიტომ საქართველო თავისი საკუთარი ძალებით ვერ გამოვიდა ფეოდალურ წყობილების ჩარჩოებიდან. ვერ დაამსხვრია ის პოლიტიკური და ეკონომიური შენობა, რომელიც არ აძლევდა მას წინამსვლელობის შესაძლებლობას. მე-19-ე საუკუნემდე ეროვნული საკითხი ჩვენში ორგვარი ფორმით იყო წამოჭრილი: ა) საქართველო გარშემორტყმული დიდ მუსლიმანურ სახელმწიფოებით, ფაქტიურად მოყვა ამ სახელმწიფოთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარების ქვეშ. მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მოსახლეობისა (მესხეთი, ტაო, ჯავახეთი), დენაციონალიზაციის გამანადგურებელ ტალღას გაყვა და გადაგვარდა. სოლო და-

ნარჩენი ნაწილი განიცდიდა ოსმალეთისა და სპარსეთის მძიმე ტვირთს. ამიტომ ქართველი ხალხის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა ასეთს პირობებში ოსმალეთ — სპარსეთის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიური არტახებისაგან თავის დახსნა და **დამოუკიდებლობის მოპოვება.** ბ) შიგნით საქართველო დანაწილებული იყო სამეფოებათ და სამთავროებად. ამ მხრივ მის უწინარეს ამოცანას შეადგენდა **გაერთიანება და მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების დაწესება საქართველოს ტერიტორიაზე.** ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოში არ აღმოჩნდა შესაფერისი სოციალური ძალა ვაჭრობისა და ეკონომიური განუვითარებლობის გამო. ფეოდალური სისტემა განმტკიცებული საქართველოს ტერიტორიაზე ძირშივე სპობდა ერის გაერთიანების შესაძლებლობას. 1790 წლის საქართველოს მეფეთა და მთავართა საკაშირო ხელშეკრულება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა აღნუსხვილი და არავითარი რეალური ნაყოფი არ მოუტანა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეს. წინაალმდეგ ნაცვლად ცენტრალიზაციისა, მე-18-ე საუკუნის ბოლო ხანებში თვით ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილება ფეოდალიზაციის გზას დაადგა და დაიქსაქსა. ეს იყო რეაქციის გამეფება სახელმწიფო წყობილებაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს **ს. კაკაბაძე** [9]).

ამრიგად ეროვნულ-პოლიტიკური ამოცანა: ოსმალეთ-სპარსეთისაგან განთავისუფლება და მტკიცე დამოკიდებულების მოპოება და საქართველოს ნაწილების გაერთიანება ერთ ცენტრალურ პოლიტიკურ ჭერ ქვეშ — განუხორციელებელი შეიქმნა გარკვეულ ობიექტიურ პირობების გამო მე-19-ე საუკუნემდე.

ეს ამოცანები გადასწვიტა თავისებურად რუსეთის შემოსვლამ საქართველოში: ხალხი განთავისუფლდა ოსმალეთ-სპარსეთის გავლენისაგან და ეროვნულად გაერთიანეთის გზას დაადგა. მაგრამ რუსეთის შემოსვლას ჩვენ-

[9]) იხ. ბეისი: საქართველო ერეკლე მეორის დროს „შვიდი მნათობი" № 2, 1915 წ. გვ. 187-88.

ში თან ახლდა თავისი უარყოფითი მხარეები: რუსეთი შემოვიდა საქართველოში როგორც დამპყრობელი ძალა და აშკარათ დაადგა ქართველი ხალხის დენაციონალიზაციის პოლიტიკას: მე-19-ე საუკუნემდე ქართ. ხალხის განადგურებას ცდილობდენ ოსმალეთი და სპარსეთი. შემდეგ აძავე პოლიტიკით გამოვიდა რუსეთის მონარქია. რომელმაც მოინდომა სრულიად უხეში პოლიტიკით ყოველი ქართულის აღმოფხვრა და ქართულ სხეულზე რუსული სისტემის განმტკიცება. აქ ყველასათვის ნათელი გახდა რუსიფიკატორული პოლიტიკის შინაარსი მთელი მე-19-ე საუკუნის მანძილზე. რუსეთის თვითმპყრობელობის შემოსვლის დღიდანვე მოხდა შეტაკება, დაპირისპირება მოსულ (რუსეთი) და დამხვდურ (ქართული) ძალთა შორის. მაგრამ ვინაიდან დამხდური ძალა არ შეადგენდა ერთ მთელს — დაყოფილი იყო წოდებებად. ამიტომ ყოველი წოდება თავის საზომით უყურებდა მოსულ ძალის მნიშვნელობას. ნ. ჟორდანია 1908 წელში სწერდა, რომ რუსეთის შემოსვლისთანავე ქართველმა ხალხმა უარყო ნაციონალური დროშა და ინტერნაციონალური ააფრიალაო... [7]) მას სურდა თავისი 1908 წ. ეროვნული პოლიტიკა მე-19-ე საუკ. ისტორიული ფაქტებით გაემართლებინა; არსებითად კი ასეთი მიდგომა კითხვისადმი ანტიმარქსისტული იყო და უფრო ისტორიული ფაქტების დამახინჯებას უდრიდა. ჟორდანიას სურდა გაუნათლებელი გლეხი ინტერნაციონალისტურად გამოეყვანა და ამ ინტერნაციონალიზმს რუსეთის მთავრობის სისტემის მიღებაში ხედავდა. **არსებითად რუსეთის სახელმწიფოებრივი სისტემა მძიმე ტვირთად დააწვა ქართველ ხალხს და იგი უბრძოლველად არ მიუღია მას.** მაგრამ ყოველი წოდება თავისი წოდებრივი საზომით შეხვდა ამ ძალას: [8]) ფეოდალური

---

[7]) იხ. ნ. ჟორდანია-**რჩეული ნაწერები 1910 წ.**

[8]) პრ. ი. ჯავახიშვილის ერთ-ერთი მიმოხილვით რუსეთის შემოსვლის დროს საქართველოში თავადაზნაურთა წრეებში იბრძოდა სამი პარტია, სამგვარი პოლიტიკური მიმდინარეობა: ერთი მოუხრელი იყო რუსეთთან სრული შეერთებისა. უბრალო თვითმართველობის შენარჩუნებით. მეორე იდგა 1783 წ. ტრაქტატის სრული დაცვის

არისტოკრატია თავისი ფეოდალური პრივილეგიებისათვის იბრძოდა, ვიხაიდან რუსეთი ჩვენში შემოვიდა, როგორც აბსოლიუტური მონარქია, რომელიც ცენტრალურ ნიადაგზედ აწყობდა სახელმწიფოს; გლეხობა კი რუსეთის სისტემამ ეკონომიურად დასცა და ვერ გააუმჯობესა მისი მდგომარეობა. *) მე-19-ე ს. გლეხთა მოძრაობა სწორედ ასეთი შინაარსით ამოიწურებოდა: იგი ებრძოდა, როგორც მთავრობას, ისე თავად-აზნაურობას, იგი გამოდიოდა თავისი წოდებრივი ინტერესებიდან და ებრძოდა ყველას, ვინც გზაზე ეღობებოდა მას. ამ პატარა მიმოხილვაში ჩვენ ვრცლად ვერ შევჩერდებით ამ კითხვის გაშუქებაზე. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ ფაქტებს. ბატონიშვილი **დავით გიორგის-ძის** „მასალები საქართველოს ისტორიისათვის" ვკითხულობთ: „მაშინ (1812 წ.) იყო შეშფოთე-

---

ნიადაგზე. ხოლო მესამე იდგა სრულს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და რუსეთთან კავშირის გაწყვეტას ითხოვდა. (იხ. ჯავახიშვილის წერილი გრანატის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ტ. XVII ა.

*) მე-XIX-ე საუკუნის ბატონ-ყმობის ისტორიისათვის საუცხოო მასალას იძლევა 1802 წ. საქართველოს ხელისუფლების შემდეგი ბრძანება:

„ბრძანება საქართველოს მმართველთაგან თავადო ზურაბ ორბელიანო. ყოვლად სამღვდელომ მროველმა მიტროპოლიტმა იოსტინემ მმართველობას შემოსჩივლა ჩემი ეკლესიის ყმანი სამარტილიანს ღალა-კულუხს არ გვაძლევენ და არც მიხვნენ. ამ მოხსენების დასამტკიცებლად მეფის ირაკლის და მეფის გიორგის ოქმები წაეთაყვნა, რომ უნდა ღალა-კულუხი აძლევონ და უხნან. სანატრელთ მეფეთ ბრძანებისაებრ გწერთ ერთი მართებელი კაცი გაგზავნე ღალა-კულუხი მიაცემინე და როგორც მბრძანებულია ისე საქმე დღეს უხნან. რომელიც ურჩი იქნება იმათ გარდახდებათ ვითარცა ბრალეულთ". ხელს აწერს Генерал Майор Лазарев. თავადები პარაფოვი, ჩოლოკაევი, თუმანოვი, თუმანოვი. (იხ. ალ. სახანაშვილი „ბუჯრები" გვ. 32, 1891 წ.).

მართველობის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას შეადგენდა არსებული სოციალური ურთიერთობის დაცვა საქართველოში და ეს მეფე თავისი ენერგიით ცდილობდა ყმები სრულს მორჩილებაში ყოლოდათ მემამულეებს. ამ პოლიტიკას დაადგა საქართველოში თვითონვე რუსეთის მთავრობა და ამ გზით შეუძლებელი იყო ყმათა მდგომარეობის გაუმჯობესება. წინააღმდეგ, შექმნილმა ეკონომიურმა პირობებმა ყმა უფრო დასცა მატერიალურად და დაუმორჩილა ეს მეშამულეს.

ბაი ქართველთა ზედან მარკიზისაგან (პაულიჩი) ესრეთ: ართმევდინ ხშირად ურემთა და ხართა სახმარათ მხედრობისა. ორმელ კნინდა დაჰშთათ ხარი სოფელსა შინა, ეგრეც სადაცა გავლიდინ რუსნი. ამჭირვებდიან სოფელსა ცემითა, ტაცებითა და დარბევითა. თვინიერ თეთრისა. და იგი ესრეთცა სიმშილი. ორმელ კოდი პური იყო ექვს მიზანთულათა თეთრს ფულად. მაშინ მარკიზმან უბრძანა წარსულისა ორისა წლისა პურისა მოკრეფაი სურსათისა ჯახეთისაგან. ვინაიდან სიმცირისა გამო მოსავლისა ვერ ძალედუათ მიცემაი. და ბრძანა ყოველსავე სოფელსა ევაკუაციისა შეყენებანი — ორასისა და სამასისა თითო სოფელსა და სადაცა მოვიდიან. იყო ვაებანი მას ზედამ მათ. რამეთუ სცემდის დედაკაცთაცა. და ხელთა ჰკიდებდის. და ართმევდის პურსა ძალითა... ვერ მოითმინეს თიანელთა ესე ვითარი სირცხვილი და იქმნან შეკოთი რუსთა და ქართველთა"... ამ აჯანყების დროს საწილი თავადთა რუსეთის მთავრობის მხარეზე იდგა და ებრძოდა აჯანყებულ გლეხებს. გლეხობაც თავისი მხრით სასტიკათ უმასპინძლდებოდა თავადებს. ავტორი განაგრძობს: .....ოდეს მივიდენ თიანელნი მატანს. შეიყარნენ ამით მატახელნი და ახმეტელნი სრულად. მუნ მყოფნი რუსნი და რამოდენიმე ტუსიშვილინიცა მოსწყვიტეს მით. რამეთუ ეპყროთ კერძოი რუსთა... ხოლო გლეხნია ჯახელთა ჰსცხენს რა სიცბილი თავადთა. მოწვეს სახლი სვიმონ ანდრონიკაშვილისა და მოსწყვიტეს სახლიკა სოლომონ ანდრონიკაშვილისა. ...მოვიდა (მარკიზი) ჩოქლაყს. იქმნა მუნ ბრძოლა ჯახთაგან. იძლივნენ რუსნი. მუნ მოკლეს ვახტანგ. სიძე ვეფისა ირაკლისა ყაფლანიშვილი (ორბელიანი მამა ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანიბის). მეუღლე თეკლასი. და დასჭრეს მუხლისა შინა ალექსანდრე. ძე გარსევანისა. ჭავჭავაძე (პოეტი). ვინაიდან მათ ეპყრათ კერძი რუსთა და პირისპირ მამულისა თვისისა იყვნენ მტერ" [10]).

[10]) ბატონიშვილი დავით: „მასალები საქართველოს ისტორიისათვის" გვ. 101-105. 1905 წ.

ამ მოთხრობაში საინტერესო არის ორი რამ: ა) გლეხთა აჯანყება გამოწვეული იქნა ეკონომიური მიზეზებით და იგი მიმართული იყო რუსეთის მმართველობის სისტემის წინააღმდეგ. ბ) თავადთა ნაწილს ეპყრათ რუსეთის მთავრობის მხარე და ებრძოდენ აჯანყებულ გლეხებს. ამ ფაქტებში ნაციონალური და სოციალური მომენტები ერთმანეთზედ არის გადაჯაჭვული და თავად-აზნაურობას, შეიძლება ნაციონალურადაც განწყობილს. წოდებრივი ინტერესები აიძულებდენ გვერდში ამოდგომოდენ რუსეთის მთავრობას. ქვევით ჩვენ დავინახავთ სანამდე მიიყვანა ქართველი თავად-აზნაურობა და მისი წიაღიდან გამოსული თავად აზნაურული ინტელიგენცია ამ წოდებრივმა ინსტიქტმა. აქ კი მოვიყვანთ კიდევ დამახასიათებელ ისტორიულ დოკუმენტებს. საქართველოს ცენტრ. არქივში 1812 წლის აჯანყების შესახებ ინახება მეტად საინტერესო მასალები. რომლისაგან ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ რამოდენიმეს. რომელნიც ამეღავნებენ გლეხთა და თავადთა სულიერ განწყობილებას.

როგორი იყო თავად-აზნაურთა ნაწილის განწყობილება 1812 წლის აჯანყების დროს? ამაზე გარკვეულ პასუხს გვაძლევს შემდეგი „რაპორტი" გუბერნატორ მალიცკის სახელზე.

„წარმოწერილებისამებრ თქვენის აღმატებულების თებერვლის 28-დამ ნომერსა ქვეშე 367-თა დამარცხებასა ზედა მობუნტე კახელთ და არაგველთ ხალხისა მაქვს პატივი მოგახსენოთ მე ფრიად მოხარულმა ესე ვითარის გამარჯვებისა მივეცი მყის ცნობა გორის უეზდის საზოგადო თავად-აზნაურთა, მსმენელნი რომლისაც სიხარულითა დიდითა ერთს ხმად შესწირვენ ღვთისადმი მადლობასა და ჰსთხოვენ კვალადცა რომელ როსიის მხედრობისა პირისპირ მბრძოლენი იქმნებოდენცა უმეტეს ძლიერულ შერცხვენასა ქვეშ. — აწ თანა ამისა ვალად დავიდრგენ რათა მოვახსენო თქვენ აღმატებულებას, ვითარცა თავად აზნაურნი გორის უეზდისა. ეგ სახედვე მთის ხალხნიცა წარმოებენ. უვნებლობის მგდომიერობასა შინა.

გორის უეზდის კეთილშობილთ მარშალი პოლკოვნიკი თავადი შანშე ერისთოვი.

მარტის 2 დღესა „).

1812 წელსა

მსგავსივე „რაპორტით" გამოდის ახალ გორის„ უერთგულესი მოსამსახურე" რევაზ ერისთავიც. იგი სწერს:

„ამ თვის 25 (1812 წ.) ამდენს თქვენი წიგნი მებოძა ქსნის დამშვიდებისათვის და არა არაგველთ შეერთებისათვის არა თუ ამ ჟამზედ ეცდილვარ ამ ხალხის იმპერატორის ალექსანდრე პავლოვიჩის ერთგულებისათვის, ეს მესამე წელიწადი არის ყოველს ჟამს როდესაც აღრეულებაები იყო ყიზილბაშთაგან და ცარევიჩებისაგან ამ ქსანზედ მუდამ მე აქ გახლდი და გახლავარ და არა სხვა ქსნის ერისთავის შვილი არა რომელიმე და მხნეთ არიან იმისის დიდებულების ერთგულობაზედ ეს ქსნელნი ღვთის მოწყალებით თუ ცოცხლად გახლავარ რაც შეძლება მაქვს მზავარ ყოველთვის იმისის იმპერატორების დიდებულების ერთგულებაზედა მეცა და ქსნის ხალხნიც"... [12]).

კითხვა იბადება: რა იწვევს თავად-აზნაურთა ასეთს პოლიტიკას? უმთავრესად გლეხთა მოძრაობის შიში. კლასიური ინტერესები. ამას საუცხოოდ ამტკიცებს ექვსი თავადის შემდეგი თხოვა:

„მის მსვლელობახ თბილისის ლუბერნატორს.

მოხსენება ვეჯინში მცხოვრებელთ თავადთაგან. თელავის ხალხის აჯანყება რომ შეიტყვეს ჩვენმა სოფლის ხალხმა ესენიც აირიენენ და თავი ველარ დაუჭირეთ და ჩვენს აკლებას და დაწვას გვიპირობენ რომ ჩვენთან მრდითო თუ რომ ამ ცოტა ხანში შემწეობა არა მოგვეცა რა

[11]) საქ. ცენტრალური საქმე № 61 — Дело канцелярии Грузинского Гражданского Губ — ра о мятеже 1812 г. ფურცელი № 146.

[12]) იქვე ფურ. № 151.

ავად მოგვეპყრებიან. ეს არის ჩვენი ვედრება. რომ ჩქარა დაგვიხსნათ ამ შეპირვებისაგან. თებერვლის 6 წელსა ჩყიბ" (1812 წ. [18]).

ასეთი იყო სულიერი განწყობილება ჩვენი მალალი წოდების დიდი ნაწილისა გლეხური აჯანყების შემდეგ 1812 წელს. ამ სულიერმა განწყობილებამ და პოლიტიკურმა ატმოსფერამ თავისი გავლენა იქონია ქართველ ინტელიგენციაზე.

მე-19-ე საუკუნის სივრცეზე ეროვნული საკითხი კვლავ მთელი თავისი სიმწვავით იდგა ქართველი ხალხის წინაშე: ამ საკითხის შინაარსი გამოიხატებოდა აგრესიულ პოლიტიკასთან ბრძოლაში და ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნებაში. მაგრამ ყოველი კლასი თავისებურად სწყვეტდა ეროვნულ საკითხს, თავისებურად ატარებდა მას თავისი კლასიურ თვითშემეცნების პრიზმაში. ქართველი ინტელიგენცია აღიზარდა და დავაჟკაცდა სწორედ პატრიოტულად გაჟღენთილ ატმოსფერაში. ის ფაქტი, რომ საქართველო იმყოფებოდა რუსეთის ბატონობის ქვეშ, თავისებურად დაღს ასვამდა ინტელიგენციის ფსიხიკას და მოსავდა მის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებას თავისებური ელფერით. როგორი იყო მისი შინაარსი. ამას ქვევით დავინახავთ.

მაგრამ ქართველ ინტელიგენციაზე და მის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ აზროვნების ფიზიონომიის შემუშავებაზე გავლენას ახდენენ გარდა ზემოდ აღნიშნული ეკონომიური და პოლიტიკურ-ეროვნული მომენტებისა, სხვა შინაარსის **კულტურული ფაქტორებიც**. როგორც აღვნიშნეთ, ისტორიულად საქართველო გარშემორტყმული იყო მუსლიმანთა სახელმწიფოებით და ცხადია აღმოსავლეთის ეს დაწინაურებული სახელმწიფოები თავისებურ კულტურულ გავლენას ახდენდენ საქართველოზე. ქართული კულტურის წარმატება, ქართული აზროვნებისა და სულიერი შემოქმედების ვითარება ნაყოფიერ საზრდოს პოულობდა იმ კულტურულს ოჯახში, რომელიც ყვავოდა და იფურჩქნებოდა მეზობელ აღმოსავლეთის ერებში.

---

[18]) იქვე ფურ. № 1.

მაგრამ ამ კულტურული გაკლენის შინაარსი **ირანო-მუსლიმანური** ხასიათისა იყო, ამიტომ ალმოსავლეთური თვისი ფორმითა და მისწრაფებებით. მე 15-საუკუნემდე ქართული კულტურის მასაზრდოებელი წყარო სხვა ნაკადულიდანაც მოსჩქეფდა; ეს იყო ევროპიული შინაარსის მატარებელი. **ელინურ-ბიზანტიური კულტურის** ნაკადული. „ერთი სიტყვით — სწერს პროფ. **ივ. ჯავახიშვილი** — ქართველობამ ელლინურ შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელლინიზმს. რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთს ევროპაში ეგრედწოდებული „რენესანსი" წარმოშობა. საქართველომ ეს მოძრაობა უკვე მე-12-ე საუკ. დაიწყო. მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა." [11]). ამ რიგად საქართველოზე გავლენას ახდენდენ და მის კულტურულ მიმდინარეობაში თავს იყრიდენ, როგორც ალმოსავლეთის ირანო-მუსლიმანური, ისე დასავლეთის ელინურ-ბიზანტიური კულტურის ჩქერი. ასე ხდებოდა საქართველოს ნიადაგზე მონღოლთა შემოსევამდე ორი დიდი კულტურული ნაკადულის შეუღლება. ახალ საუკუნეების მიჯნაზე მომხდარმა ისტორიულმა ამბებმა საქართველო როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულადაც მოაქციეს ოსმალეთისა და სპარსეთის გავლენის ქვეშ და მისთვის ევროპისაკენ გასავალელი კარები თითქმის დახურული ალმოჩნდა. მთელი ჩვენი მწერლობა და საერთო ცხოვრება მე-18-ე საუკუნის დასასრულამდე უმთავრესად მუსლიმანური კულტურის დიდი გავლენის ქვეშ იდგა. მაგრამ, რადგანაც ეს კულტურა ჩამორჩენილი იყო შედარებით ევროპის კულტურასთან, რომელმაც ღრმა წარმატება და აყვავება ეანიცადა საშუალო საუკ. მიწურულებსა და ახალი საუკუნეების პერიოდში, ამიტომ, საქართველოს საერთო ცხოვრებასაც არ ეტყობოდა დიდი წინამსვლელობა. 17-18 საუკუნეებში ჩვენი ცხოვრების ფონზე კვლავ მოხდა დასავლეთ კულტურის ნაკადის [illegible]. მაგრამ საგრძნობი შემომდინარეობა. როგორც ევროპიდან ისე უმთავრესად

[11]) **ივ. ჯავახიშვილი:** ქართველ. ერის ისტორია წ. II-ე გვ. 648. 1914 წ.

ოუსეთიდან. მუსლიმანური სახელმწიფოთა აგრესიული პოლიტიკით რკალშემორტყმულმა საქართველომ კვლავ იგემა ახალი კულტურის ნაყოფი. მაგრამ ეს გავლენა არ იყო დიდი გარკვეულ ობიექტიურ პირობების გამო. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ 18-ე საუკუნის ჩვენი კულტურა კვლავ წარმოადგენს ევროპისა და აღმოსავლეთის კულტურულ ნაკადების სინტეზს. მე-18-ე საუკუნის პოეზიაში ევროპიული და რუსული კულტურის დიდ გავლენის ქვეშ სდგას **დ. გურამიშვილი**, ხოლო **ბესიკის** შემოქმედება კულმინაციურ წერტილამდე ანვითარებს აღმოსავლეთის მოტივებს. მე-19-ე საუკუნეში **ალ. ჭავჭავაძისა** და **გრ. ორბელიანის** პოეზია აღმოსავლეთური გავლენის დეკანდანსის გამომხატველია. ხოლო **ხიკ. ბარათაშვილის** შემოქმედებაში მთელი თავისი სიძლიერით სახიერდება ევროპიულობა თავშეუკავებელ რომანტიზმით.

მე-19-ე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს კარები გამარჯვებულმა და დაწინაურებულმა ევროპიულმა კულტურამ შემოალო. ერმა თითქოს ერთი ხელის გასმით გადარაზა აღმოსავლეთის შემოსასვლელი კარები და თავისი გზა ევროპიულ კულტურის მიმდინარეობისაკენ მიმართა. მე-19-ე საუკუნის დასაწყისით საქართველოს ფართოდ გაეხსნა კარები ევროპისაკენ რუსეთის საშუალებით. დაწინაურებულმა ევროპამ და კულტურის გზაზე შემდგარმა რუსეთმა თავისებური გავლენა მოახდინეს მე-19-ე საუკუნის ჩვენი ცხოვრების ვითარებაზე. საქართველო საკმაოდ მაგარი რგოლებით გადაება ევროპის საერთო ოჯახს და ასე შეუდგა დაწინაურებული ევროპიული კულტურის შეთვისებას. ჩვენმა ინტელიგენციამ. რომელმაც მჭიდრო კავშირი გააბა რუსეთის მოწინავე წრეებთან, ფაქტიურად იკისრა ახალი იდეების გადმოგვა მშობლიურ ნიადაგზე. ინტელიგენცია იმუშავებდა თავის სოციალ-პოლიტიკურ მრწამს ევროპისა და უმთავრესად კი რუსეთის ინტელიგენციის ზეგავლენის ქვეშ. თუ რამდენად ძლიერი იყო ევროპის კულტურისაკენ ლტოლვა ჩვენს ინტელიგენციაში. ამის შესახებ მე კვლავ

სიტყვას დაუთმობ **სერგეი მესხს.** 1872 წ. „დროების ფურცელზე იგი სწერდა: „ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა. ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო ჯერ-ჯერობით დასავლეთ ევროპა არის. ყველა ხალხი და მათ შორის რუსეთიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გამოაქვთ ყელაფერი. რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელი და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგათ ჭეშმარიტად გაუცვნია. გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოდ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპიულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალით უნახავს და შეუსწავლია სიოარიბის მომსპობელი და კეთილ დღეობის მომნიჭებელი სახსრები“ [15]).

ამრიგად მე-19 საუკუნე გადაიქცა საქართველოსათვის არამარტო ეკონომიური დაწინაურების, პოლიტიკური გამოფხიზლებისა და ეროვნულად გაერთიანების ხანად. არამედ კულტურული აყვავებისა და ევროპიულ ოჯახში შესვლის პერიოდათაც. ქართველი ხალხი მოყვა რუსეთის და ევროპის დიდი გავლენის ქვეშ და ამ გარემოებას თავისი დალი ტნდა დაისვა ჩვენი ცხოვრების ვითარებაზე. აი ასეთ ატმოსფერაში აოიზარდა ქართველი ინტელიგენცია მე-19 საუკუნეში. მან ხარბად შეისუნთქა ეპოქის სუნი და აღნიშნულ ფაქტორების დიდი გავლენის ქვეშ შეუდგა თაოისი შესაფერისი სოციალ-პოლიტიკური იდეალებს შემოშავებას.

სათუძველიანად სწერდა **ნ. ფორდანია** 1908 წელში: „მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების. გაქალაქების. მუდმივი. შეუჩერებელი წინმსვლელობისა და კულტურული ამაღლების. და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური ძალის დროშის წინამძღოლობით. არამედ გარეშე ძალის. რუსეთის მეთაუ-

[15]) ს. მესხი ტ. I გვ. 108109.

რობით. ამით აიხსნება ანტირუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში" [10]).

ჟორდანიას ერთი შენიშვნა უნდა მივსცეთ: მას ტენდენცია აქვს **რუსეთში** რუსეთის მთავრობა იგულისხმოს და ასე ჩვენი კულტურულად აყვავების საქმე ამ მთავრობას მიაწეროს. რასაკვირველია. რუსეთის მთავრობის აგრესიულმა პოლიტიკამ ობიექტიურად დიდი ნაყოფი მოუტანა საქართველოს რღმა უარყოფით მხარეებთან ერთად. მაგრამ საქართველოს კულტურული აყვავება. მისი დაწინაურება ხდებოდა რუსეთის საზოგადოებრივი ძალების დიდი გავლენის ქვეშ და **ამ ურთიერთ გავლენის პროცესში გადამჭრელ როლს თამაშობდენ ქართული ნაციონალური კლასები და მისი წარმომადგენელი ინტელიგენცია.** ქართული კულტურის აყვავების საქმე. ქართული მწერლობის. ქართული ენის. ქართული სკოლის გამშვენიერება ეს ქართულ ნაციონალური კლასებისა და მათი ინტელიგენციის საქმიანობის ნაყოფია. ხოლო ამ საქმიანი მუშაობისაფვის ნაყოფიერი ობიექტიური პირობები შეიქმნა რუსეთის მოლვაწეობითა და რუსული კულტურის ზეგავლენით. რუსეთის დამკვიდრებით საქართველო **კოლონიალურ ქვეყნად გადაიქცა,** მაგრამ ეს კოლონია თავისი კულტურული დონით არსებითად განსხვავდებოდა აზიის ჩამორჩენილ კოლონიებისაგან. სადაც ევროპის იმპერიალიზმი ქმნიდა თავის საკუთარ კულტურულ ძალებსაც და ეკონომიკაც. რუსეთის პოლიტიკას ჩვენში კულტურული ერი დაუპირდაპირდა. რომელმაც შესძლო თავის საკუთარი კულტურული ძალების, სოციალური კლასებისა და ეკონომიური სტრუქტურის განვითარება მიუხედავათ რუსეთის მთავრობის აგრესიულ პოლიტიკისა. ამ ნაციონალური აგენტების და ორგანოების საშუალებით ითვისებდა ქართველი ხალხი ახალ კულტურულ ნაკადს. რუსეთისა და ევროპის წიაღიდან მომდინარეს.

[10]) ნ. ჟორდანია: რჩეული ნაწერები გვ. 568.

2. თავად-აზნაურული ინტელიგენცია.

მე-19-ე საუკუნის პირველი ნახევარი ეს არის კრიტიკული პერიოდი საქართველოს ისტორიაში. ახლად შემოსულ უცხო ძალების მეოხებით და მისი სახელმწიფოებრივი აპარატის საშუალებით იმსხვრეოდა საქართველოს ძველი პოლიტიკური წყობილება და ახალს ნიადაგზე ეწყობოდა საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ რღვევა განადგურების პირობებში შეუძლებელი იყო საზოგადოებრივი აზროვნების ვითარებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი შექმნილიყო. საზოგადოდ კრიტიკული პერიოდი რომელიმე ერის ცხოვრებაში არ იძლევა შესაძლებლობას დადებითი გონებრივი შემოქმედებისათვის. ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებაც მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში კრიზისს განიცდის, ინტელიგენციას ემჩნევა გზა-აბნეულობა და გაურკვეველობა. მიუხედავად ამისა საზოგადოებრივი მაჯისცემა არ შეწყვეტილა და უკვე მოსჩანს ახალი მოტივები და ახალი სახეები აზროვნების სფეროში. მე-60-ე წლებამდე ქართველი ინტელიგენცია ერთ მთლიან ოჯახს წარმოადგენს. ეს **თავად-აზნაურული ინტელიგენციაა**, უმთავრესად აღზრდილი თავისი წოდების წიაღში და გაჟღენთილი წოდებრივი ინტერესებით. ამ პერიოდის ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური იდეალები არ სცილდება ვიწრო კლასიურ (წოდებრივ) ინტერესებს. მაგრამ თავადაზნაურობის პოლიტიკა საერთოდ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ორ ხანად უნდა იქნეს გაყოფილი. როგორც ავღნიშნეთ მე-19-ე საუკ. პირველი ნახევარი — ეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტიკული პერიოდია, როდესაც რუსეთის სისტემის ზეგავლენით ირღვევოდა ძველი წყობილების ნაშთები და ნიადაგი ეყრებოდა ახალს. პირველ ხანებში არისტოკრატიის ერთი ნაწილი არ შეურიგდა ახალ წესებს და ხმალზე გაივლო ხელი, მაგრამ ეს პოლიტიკა სასტიკად დამარცხდა უკვე 1812 წელს, ხოლო მისი უკანასკნელი ცდა იყო 1832 წლის აჯანყების გეგმა, რომელიც სრულიად განადგურდა. ამ შეთქმულებაში მონაწილეობას ღებულობდა მაშინდელი ქართველი ინტელი-

გენციის საუკეთესო წარმომადგენელნი (დოდაშვილი, ორბელიანი, ჭავჭავაძე, ყიფიანი, ერისთავი და სხ.). ბატონიშვილების ხელმძღვანელობით. შეთქმულება დამარცხდა და ქართველ ლეგიტიმისტთა ოცნება საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის შესახებ თან წაიღო სამუდამოდ. 1832 წლის შეთქმულების ლიკვიდაციით **ძირითადი უკანასკნელი გარდატეხა მოხდა საქართველოს თავად-აზნაურობასა და ინტელიგენციაში.** რუსეთის მთავრობისა და საქართველოს თავად-აზნაურობის შორის შეთანხმების ხიდი გაიდო, უკანასკნელმა ქედი მოიხარა პირველის წინაშე. ამით დაიწყო მეორე ხანა ქართველ თავად-აზნაურობისა და ინტელიგენციის ისტორიაში.

თავად-აზნაურობის ახალი პოლიტიკის საუკეთესო გამომხატველია ის ადრესი, რომელიც 1848 წელს მიართვა ამ წოდებამ ნიკოლოზ I-ლს. აქ უკვე აღარ არის, როგორც მაგ. 1801 წ. მიმართვაში საქართველოს სახელმწიფოს აღდგენაზე და ბაგრატიონთა დინასტიაზე ლაპრაკი. თავად-აზნაურობამ ქედი მოიხარა ახალი ხელისუფლების წინაშე და მათს შეგნებაში ბაგრატიონთა დინასტიის სიყვარული სრულიად ადვილად შესცვალა ღრმა პატივისცემის გრძნობამ რომანოვის დინასტიისადმი. რით უნდ ავხსნათ ქართული წარჩინებული წოდების პოლიტიკის შეცვლა? ამას ორი ძირითადი მიზეზი უდევს სარჩულად: 1) რუსეთის მთავრობის განსაკუთრებული პოლიტიკა თავად-აზნაურულ წრეების შესარიგებლად და მათზე დასაყრდნობლად, და როგორც ზევით დავინახეთ 2) საქართველოში დაწყებული გლეხთა მოძრაობა ბატონყმურ უღლის მოსასპობლად, რომელიც ფაქტიურად მიმართული იყო თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. [17]). უკანასკნელ-

---

[17]) პროფ. ივ. ჯავახიშვილი ერთს თავის საინტერესო ნარკვევში შემდეგს სწერს: „...სწორედ ამ დროს (1830-იან წლებში) ქართველ გლეხთა შორის სწარმოებდა დიდი მოძრაობა, და გლეხები არ დაუჭერდენ მხარს თავად-აზნურულ წოდების აჯანყებას. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ იმ წლებში (1829 — 1832 წ.), როდესაც მზადდებოდა შეთქმულება რუსეთის ბატონობის მოსასპობად, ქართველ გლეხთა შორის კვლავ დაიწყო დიდი მოძრაობა ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების სასარგებ-

მა რუსეთის მთავრობაში ერთად ერთი დამხმარე ძალა ნახა და მისი პოლიტიკის გამტარებლად გადაიქცა საქართველოში. 30 — 40 წლების შემდეგ ქართული ინტელიგენციის ორიენტაციაც შეიცვალა. ამ ორიენტაციის შეცვლას ხელი შეუწყო ვორონცოვის პოლიტიკამაც. 1832 წ. რომანტიული შეთქმულების მომხრეები რუსეთის პოლიტიკის ერთგულნი მსახურებათ გადაიქცენ. დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი და სხვები რუსეთის ტახტის ერთგულობაში ხედავდენ საქართველოს ხსნას.

მაგრამ 1832 წლის შეთქმულებამდე ქართველი ინტელიგენციის დიდი უმეტესობა ასე არ ფიქრობდა. ს. დოდაშვილი (1804-1836 წ.), ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში,რომელმაც განათლება მიიღო რუსეთში და უახლოესი კავშირი ჰქონდა რუსეთში მყოფ ბატონიშვილებთან, რომელნიც 1832 წ. შეთქმულების მოთავენი იყვენ, მრავალ მხიშვნელოვან ცვლილებებსა და ძიებებს განიცდის თავისი ეროვნულ-პოლიტიკის გამომუშავების პროცესში. იგი 1827 წ. თვის **ლოლიკის** რუსულ სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში იმ აზრს გამოსთქვამს, რომ რუ-

---

ლოდ". (იხ. მისი: „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в." გვ. 28, 1906 წ.). 1829 წ. ერთ-ერთი დოკუმენტი პირდაპირ უჩვენებს იმ გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩაცვენილნი იყვნენ გლეხები მებატონეთა განუსაზღვრელი ექსპლოატაციის წყალობით. ასე მაგ. გენ. სტეკალოვს ზავილეისკი თვის პატაკში სწერდა, რომ ყმები დიდ შეეიწროვებას განიცდიან მებატონეთა ექსპლოატაციის გამო; „ამიტომ — განაგრძნობდა მომხსენებელი, — სინამდვილეში გლეხები არამც თუ არიან მშვიდობიანად განწყობილნი თავიანთ მებატონეთა მიმართ, არამედ ხშირად უარს აცხადებენ მათდამი დამორჩილებაზე, განსაკუთრებით შეძლებული გლეხები, და მემამულეებს, რომელნიც ვერ ახერხებენ საქმის მოწესრიგებას თავიანთ შეძლებულ გლეხებთან, მთელი სიმძიმე გადასახადებისა შემოსაელისა და ხშირად ნადელებისა გადააქვთ ღარიბ გლეხთა ზურგზე..... მაგრამ განსაკუთრებულს და შეეიწროებულსა და საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებიან ის გლეხები, რომელნიც სცდილობენ მემამულეებისაგან განთავისუფლებას". (იქვე 28 — 9) ამრიგად „გლეხთა განთავისუფლებისათვის მოძრაობამ მიიღო გრანდიოზული ხასიათი" (ჯავახიშვილი).

სეთის მთავრობის ქვეშ საქართველოს გამოუბრწყინდება შუქი მზისა და განათლებისა [18]). ხოლო შემდეგ რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილებიან დაახლოვებით შეიცვალა თავისი აზრი, იგი 1832 წლის შეთქმულების მონაწილე გახდა და ამ მიზნით განაახლა ქართული გაზეთი „ტფილისის უწყებანი" (1828—1832 წ.) და აგრეთვე ჟურნალი.

დოდაშვილის მოღვაწეობას და მის სიყვარულს კულტურულ საქმისადმი საუცხოოდ ამტკიცებს მისი კერძო წერილი ფილადელფოს კიკნაძისადმი, რომელიც დღემდე არ იყო ცხობილი. ამ წერილში ავტორი უმთავრესად გაზეთის გამოცემისა და ეროვნულ კულტურულ წარმატებას საქმეს დასტრიალებს.

„მამაო წმიდაო ფილადელფოს.

გაზეთები და ჟურნალი გამოდის, წელიწადში რვა მანეთი თეთრი ფული გახლავსთ მისი ფასი. უკეთუ თქვენ აღწერთ რასმეს სტიხად თუ პროზად დაჰბეჭდენ ჟურნალებში. მე გირჩევ იყიდოთ, ამისთვის რომელ მრავალი სასარგებლო აღწერა იქნება იმაში, და უკეთუ თქვენ შეჰნიშნავთ რასმე ცუდსა, ძალგიძსთ წინააღმდგომი დასწეროთ რომელიც დაიბეჭდება. ორს ნომერს ეხლავე გიგზავნით, რვა მანეთი გამოგზავნეთ, თუ გნებავსდეთ მანდაურ ნაჩალნიკს მიართვით და ის გამოგზავნის, რათა შემდგომი ნომრებიც კომიტეტმა გამოგიგზავნოთ, სხვათაც ჰსთხოვე და კიდეც ეცადეთ რათა ხელი მოაწერონ, მე ფრიად დამავალებთ, ამისათვის რომელ ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა, თუ დადგეს დაბეჭდვა მთავრობისაგან ქართველთათვის სირცხვილია, როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვთ ეცადოთ ათიოდ მსურველი იშოვნოთ, თუ მეტს იშოვნით, უფრო უკეთესი, ნურვინ დაზოგავს რვა მანეთს, ყოველთავე ურჩიეთ.

---

[18]) იხ. ალ. ხახანაშვილი: ქართული სიტყვიერების ისტორია გვ. 15, 1918 წ.

თქვენი მეგობარი **სოლომონ დოდაევი.**

თებერვლის 6-ს 1832 წ. ტფილისი *).

ს. დოდაშვილის ახალი პოლიტიკური კრედო ნათლად არის გამოხატული მილოცვაში, რომელსაც ეწოდება: „მილოცვა დოდაშვილისა ბატონიშვილის ბაგრატის მცირე წლოვან შვილს დავითს". აქ დოდაშვილი ამბობს: „ისმინე ღვთისა, რომ განგიახლდეს წარსული იგი სიხარული და ნათელი და იდიდო ისევ დღესა მას შენსა, რომ გლოვა და ურვა სიხარულად შეგეცვალოს, ხოლო ბნელი ივერიისა — სინათლედ. **მეცა და ივერიის დანარჩენი ხალხიც ვითხოვთ ერთხმადა, რომ ძველის ძველი მეფობა თქვენი განახლებულ იქმნეს თქვენითა და ამიერიდგან უკუნისამდე კურთხეული".** ხოლო 1832 წ. შეთქმულებისათვის დაწერილ ლექსში იგი ამბობს:

„მაისში იქნება მოწვევა ქართველთა ძალის გამოსაცდელი
ავიღოთ ხელში მახვილი და დავსცეთ მტერს შიშის ზარი.
შევკრიფოთ მოხალისენი, თავზედ დავესხათ მედგრადა,
გავდევნოთ ძალით მოსულნი სამშობლოს მაოხრებელნი.
ქართველებო ხართ-ღა სადმე? არივინ იცის გონს მოდით". [10]).

1832 წლის შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ, დოდაშვილი გადასახლებული იქნა რუსეთში და გარდაიცვალა ირკუტსკში. მისი ეროვნულ პოლიტიკური მრწამსი ისევე შეიცვალა, როგორც მისი სხვა თანამოკლმეთა.

1832 წლის აჯანყების ცდა ერთგვარი მიჯნა არის ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში. ამ დრომდე ინტელიგენცია ფაქტიურად ჩაბმული არის რუსული კულტურის ვითარებაში და რუსულ სწავლა-განათლებას ღებულობს, მაგრამ მისი პოლიტიკური ხაზი კი მერყეობს. ვერ ურიგდება არსებულ სისტემას საქართველოში და ეძიებს გამოსავალს. ამიტომ რუსეთის სკოლებში აღზრდილმა ინტელიგენციამ ჯერ კიდევ ვერ გასწყვიტა კავშირი ძველს

---

*) ცენტრ არქივი 1832 წლის აჯანყების საქმე: **Письма из сочинении Ф. Кикнадзе. № 170.**

[10]) იგივე გვ. 16:

ტრადიციებთან და უკმაყოფილების გრძნობის გამოხატვა აქტიურ მოქმედებაში მოინდომა. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა კავშირი გააბა საქართველოს ძველი ფეოდალური არისტოკრატიის უკანასკნელ წარმომადგენლებთან—ბატონიშვილებთან და მათი კარნახით შეუდგა საზოგადოების მოწყობას. როგორც საგამომძიებლო კომისიის მოხსენებიდან ირკვევა, შეთქმულების მონაწილეთ დამოკიდებულება ქონიათ სპარსეთში გაქცეულ ემიგრანტ ბატონიშვილ ალექსანდრესთანაც, საზოგადოების დადგენილების თანახმად წევრებს უნდა გამოეყვანათ თავიანთი გლეხები და აგრეთვე ტფილისის გუბერნიის თურქები. აღსანიშნავი არის ის გარემოება, რომ „საზოგადოების“ საქმიანობაზედ დიდ გავლენას ახდენდა პოლონეთის აჯანყების პროცესი. აჯანყების საკითხის შესახებ მთელ საზოგადოების წევრთა შორის ორგვარი მიმდინარეობა ყოფილა: ერთი ნაწილი უკიდურეს ზომების მომხრენი ყოფილან, ხოლო მეორე ნაწილი (ყიფიანი, ავთანდილოვი და მამაციშვილი, ნაწილობრივ ს. დოდაშვილიც) ეწინააღმდეგებოდენ იარაღით გამოსვლას და სისხლიან შეტაკებებს. საზოგადოებას ნაწილობრივ ლიტერატურული ხასიათი მიუღია. თუ როგორ ემზადებოდენ აჯანყებისათვის თავად-აზნაურული ინტელიგენციის „პოდპოლსჩიკები“ ამას საუცხოოდ გადმოგვცემს **გიორგი ერისთავის** ჯერ გამოუქვეყნებელი კერძო წერილი იმავე ფილადელფოს კიკნაძესთან. ეს წერილი მოგვყავს საესებით.

მ ა მ ა ო ფ ი ლ ა დ ე ლ ფ ო ს.

თქვენ როგორც გნებავთ მიიღეთ ჩემი წერილები. მე ყოველსა ჭეშმარიტებით ვამბობ:

ჰოი მამაო ზეციერო, გმადლობ შენ რომელსა მომეც გრძნობა და განრჩეული მყავ პირუტყვთაგან. უფალო გმადლობ, რომელმან მომეც სურვილი სწავლისა და მეცადინეობისა. გმადლობ კეთილ განგებაო, **რომელმაცა**

შემაკავშირე კეთილთა გვამთა და მომეც მოძღვრად ფილადელფოს.

გიორგი ერისთავი *).

ვგონებ მიწყრებით და ფიქრობთ, ის რა პლუტი ჩავიგდე ხელშიო, ერთხელ წიგნი არ მომწერაო. მამაო მიზეზი ჩემის მდუმარებისა ეს იყო, რომ კარგი მგზავრი ვერავინ ვიშოვნე და ფოჩტით არ მოგწერე, მისთვის რომ რაც პახოდობა შეიქნება ხოლმე ყოველთვის წიგნსა ჰხსნიან, აგრეთვე თქვენც გთხოვთ ფოჩტით აღარ მომწეროთ, მომილოცავს ალექსანდრეს აქტის ჩლენობა **) თავის ძმითურთ. ეგრეთვე ჩემის ბიძაშვილის შანშეს შვილისა ამათ ბევრი პარტია ჰყავთ და სცდილობენ მათ მოყვანას. ჩემს წილად ესენი ვიშოვნე და უნდა ვიშოვნო. ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანნი, ელისბარ და დიმიტრი ერისთოვნნი ამ ოთხთ უკვე იციან.

ამ ერთ კვირაზე თავს დაგიკვრენ შემდგომნი:

თ-ი დავით ჯორჯაძე.

სოლომონ დოდოევი.

იოსებ მამაცაშვილი, ეს არის განათლებული აზნაური რუსულისა და ქართულის მცოდნე ამას თითქმის არავინა სჯობს. სუდა ი რასპრავის პერევოდჩიკი.

დიმიტრი ყიფიანოვი, ყმაწვილი კაცი რუსულის და ქართულის კარგათ მცოდნე, სკოლაში უჩიტელი და პერევოდჩიკი დეპუტათ სობრანიაში.

სოლომონ რაზმაძე, ***) ეს ეხლა გადმოვიდა რუსეთიდან ბატონიშვილებთან იყო. კარგი და განათლებული კაცი ესენი ყოველ დღე ერთადა ვართ და ადვილად შეიძლება ამათი მოქცევა. მამაო მწერთ პოპეიკა გაიცან ჩემთვის საჭირო არისო. იმას თუმცა ვიცნობ, მაგრამ ახლო ვერ ვიც-

---

*) წერილის ამ ნაწილში გ. ერისთავი ფიცს აძლევს ფილადელფოს „საზოგადოების" წევრობაზე და ერთგულობაზე.

**) ფილ. კიკნაძის მიერ შედგენილს ფარულ საზოგადოების მისტიურ წესდებას ეწოდებოდა: „აქტი გონიური". ცენტრო არქივში ინახება ეს წესდება ფ. კიკნაძის ხელით დაწერილი.

***) ს. რაზმაძე სპარსეთში ყოფილა და მოლაპარაკება ჰქონია იქ მყოფ ქართველ ემიგრანტებთან.

ნობ, ალექსანდრე კარგათ იცნობს და სულ ერთია, თუ გინდ მე მიცვნია, ოღონდ შენ წამოდი თორემ სულ ყველა აღვილია. ხომ იცი ჩამოხვალთ არქიერის სანახავად. ძალიან კარგი კაცია, კარგად გაზდილი და განათლებული. იმას აქვს ხარისხი დოხტურის ფილოსოფიისა. ჩამოდი სუყველას კარგად მოვახერხებთ. შენზედ ცუდი აზრები მოგახსენე ჰქონდათ, მარამ მე და დოდოევმა ყველას დაუკარგეთ.

მრავალსა სურს შენი ხილვა, მე პახოდში ვაპირობ. ჩვენი საზოგადოების აზრით, რადგანაც ბევრი თავადნი მიდიოდნენ ისინი მეშოვნა ჩლენად, *) მაგრამ ასეთები მიდიან პურის ჭამაც არ იციან. მე ლუბერნატორთან ვაპირებ შესვლას. კიდეც მიმილო. ჯერ კი არ ვიცი რა ხელობაში ვიქნები.

შენი გიორგი **).

15 ივნისს.

ასე აწყობდა ქართველი ინტელიგენცია ბატონიშვილების მეთაურობით კონსპირატიულ მუშაობას. მაგრამ საკმარისი შეიქმნა მთავრობას გაეგო მათი საიდუმლო საზოგადოების არსებობა, რომ მათ გულწრფელად მოენანიებინათ თავიანთი ცოდვები და ერთგული მსახურნი გამხდარიყვნენ რუსეთის ტახტისა.

ავიღოთ მაგალითისათვის მეორე მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა — **გრ. ორბელიანი** — ეს მე-19-ე საუკუნის ნამდვილი ფეოდალი. ცხადია, რომ ამ ძველ ფეოდალთა ღირსეულ მემკვიდრეს შეთქმულებაში მონაწილეობით სურდა ძველი საქართველოს აღდგენა. მაგრამ „ფარულ საზოგადოების“ ლიკვიდაციის შემდეგ მისი პატრიოტული განწყობილება ძირეულად შეიცვალა და მანაც ქედი მოიხარა ნიკოლოზ პირველის ტახტის წინაშე. თავის ცნობილ **სადღეგრძელოში**, შემდეგი ხოტბა შეასხა ნიკოლოზ პირველს: [20]).

---

*) ე. ი. ფარული საზოგადოების წევრებად.

**) იქვე.

[20]). ეს ლექსი დაწერილია 1827 წელს. პირველ ვარიანტში ნიკოლოზის ხოტბას არა აქვს ადგილი, ის პოეტმა შემდეგში შეიტანა.

ხელმწიფეე ჩვენო,
ძლიერო, ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელობითა,
მხედარნი შენნი,
ერთგულნი მხნენი
ვჰსვამთ შენს სადღეგრძელოს მოწიწებითა.
გული ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ
შესაწირავად;
ტაძარი შენი ჰსდგას გულსა ჩვენს, მოკვდ მ'შვიდობის ჩვენ-
და საკმევად.

ძველი ივერი,
შენი ივერი,
შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა,
შენგან მოელის,
რომ სწავლის ლამპარსა
კვლავ აღუნთებ ძველად გამქრალსა.

. . . .

თამარის დღენი,
დიდების დღენი,
შენ მოუვლინე შენსა ივერსა...
ღმერთო გვისმინე,
მეფეს მოჰფინე,
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციურ!
ჩვენდა დიდებად,
ბედნიერებად.
მეფე გვიცოცხლე მრავალ-ჟამიერ. [21]).

ეს ლექსი საუცხოოდ ახასიათებს ქართველი ინტელიგენციის სულიერ განწყობილებას და პოლიტიკურ მრწამსს 1832 წლის შეთქმულების ლიკვიდაციის შემდეგ. აქ გრ. ორბელიანის ლექსში ერთად არის შეზავებული უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი (საქართველოსადმი) და ღრმა პატივისცემის გრძნობა რუსეთის ტახტისადმი. ტახტი და სამშობლო, რუსეთის მეფე და საქართველო ეს ორპირიანი ერთიანი სიმბოლო გრ. ორბელიანისა და მთე-

---

[21]) ნ. ბარათაშვილი: ლექსები გვ. 76, 1922 წ.

ლი მისი მიმყოლე ქართველ ინტელიგენციისათვის. ინ-ტელიგენციამ, როგორც თავად-აზნაურულმა წოდებამ, ქედი მოიხარა რუსეთის ტახტისადმი და მისი ერთგულ შინაყმად გარდაიქცა. საქართველოში, ფეოდალური ინ-ტელიგენცია, რეაქციონური თავისი სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებით, ერთად ერთ ხსნასა და ბედნიერებას სა-ქართველოსათვის რუსეთის ტახტის გაძლიერებაში ხედავ-და. ეს ინტელიგენცია გაორდა თავის პატრიოტულ გრძნო-ბაში, გაიბზარა თვის ეროვნულ პოლიტიკურ მიმართუ-ლებაში.

ამ პროცეს ვერ ასცდა ვერც მაღალი ნიჭით მოსილი, სათუთი რომანტიული გრძნობით აღსავსე ჭაბუკი **ნიკ. ბა-რათაშვილი.**

ნ. ბარათაშვილის პირველი ხანის შემოქმედება — ეს ტანჯვა არის საქართველოს ბედით, იგი მალულად ოცნე-ბობს ძველი საქართველოს თავისუფლების აღდგენაზე. პოემა **ბედი ქართლისა** ეს ავტორის პოლიტიკური კრედოს გამომზეურებაა. ყრმა პოეტმა ამ პოემაში სენატორ ლეო-ნიძის პირით მეფე ერეკლე პოლიტიკურ დისპუტში გა-მოიწვია ქართლის ბედის საკითხის გამო, და თითქმის პო-ლიტიკური ბრალიც დასდვა მას. ვის არ ახსოვს მსაჯულ ლეონიძის პასუხი მეფე ერეკლეს შეკითხვაზე საქართვე-ლოს რუსეთთან შეერთების შესახებ.

„რასა მიბრძანებთ ჰკადრა მან მეფეს,
ბატონო ღმერთი გადღეგრძელებდეს.
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა.
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისიყიდოთ თავისუფლება!
იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა ერთობა ჰრჯულის
არა რას არგებს, ოდეს მისს შორის
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის მაშინ როგორ მოუხდეს

რუსეთის ძალი ქართლს აწინდელსა,
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთა მეფობამ,
რაც მოისურვოს ქართველობამ.
მაშინ, მეფეო, რამდენთ კაცთ მართალთ
მოუკვლან გულნი ტანჯვით იდუმალთ". [22]).

მეფესთან პოლიტიკური კამათის დამთავრების შემდეგ, „მეფის ჰაზრთაგან სულით ღელვილი" მსაჯული „ჰზრახვიდა გულში".

მაგრამ, შენ მეფეე, ვინ მოგცა ნება —
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთგუნვიდე თავისუფლებას.
შენ ერმა მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის!...

ასე მსჯულობდა სოლომონ ლეონიძის პირით თვით პოეტი 1839 წლებში. მაგრამ ბოლოს შმაგ მერანზე უგზოუკვლოდ მქროლავმა მგოსანმა, ქართვლის ბედით გულშეწუხებულმა, მთა წმინდის წიაღში მეოცნებემ, თავისი მერანი კახეთის გმირის — პატარა კახის საფლავზე წამოაჩოქა და თვითონაც ქედი მოიხარა ერეკლეს პოლიტიკით აღფრთოვანებულმა. ამ კლავ მაგარ და პოლიტიკურად შორს მჭვრეტელ მეფის საფლავზე მუხლ მოდრეკილი პოეტი შემდეგნაირად მღეროდა:

„თაყვანს ვცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარ თქმულსა,
გახსოვს სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულსა.
აჰა აღსრულდა ხელმწიფესი აწ ჰაზრი შენი,
და ვჰამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი:
ჟამთ ვითარებით გადახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;

. . . .

[22]) ნ. ბარათაშვილი: ლექსები გვ. 76, 1922 წ.

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალე ცის ქვეშ მოსამკალსა ერთი ათასად.
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი.
აწ არღა ერჩის ქართველის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს ნას განსვენებას მისი აღტყელვა.

. . . . . .

აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს ცრემლთ, აღნაგასა. [28]).

ეს ლექსი არ არის მარტო მხატვრული შემოქმედება, იგი **პოლიტიკური პლატფორმაც არის**, თუ გნებავთ, აქ გამოთქმული აროის ის პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც სარჩულად ედვა თავად-აზნაურულ ინტელიგენციის მოღვაწეობას შემდეგ პერიოდში 1917 წლის რევოლიუციამდე მოყოლებული.

ამ რიგად ამ ინტელიგენციის პოლიტიკური კრედო შემდეგს ფორმულაში გამოიხატება: **რუსეთის ტახტისადმი ერთგულება და სამშობლოსადმი სიყვარული.** ასე შეიცვალა თავად-აზნაურთ წოდების პოლიტიკასთან ერთად ჩვენი ინტელიგენციის პოლიტიკაც. ასე სჭრიდა ეროვნულ პრობლემას ქართველი თავად-აზნაურული ინტელიგენცია მე-19-ე საუკუნეში. მათ სოციალ-პოლიტიკურ პროგრამას შეადგენდა არსებული ეკონომიური რეჟიმის დაცვა და თავად-აზნაურული ელემენტების გაძლიერება. ამიტომ ამ პოლიტიკის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენმა დ.ყიფიანმა გაილაშქრა ბატონ-ყმობის მოსპობის წინააღმდეგ. ამრიგად ჩვენი თავად-აზნაურობა და მისი წრიდან გამოსული ინტელიგენცია ერთგული დამცველი იყო რუსეთის ტახტისა და თავიანთი წოდებრივი ინტერესების მე-19-ე საუკუნის სივრცეზე. პოეზიაში თავად-აზნაურულმა ინტელიგენციამ გაამეფა შემდეგი ძირითადი მოტივები: ძველი საქართველოს იდეალიზაცია და თანამედროვე საქართველოს შესახებ წუწუნი (ალ. ჭაჭვჭავაძე, ვ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი) ღვინისა და ქალის კულტი (გრ.

---

[28]) იქვე.

ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე [24]). ამავე წრიდან გამოსული მაღალ ნიჭიერი ნ. ბარათაშვილი „მსოფლიო კაეშნის“ ხმაზე ამღერდა; არსებითად ამ სევდის **სოციალური წყარო** ქარ. თავად-აზნაურთა ცხოვრების დეკადანსში უნდა ვეძიოთ.

მე-19-ე საუკ. არის ქართველი ბრწყინვალე წოდების დაცემის გამომხატველი. ამ წოდებამ დაჰკარგა თავისი სოციალური დანიშნულების ფუნქციები და სრულიად ზედმეტ ხორცად გადაიქცა ეროვნული სხეულისათვის. შეეძლო ასეთ წოდებას და მის წრეებიდან გამოსულ ინტელიგენციას მიზანშეწონილი ეროვნული პოლიტიკა შეემუშავებია? რასაკვირველია, არა. თავად-აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში საბოლოოდ დაცარცხდა. მისი ეროვნული იდეალები და ეროვნული პროგრამა სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა ჩვენი ცხოვრებისათვის; ტახტის ერთგულება და სამშობლოს სიყვარული პოლიტიკურად და ისტორიულად შეურიგებე-

---

[24]) მხოლოდ თავისი წოდებრივი მდგომარეობით დამთვრალსა და არისტოკრატიული უდარდელობით გაჟღენთილ ინტელიგენტ-ფეოდალს შეეძლო ემღერა 1832 წ. მწვავე პოლიტიკური დამარცხების შემდეგ და ღრმა კრიტიკულ პერიოდში ლოთი მოქეიფის ჰანგზე:

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს,
ლხინით აღვსილი ვსხდეთ ველსა მწვანეს,
ჩვენებურათა,
ძველებურათა,
ვჰსვამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-არალი.
ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა დამტკბარი მის სუნით,
მადასა გაგვიღვიძებდეს.
კახეთის ღვინით აღვსილი
აზარფაშეცა ხელს გვეპყრას,
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიკრელებდენ წინ სუფრას.

ასე ოცნებობდა პოეტი — ფეოდალი „გარდახვეწილი ჩრდილოს წყვდიადსა“ 1832 წ. პოლიტიკური დამარცხების თითქმის მეორე ღღესვე.

ლი აღმოჩნდა. რადგან პირველის (ტახტის) მიზანი სწორედ მეორეს განადგურებაში გამოიხატებოდა. ეს პოლიტიკა პრაქტიკულად დამარცხებული უკვე მე19-ე საუკუნეში, განსაკუთრებული სიძლიერით მოქმედებდა 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ. *) საბოლოოდ ეს პოლიტიკა აღმოფხვრა ოქტომბრის რევოლიუციის შედეგებმა, როდესაც დაემხო ტახტი და ხალხის სხეულიდან აღმოიფხვრა დახავსებული წოდება.

გასული საუკ. მე-60-ე წლებამდე ქართველი ინტელიგენცია ერთ მთლიან პატრიარქალურ ოჯახს წარმოადგენს, რომელსაც უმთავრესად რეაქციონური წოდებრივი ინტერესები ასულდგმულებს. მე-60-ე წლებში თავად-აზნაურთა იდილიური და მშვიდობიანი განცხრომა ახალმა კულტურულმა ნაკადულმა შეარყია: ინტელიგენციის პატრიარქალური ოჯახი დაირღვა და ბრძოლის ველზე ახალი ძალები ახალი სოციალური და პოლიტიკური პროგრამით გამოვიდენ. (დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, თერგ დალეულები). ამ ახალმა ძალამ მნიშვნელოვანი იდეური ბრძოლა გააჩაღა დახავსებული ინტელიგენციის წინააღმდეგ და ახალ აზროვნებას ჩაუყარა საფუძვლები. მეორე მხრით თვით თავად-აზნაურული წოდება განიცდიდა ღრმა სოციალ-ეკონომიურ კრიზისს, დეკადანსს. ამ დეკადანსის გზაზედ შემდგარი ინტელიგენცია გააფთრებით იცავდა თავის რეაქციონურ პოზიციას და ისტორიულად შემუშავებულ ტრადიციებს. (გაიხსენეთ ბარბალე ჯორჯაძისა და სხვათა გამოლაშქრება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ცისკრის ფურცელზე) საილუსტრაციოთ ჩვენ აქ ისევ გრ. ორბელიანის ლექსებზე შევჩერდებით. ამ პოეტის ლექსი **პასუხი შვილთა** — პოლიტიკური ხასიათის სატირა არის, სადაც რეაქციონური წოდების წარმომადგენელი თავგა-

---

*) 1905 წ. ცნობილი მ. მაჩაბელი შემდეგს ამბობდა: „კრიტიკულის თვალითვე რომ განვიხილოთ წარსული, დავინახავთ, რომ რუსეთის გვირგვინოსანთ უყვარდათ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ბიუროკრატია უშლიდა, რომ ეს სიყვარული საქმედ — ექციათ, ამ ბიუროკრატიას უნდა შევებრძოლოთ ჩვენ ყველანი". (იხ. არ. ჯორჯაძის ტ. I).

ძოდებით იცავს ძველ ჩვეულებებს და სოციალურ პირობებს.

მოვიდნენ... და რა.
სულ წაგვემწარა...
ვაი ჩვენ იმედს..... ვაი თქვენს მოსვლას...
პირველად იწყეს,
სკოლა გამართეს.
ვსთქვით: ახლა მხარე გაგვინათლდება....
ყრმანი საწყალნი
უბიწო-გულნი,
ჰსწავლად მოსულნი, წახდნენ ზნეობით.....
უსასოება,
ურწმუნოება,
უმანკო-გულ'ში ღრმად ჩაუნერგეს;
„ლოცვა რათ გვინდა.
ღმერთი რათ გვინდა
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“.....
და დაიწყევლა
თქვენი აქ მოსვლა
და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამი.

. . .

ვაი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს.
თქვენ დაებადეთ მას სადიდებლად.
ან სად არიან.
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალ-ფრაზები.....
„მოყვარს — შეწევნა,
ბოროტსა — დევნა,
საზოგადოების სულით აღდგენა.....
ერთობა, ძმობა,
ზნეთ ამაღლება,
მამულისათვის თავის განწირვა“.
სიტყვა სიტყვაა
საქმე კი სხვაა...

. .

ჰე, სასურველო,
გმირთა მამულო
ნუთუ შენ მართლად ესე დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაუხემწიფხენ ცრუ-პოეტები.
ცრუ-ლიბერალნი,
პატრიოტები.

მესხი,*) მეველე, **) მელიქ-აღები?

ასე ილაშქრებდა ფეოდალურ საქართველოს ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ახალი მიმდინარეობის — ლიბერალური დემოკრატიული აზროვნების წინააღმდეგ, ეს სატირას ფორმით გამოლაშქრება წმინდა პოლიტიკური ხასიათისა იყო. აქ მთელი რიგი მნიშვნელოვან მომენტებისა არის წამოყენებული, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლას აცხადებდენ ძველი საქართველოს წარმომადგენელნი. ლიბერალიზმის ლოზუნგები: ძმობა, ერთობა, თავისუფლება და სხვა საომარ გუნებაზედ აყენებს ფეოდალურ არისტოკრატიას და მას სასაცილოდ არ ყოფნის ეს ლოზუნგები.

ჩვენი აზროვნების მკვლევარნი (ჯორჯაძე, ჟორდანია, აბაშიძე, ხახანაშვილი), ამ ბრძოლას თაობათა ბრძოლით ხსნიდენ. ს. მესხი ამავე საკითხს შემდეგნაირად ხსნიდა 1872 წ. იგი სწერდა:

„დრო წინ მიდის, მას თან მოაქვს ახალი სწავლა, ახალი ჩვეულებანი, ახალგაზრდები ითვისებენ ამ ახალ სწავლას და ჩვეულებას და მოხუცებულნი კი ძველს, შამაპაპურს ადათს არ სცილდებიან... აი აქედან წარმოსდგება ის განსხვავება და ხშირათ, უთანხმოება და სიძულვილი, რომელიც მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შუა არსებობს.....

„ჩვენი მამები ბრალსა სდებენ შვილებს, რომ თქვენ ურწმუნონი, უსაქმონი და ლიბერალები ხართო; ენა წაგ-

*) პუბლიცისტი სერ. მესხი.

**) პუბლიცისტი დ. მიქელაძე.

ციბილწეთო და სხვა ამისთანებს. ბევილებიც თავის მხრივ სხვა და სხვა მრუდე საქმეებს, საზოგადო სიკეთეზე დაუდევრობასა და მხოლოდ თავის საკუთარ თავზე ზრუნვას აბრალებენ მოხუცებულებს. ჩვენი საზოგადოების ორ ნაწილს შორის, მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შორის უკმაყოფილება და უნდობლობა სუფევს" [28])... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ არის ვიწროდ გაგებული ორი თაობის ბრძოლა: **ეს არის ბრძოლა ორი სოციალური ფენის, რომელთაგანაც ერთი წარმავალი იყო, ხოლო მეორეს კი მომავლისაკენ ეჭირა თვალი:** ჩვენი ცხოვრების ეკონომიურმა წარმატებამ ღრმა კრიზისი შეიტანა თავად-აზნაურულ წოდებაში და გამოიწვია მისი დიფერენციაცია. ეკონომიურ ცხოვრების სილრმეში მომხდარმა ცვლილებამ ნაწილი თავად-აზნაურებისა გადახარა ახალი ეკონომიკის მიმართულებით და ფულის მორევში ჩაითრია. ეს მცირე ნაწილი ვერ შეურიგდა არსებულ წყობილებას და ცხოვრების ფონის გაფართოებას მოითხოვდა. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა ქართული ლიბერალიზმი, რომელსაც შეტაკება მოუხდა რეაქციონური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ამ რიგად ეს იყო ბრძოლა ორი თაობის იმდენად, რამდენადაც ისინი გამართლებას პოულობდენ სოციალური ცხოვრების სხვა და სხვა ფენებში. თვით ცხოვრების სილრმეში მომხდარმა უთანხმოებამ გამოიწვია იდეოლოგიურ ფრონტებზედაც ბრძოლა.

ძველი არისტოკრატიული მემკვიდრეობის წარმომადგენელნი ვერ შეურიგდნენ, რომ ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას დაეპატრონენ და მეთაურობას უწევდენ ნაცვლად ფარხმალ-შესხმულ გმირ-მეომართა, ახალი სწავლითა და ცოდნით აღჭურვილი კულტურული თაობა, რომელიც, შესაძლებელია, თავისდა შეუმჩნეველად, მიისწრაფოდა ბურჟუაზიულ ურთიერთობისაკენ; საერთოდ ჩვენი ცხოვრების „ხმალის კულტს" ფულის კულტი სცვლიდა გარკვეული ფორმებით: ფეოდალის ურთიერთობა ადგილს უთმობდა ახალ სამეურნეო ფორმასაც.

---

[28]) ს. ვესხის ნაწერები. გვ. 69 — 70.

გრ. ორბელიანის სატირა პესიმისტური პოლიტიკური ბუტადა (აღშფოთება) არის უკვე სოციალ-ეკონომიურად და იდეოლოგიურადაც დეკადანსის თავდაყირა გზაზე შემდგარ წოდებისა.

3. ქართული ლიბერალიზმი.

მე-60-ე წლები მე-19-ე საუკ. ისტორიაში ჩვენი კულტურული აღორძინების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. მოხდა ქართული თავად-აზნაურული ინტელიგენციის პატრიარქალური ოჯახის ორ ბანაკად გაყოფა, მოწინავე წრეების მოწინააღმდეგე ბანაკებად დარაზმვა: ერთის მხარეზე დადგა ძველი თაობა, შეიარაღებული ძველი ტრადიციებით და ვიწრო წოდებრივი ინტერესებით, მეორე მხარეზე — ახალი თაობა, შემომტანი ახალი იდეებისა საქართველოში.

ძველი არისტოკრატიული ინტელიგენცია გაკოტრდა ყოველის მხრით, ეს ნათელი და აშკარა შეიქმნა ახალი კულტურული თაობისათვის. 1873 წ. **ნიკო ნიკოლაძე** შემდეგნაირად ახასიათებდა ძველი ინტელიგენციის საქმიანობასა და საზოგადოებრივ ფიზიონომიას. ავტორი სწერდა:

„რა სამკვიდრებელი დარჩა ჩენ ძველ თაობას? **ეკონომიურის მხრით** იმას გაღარიბებული და გატყავებული ხალხი და უმოქმედო, უხეირო აზროვნება ღუპავს. **პოლიტიკური მხრით** ზნე დაცემული, გაცალცალკეევებული საზოგადოება, რომელსაც არა თუ ძველი გმირების სული დაუკარგავს, მათი სახელიც არ ახსოვს. **ზნეობის მხრით** — გაფლიდებული უხასიათობა, დაცემული ხელის ლოკვა, ძლიერის თაყვანის ცემა, სამართლიანობის დავიწყება. **ლიტერატურული მხრით** დაცემული მწერლობა, დავიწყებული ენა, დაფანტული და დამახინჯებული ძველი ლიტერატურა; **გონების მხრით,** — სრული უაზრობა, ძველი ჩვენი ლიტერატურის უცოდინარობა, ახალი ცხოვრების გაუგებრობა.. რომელ დიდებაზედ მიგვითითებს ძველი ჩვენი თაობა? იმან თვითონ თავისი საკუთარი ხელით დაამხო და მტვერი წააყარა ამ დიდებას და იმაზე უფრო გულ-

მწველად იხსენიებს ამ დიდებას ჩვენი და არა მათი თაობა. რა საუნჯეს დაგვანახვებს, რომელ გმირს წარმოადგენს, როგორ ლიტერატურულ მოძრაობას, რომ ჩვენი გაკიცხვა და გაახლების სურვილი წალაგმოს. არაფერს, არც ერთს. ის სულ ცარიელია, გაკოტრებულია... კარგი იქნებოდა, რომ მომავალი თაობების სამაგალითოდ, ძველი თაობის მოთავე პირებს რომ ძეგლი აუგოს ჩვენმა ხალხმა და ზედ ეს წარწერა ამოსჭრას: აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარგებლობა ღმერთად მიაჩნდა, რომელიც ბრმად ატარებდა თავის სიცოცხლეს და დაბრმავების გამო ახალი ცხოვრების ფეხ-ქვეშ გაითელა" [26]).

აქ მეტად მკაცრი და საფუძვლიანი საბრალმდებლო ოქმი არის ძველი დრომოქმული ინტელიგენციის წინააღმდეგ წარდგენილი. ახალი ინტელიგენტური თაობის ამ პოლიტიკურ ფსტარში განადგურებული არის ძველი თაობა, როგორც უმოქმედო და გონებრივად ჩამორჩენილი რამ:

როგორც აღვნიშნეთ ქართველი ინტელიგენციის ორ ბანაკად დაყოფას სარჩულად ედვა სოციალური მიზეზები*): ახალი თაობა იყო გამომხატველი იმ ახალი სოციალური ფენისა, რომელიც ჩვენი ცხოვრების სიღრმეში წარმოიშვამე-19-ე საუკ. პირველ ნახევარშივე. ქალაქური ცხოვრების განვითარებამ ჩვენში და განსაკუთრებით კი ვორონცოვის პოლიტიკამ ძლიერ შეარყია თავად-აზნაურთა სოციალური და ეკონომიური ცხოვრება. ვორონცოვს მიზნად ჰქონდა დასახული ფართოდ გაეღო კარები რუსეთის სავაჭრო კაპიტალისათვის. ამიტომ ის გარკვეული ეკონომიური პოლიტიკის გატარებას შეუდგა ამიერ-კავკასიასა და საქართველოში. ამ პოლიტიკამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა თავად-აზნაურთა ეკონომიურ მდგომარეო-

---

[26]) კრებული № 1 1873 წ. ნ. სკანდელის წერილი.

*) თავად-აზნაურთა დიფერენციაციას და მათ ინტერესთა სხვადასხვაობას ნათლად გამოხატავდა აგრეთვე ის პროექტებიც, რომელნიც წარდგენილი იქნა თავად-აზნაურულ წრეების მიერ ბატონ-ყმურ ურთიერთობის მოსპობის შესახებ. დ. ყიფიანის ნახევრად კონსერვატიულ პროეტქს დაუპირდაპირდა უმცირესობათა და მამაციშვილ — ჭავჭავაძის ნახევრად — ლიბერალური და ლიბერალური პროექტები.

ბაზე. თავად-აზნაურობამ იგემა ფულის მნიშვნელობა და მას დაუწყო ტრფიალი. შეიქმნა ახალი სოციალური ფენა თავად-აზნაურთა წოდებაში, რომელიც ფულის ინტერესს აყენებდა პირველ რიგში. 1859 წ. **ალ. ორბელიანი** „ცისკრის“ ფურცლებზე სწერდა თავად-აზნაურობის შესახებ: „ისე გავლარიბდით რომ ღარიბ გლეხ კაცზე უფრო მოშეტებით, **თუ ვაჭრობისათვის არას ვიფიქრებთ და სხვას შესამატს კარგსა...** აღარც თოფი, აღარც ხმალი, ვმადლობ ღმერთსა, მაშასადამე რაღაც მნიშვნელობაა, იქ რა არის საჭირო? **სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა ჰქონდეს ახლა“.** [27]) (ხაზ. ჩვ. ს.ხ.) ჩვენ ვფიქრობთ, რომ მე-60 წლების ქართული ლიბერალიზმის სოციალური საფუძვლები უმთავრესად თავად-აზნაურთა ამ ახალ ფენებში უნდა ვეძიოთ, ხოლო იდეოლოგიურად მან დიდი გავლენა განიცადა მე-60-ე წლ. რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობისა. ქართველმა ინტელიგენციამ პირველად მე-60-ე წლებში გაასკვნა მაგარი კავშირი რუსეთის ინტელიგენციასთან და მასთანავე აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთო მოძრაობის ფერხულში. ინტელიგენტიამ შეითვისა რუსეთის პროგრესიული და ლიბერალურ დემოკრატიული აზროვნება და მათი გადმონერგვა მოინდომა საქართველოს ნიადაგზე. ამ აზროვნების სოციალური შინაარსი ვერ არის თავისუფალი თავად-აზნაურულ მიდრეკილებისაგან: **არსებითად იგი თავად-აზნაურულ ბურჟუაზიულ შინაარსისაა** და ამ რიგად ქართულ ლიბერალიზმში თავს იყრიდა როგორც თავად-აზნაურული ლიბერალიზმის ნაკადი, ისე ამომავალ კლასის ბურჟუაზიის აზროვნებაც. მე-60-ე წლების ქართული ლიბერალიზმის საუკეთესო წარმომადგენელი არის ილია ჭავჭავაძე. ილია, როგორ პოლიტიკური მოღვაწე. და პუბლიცისტი, ვერ იშორებს თავიდან საკუთარ თავად-აზნაურულ იდეოლოგიას, მაგრამ ცდილობს შეუთანხმოს იგი ახალ ცხოვრების ქროლვას და შეარიგოს

---

[27]) იხ. ცისკარი 1859 წ. № 10.

მიმავალი წოდება ახლად მომავალ პროგრესიულ ძალას, გამოაბას სასიკვდილოდ გამზადებული თავად-აზნაურობა ეკონომიურად მომქმედი სოციალური კლასის გემს. რასაკვირველია ასეთი პოლიტიკა ძლიერ ხშირად მარცხით თავდება და 80-იან წლებიდან ილ. ჭავჭავაძემ არსებითად გადახარა თავისი პოლიტიკა თავად-აზნაურობის მხარეზე და ალექსანდრე მე-III-ს რეაქციონური პოლიტიკას დაუჭირა მხარი.

ქართული აზროვნების მკვლევარნი ილიას პოლიტიკურ ფიზიონომიას სხვა და სხვანაირად აშუქებენ. ნ. ჯორდანიას დახასიათებით ილ. ჭავჭავაძე უმთავრესად კონსერვატორი და რეაქციონერი პოლიტიკური მოღვაწე არის *), არჩილ ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძის დამახასიათებელ თვისებას მის დემოკრატიზმში ხედავს **). ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთი ეს დახასიათება არ არის სავსებით ამომწურავი ილიას სოციალ-პოლიტიკური ფიზიონომიისა. ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზროვნება შეიძლება ორ დიდ პერიოდათ გაიყოს: **პირველი პერიოდი** განისაზღვრება დაახლოვებით 1877 წლით, ამ ხანებში ილია ჭავჭავაძე ქუდ მოხდილი სდგას რუსეთის პროგრესიულ და ლიბერალურ-დემოკრატიულ მოაზროვნეთა გავლენის ქვეშ და მის პოლიტიკურ ფიზიონომიასაც ახასიათებს რადიკალიზმი. არსებითად აქ შეზავებულია მე-60-ე წლების რუსეთის რადიკალური აზროვნება თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიულ აზროვნების ელემენტებთან... **სოციალური საშო ამ პოლიტიკურ აზროვნებისა თავად-აზნაურულ ლიბერალიზმისა და ბურჟუაზიულ რადიკალიზმის შეუღლებაში გამოიხატება.** ამ პოლიტიკურ რადიკალიზმს განსაკუთრებით ფარდას ხდის ილიას მხატვრული შემოქმედება, სადაც იგი რევოლიუციონურად აღტყინებულ, ბატონ-ყმურ ურთიერთობის წიაღიდან გამოსულ თავისუფლებისათვის მებრძოლ კაკოს, ზაქროსა და გაბოს უქერს მხარს და თითქმის შრომის სუ-

---

*) იხ. ჯორდანია: „ქართული პრესა" 1900 წ.
**) ჯორჯაძე: თხზულებანი ტ. II — 1911 წ.

ფევის ქადაგებამდეც მიდის. აქ ნათლად სჩანს მესამოცე წლების რუსული რადიკალიზმისა და რევოლიუციონური აზროვნების გავლენა.

ილ. ჭავჭავაძის ამ მიდრეკილებას განსაკუთრებით ააშკარავებს აგრეთვე 1872 წლის ერთი მისი წერილი, დავით ერისთავისადმი; ილია სწერს: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებსა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა სჩანს. მე კი ასეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა სჩანს". *).

მეორე პერიოდი იწყება დაახლოვებით 1877 წლით. ამ ხანებში ილიამ საკმაოდ გადახარა თავისი პოლიტიკური საქე თავად-აზნაურობისაკენ და წოდებათა შორის მორიგების საქმეს შეუდგა. (იხ. მისი „ცხოვრება და კანონი„). ამ პერიოდში ილიას საზოგადოებრივი ფიზიონომია ხასიათდება უმთავრესად **თავად-აზნაურული ლიბერალიზმით და ნაკლები გადახრით ბურჟუაზიისაკენ.** ილიას უმთავრესი საზრუნავი გახდა სოფელი, გუთნის საკითხი, წოდებათა შორის ხიდის გადება, **) მათი მორიგება ეს არის მისი თ-აზ. პოლიტიკური ოპორტიუნიზმის დამახასიათებელი თვისება. იგი ბოლომდე დარჩა ნახევრად პროგრესისტი, ნახევრად ლიბერალი და ნახევრად კონსერვატორი. მაგრამ ერთ დროს პროგრესისტი—დემოკრატი და რადიკალურად განწყობილი ილია ჭავჭავაძე თავის მოღვაწეობის მეორე პერიოდში აშკარად გადაიხარა რუსეთის მონარქიის მხარეზე. არჩ. ჯორჯაძე სწერს მის შესახებ: „ილია ჭავჭავაძე ამაყობდა თავისი ერთგულობით (ტახტისადმი) და საჯაროდაც აშეღავნებდა თავის ლოიალურ გრძნობებს. ამ სტრიქონების დამწერს ერთ საუბრის დროს ეუბნებოდა განსვენებული ილია: ახალმა თაობამ კარგათ უნდა დაიმახსოვროს ერთი რამ. ჩვენ უნდა ვიყვეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა... თუ გინდათ, რომ ჩვენ უფლე-

*) ილ. ილ. ჭავჭავაძე ტ. I გვ. 373, 1925 წელი.

**) იხ. ივერია 1881 — 83 წლების.

ბად ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოთ, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპიო.“ (ჯორჯაძის წიგნი 2 გვ. 223—4 *). ეს ნათლად ამოწმებს ქართული მე-60 წლების ლიბერალიზმის გაკოტრებას, .მისი ეროვნული და პოლიტიკური პროგრამის სრულ განადგურებას. მაგრამ თავის დროზე ამ ლიბერალიზმმა დიდი პროგრესიული როლი ითამაშა ჩვენს ცხოვრების და საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში. მან შემოიტანა ჩვენში რუსეთის პროგრესიული იდეალები პირველად და ევროპიულ აზროვნებას ჩაუყარა ჩვენში ნიადაგი. ბრძოლა ბატონ-ყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ, ქართული სკოლის, ქართული ენის და ქართული კულტურის გაუმჯობესება ქართველ ლიბერალების სამოღვაწეო პროგრამად გადაიქცა. განსაკუთრებული ეროვნული პროგრამის წამოყენება საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის შესახებ ამ ლიბერალურ მიმდინარეობამ ჩვენში სცადა იმ პერიოდში. ხოლო შემდეგში (80 წლებიდან) მან სავსებით შეითვისა თავად-აზნაურულ რეაქციონურ ინტელიგენციის პოლიტიკური კრედო.

მაგრამ ქართულ ლიბერალიზმს 60-70 წლებში მეორე მიმდინარეობა ჰქონდა, უფრო რადიკალური და დემოკრატიული, ვინმე იყო ი. ჭავჭავაძის ლიბერალიზმი. ამ ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობის მეთაურად შეიძლება ჩაითვალოს გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ს. მესხი. გ. წერეთელი აღარ იხედება უკან. ი. ჭავჭავაძისავით თავად-აზნაურობისაკენ; მისი სამოღვაწეო პროგრამა ბურჟუაზიული შინაარსისაა და მას კარგად ესმის ის დიდი როლი და მნიშვნელობა, რომელიც მოიპოვა ამ ახალმა კლასმა ცხოვრების წარმატებაში (იხ. კრებული № 3, 4 1873 წ.), ამიტომ იგი ვაჭარ-მრეწველთა კლასის გამრავლებას და ბურჟუაზიული კლასის მებაირახტრეთ გამოდის. ამ

---

*) ა. ჯორჯაძის სიტყვები ეხება ილიას მოღვაწეობის უსანასკნელ ხანებს. მე-60-ე და 70-იან წლებში იგი საკმაოდ რადიკალურად იყო განწყობილი ეროვნულ საკითხში და „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს“ ლოზუნგის წამოყენებაც სურდა.

ასევე იგი არ. ჯორჯაძის წინამორბედი არის. ჟურნალ „კრებულში" გ. წერეთელი სწერს:

„აწ რა რკინის გზა გაიხსნა (1871 წ.) და იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარ ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი, შენი დედა ქალაქი და საქართველოს ბურჯი გაიეწე ხალხს ჩაუგდია ხელში. შენ ეს აქამდის არ იცოდი და რომ გცოდნოდა მაინც, აქამდის ვერას ვაარიგებდი, აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზზედ. ახლა იქ არის ბურთი და მოედანი. დაიწყეთ ტფილისის სავაჭრო ბაზარშიდ მიწოლა და ვაჭრობა ისევ თქვენ დაირჩინეთ. უამისოდ ტფილისიც სამუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპული. ამას გარდა რკინის გზა ძალიან მჭიდროდ აახლოვებს ამ ერთი-ერთმანეთს წინააღმდეგ ხასიათების ხალხს, იმერლებს და ქართლ-კახელებს" [28]).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ვაჭრული და წმინდა ბურჟუაზიული ეკონომიური პოლიტიკით დაინტერესებული იყო თითქმის მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ. 70-იან წლებში დაწერილ წიგნაკში „ნაროდნიკი" და ნიღილისტურად განწყობილი ანტონ ფურცელაძეც კი შემდეგს სწერდა:

„ყველა ამ ნათქვამებიდან ცხადია, დავარდნილი ხალხი, თუ უნდა რომ არ აღიგავოს პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა ამ საშინელს ჩუმს, მაგრამ უფრო შეუწყნარებელს, ვიდრემ სხვა რიგი ბრძოლა, ეკონომიურს ბრძოლაში, უნდა იმან მედგრად მოჰკიდოს ხელი მექარხნეობას, მრეწველობას, კომერციას და თან მიაყოლოს მიწათა-წალმართობა. უფრო კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ვაჭრობა მექარხნეობა-მრეწველობას და ერიდოს მარტო მიწით-წალმართობაზედ დანდობას რომელსაც, როგორც ზევით უჩვენეთ მოსდევს ერისთვის საშინელი ბოლო" [29]). (ხაზი ჩვენია ს. ხ.).

---

[28]) იხ. კრებული № 3, 4, 1873 წ.

[29]) ან. ფურცელაძე: „ეაცობრიობა და ხალხოსნობა" გვ. 68.

გ. წერეთელისა და ან. ფურცელაძის პროგრამა უაღრესად პრაქტიკული და პროგრესიულ რევოლიუციონური იყო ჩვენი მაშინდელი ეპოქისათვის და ეკონომიური კითხვების ამგვარი სახით დაყენება სრულიად ახალი და უჩვეულო ხილი იყო ჩვენი ერის ისტორიაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების პროგრამა გამართლებული და დასაბუთებული არის ჩვენი ერის ობიექტიურ — პოლიტიკურ მდგომარეობით. ბურჟუაზიის განვითარება გააძლიერებს ჩვენს ერს და ხელს შეუწყობს მისი ეროვნული თვით არსებობის დაცვას, ასეთი არის ამ მსჯელობის ძირითადი მოტივები. ამავე მოტივებით იცავდა არ. ჯორჯაძე ქართულ ბურჟუაზიის განვითარებას ჩვენში. აღსანიშნავია ის ფაქტიც „ნაროდნიკულად" განწყობილი ა. ფურცელაძე ბურჟუაზიის ეკონომიკურ პროგრამის დამცველადაც გამოდის ჩვენში. ჩვენი ცხოვრების წინ მსვლელობამ და ასლად წამოჭრილმა საკითხებმა ინტელიგენციას პრაქტიკული უნარი გაუღვიძა. რეალურ ცხოვრების სინამდვილესთან შეაჯახა და ჩვენი წარმატებისათვის საჭირო ამოცანები დაუსახა გასახორციელებლად. ახალი თაობა ინტელიგენციისა ღვინის, მოთალის და მწვადის შუშხუნით კი არ ერთობოდა, არამედ ღრმა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ამოცანებით. ამომავალი ბურჟუაზიული კლასის მესვეურები პრაქტიკულ ნიადაგზედ იდგენ და პრაქტიკულ სამოქმედო პროგრამას აყენებდენ განსახორციელებლად. ამ პროგრამის ძირეული შინაარსი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათისა იყო. თვით **ნ. ნიკოლაძე**, რომელიც იმ ხანებში სოციალისტურად იყო განწყობილი და თავის პროგრამითა და პრაქტიკული საქმიანობით ბურჟუაზიულ განვითარებას უწყობდა ხელს, ერთ თავის შენიშვნაში 1907 წელს იგი სწერდა: „არავითარი მომზადებული ნიადაგი (70-იან წლებში) არ იყო და ჩემი პროპაგანდა იყო არა ნიღილისტური, არამედ ერობისებური: **მოწოდება თვითმართველობისაკენ.** ეს მტკიცდება პირველი ჩემი ბროშიურით ქართულ ენაზე, რომელიც გამოცემული იყო 1871 წ. „ერობა და მისი მნი-

შვნელობა". [30]). პრაქტიციზმის სუნით არის გაჟღენთილი ს. მესხის შემდეგი სიტყვებიც, დაწ. 1975 წელში:

„ჩვენის აზრით, ისეთი დროა ახლა ჩვენში და ისეთ მდგომარეობაში ვართ, როდესაც წმინდა მეცნიერების შეს წავლას თითქმის სრულიად არ უნდა ჰქონდეს ალაგი. ყოველი ნასწავლი ქართველი ზნეობით და სხვა ყოველი მხრით ვალდებულია ხალხის ოფლისა და მეოხებით შეძენილი სწავლა განათლება ისევ ხალხს მოახმაროს...

„...მამულის ყოველ ნამდვილ შვილს ყველაზედ პირველად თავის სასიამოვნო და სასარგებლო შრომათ მხოლოდ ის უნდა მიაჩნდეს, რაც ამ მომავლისათვის სასარგებლო და გამოსადეგია. კერძობით მიდრეკილება, საკუთარი პიროვნული სიამონება ხშირად უნდა დაივიწყოს, თუ ეს საზოგადო, სამშობლოს სარგებლობას არ ეთანხმება". [31]).

მაგრამ ეს წერეთელ-მესხის ჯგუფი სხვა მხრივათაც არის საინტერესო: **მათ ეტყობათ ცდა ეროვნული კითხვის პოლიტიკურ ნიადაგზე დაყენებისა.** გ. წერეთელი 1879 წ. ამიერ-კავკასიის ერთა ურთიერთობის შესახებ სწერდა:

„დღეს კავკასიის აქეთი მხარის ნიადაგი სამ მკვიდრს განათლების მიმდევარ ხალხს უპირავს: ქართველ კავკასიის ტომებს, სომხის და თათრის ტომებს. **ეს სამი ტომი დღეს კავკასიის აქეთა მხარეში მკვიდრი მოსახლენი არიან, ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან, ერთმანეთის მტრობით კი დაიქცევიან...**

„ჩვენ საქართველოს ხალხს და იმათს დაწინაურებულს კაცებს დღეს ბაირაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთთან დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა, სამივე ერის გულისათვის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაურ ცუდის გასწორება, რომელიც ასე აჩერებს ჩვენს კეთილ-მდგომარეობის გზაზე წინ წასვლას" [32]).

---

[30]) იხ. Быльё № 10, 1907 წ. გვ. 163.
[31]) ს. მესხის ნაწერები ტ. I გვ. 312 — 313.
[32]) იხ. **დროება** № 13 — 16. 1879 წ.

მეორე მხრით ეს ჯგუფი იცავს არა მონარქიზმის შეკეთების, არამედ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ფედერატიულ მოწყობის პროგრამას. **ივ. ჯაბადარის** მოგონებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ამ ჯგუფს 1874 წელში ჟენევაში მოუწვევია კონგრესი, რომელსაც დასწრებია სომხეთის და დაღესტნის წარმომადგენელებთან ერთად ქართული საზოგადო მოღვაწენიც; მათ შორის: გ. წერეთელი, ალ. სარაჯიშვილი, ივანიშვილი, პ. მელიქიშვილი, ალ. ციციშვილი, (ნაროდნიკი) ნ. ნიკოლაძის ორი და, ელიოზაშვილი, სერგო და კოსტანტინე მესხები, ჩიკოიძე და ჯაბადარი (ნაროდნიკები) და სხ. გარდა ნაროდნიკებისა ქართველ მოღვაწეებს წამოუყენებიათ **ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის შექმნის პროექტი** (იხ. **ი. ჯაბადარი** „Процесс 50-ти" Былое № 9, 1907 წ.) რასაკვირველია ეს პროექტი პროექტად დარჩა, მაგრამ ქართული აზროვნების ისტორიისათვის ასეთ ცდას მნიშვნელობა აქვს. რეაქციონური თავად-აზნაურობა უკვე 30-იან წლებიდან გამოეთხოვა ეროვნულ პოლიტიკის წამოყენებას. მან ქედი მოიხარა რუსეთის მონარქიის წინაშე. 60 — 70 წლებში ბურჟუაზიული ინტელიგენცია ცდილობს ეროვნული პრობლემის განახლებას და ახალი ეკონომიური კითხვების წამოყენებას. მაგრამ მის მოღვაწეობას გასაქანს არ აძლევს დიდტანიანი რუსეთის ბიუროკრატიულ მონარქიულ სახელმწიფოს აპარატი. ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგებიც პოლიტიკურ რადიკალიზმამდე მიდიან და კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის პროგრამას აყენებენ. არსებითად ბურჟუაზიულ ინტელიგენციას სურს ეროვნული პროგრამის წამოყენებით ხელში ჩაიგდოს პოლიტიკური ძალაუფლება ამიერ-კავკასიაში და ფართოდ გაუხსნას გზა ბურჟუაზიულ განვითარებას ჩვენში. ამრიგად ეროვნული პრობლემა 70—80 წლებში ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ გამოაცოცხლა, მაგრამ რადგანაც ამ პერიოდში ბურჟუაზიული ფენები ჩანასახის პერიოდში იყო, ამიტომ ის პროგრამაც უშედეგოდ დარჩა და მხოლოდ ინტელიგენციის ნაწილი ესარჩლებოდა ფარულად. 1900 წლებისთვის

გ. წერეთლის როგორც ეკონომიური, ისე ეროვნული პროგრამა გამოაცოცხლა არ. ჯორჯაძემ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 50-60-70 წლები ჩვენი კულტურული რენესანსის და აყვავების პერიოდია. ამ პერიოდში საზოგადოებრივი ძალები საკმაოდ დაიჭიმა, კულტურული ცხორების ფონი ახალი მოვლენებითა და ვარდ-ყვავილებით შეიმოსა. *) ეს არის ეპოქა ქართული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოსვლისა სამოღვაწეო ასპარეზზე, ეს არის ახალი აზროვნებისა და იდეოლოგიური მიმდინარეობის დასაწყისი, ახალი კულტურულ-იდეოლოგიური ფრონტის გაჩაღება ჩვენს საზოგადოებაში. აი, როგორ აგვიწერს ამ ეპოქას ს. მესხი გაზ. დროების 10 წლის არსებობის აღსახიშნავად დაწერილ სტატიაში. ავტორი ამბობს:

„დროებამ ისეთ დროს დაიწყო გამოსვლა (1866 წ.), როდესაც, ხანგრძლივი ძილისა და მყუდროების შემდეგ საქართველომ თითქო გამოღვიძება დააპირა.

„ეს ის დრო იყო როდესაც ჩვენმა ხალხმა ცოტ-ცოტათი დაიწყო თავისი ცხოვრების წესებისა და ხასიათის მიტოვება, და ახალ თანამედროვეს ცხოვრებას შეუდგა. ეს იყო ის დრო როდესაც განათლებული ახალგაზრდა ქართველები გაჩნდენ ჩვენში, რომელთაც, ცოტა არ იყოს, შეანძრიეს თითქო გაქვავებული და დამყავებული ჩვენი ცხოვრება.

„ხალხი გრძნობდა ახალ დროს, ახალ ცხოვრებას, მის მოახლოვებას. თვალები და გონება რომ არ ჰქონოდა მა-

*) ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმე ამ წლებში ნათლად ააშკარავებს ქართულ კულტურის მაჯისცემის გაასკეცებას, ცისკარი 1852 — 53 წლებში გამოდიოდა გ. ერისთავის რედაქტორობით. 1857 — 75 წლებში ივ. კერესელიძის. ხაქართველოს მოამბე გამოვიდა ილ. ჭავჭავაძის რედაქტორობით 1863 წელს და იარსება ერთ წელიწადს. გაზ. დროება (1866 — 1885 წელი) პირველად გამოვიდა გ. წერეთლის რედაქტორობით, შემდეგ კი ს. მესხის და ივ. მაჩაბლის. ჟურ. მნათობი (1869 — 72) წ. ავალიშვილის რედაქტორობით. კრებული (1871 — 73 გ. წერეთლის რედაქტორობით. ივერია დაარსდა 1877 წელს ილ. ჭავჭავაძის რედაქტორობით.

"ძინდელ ქართველს, მარტო ყოსვითაც კი შეატყობდა, რომ რაღაც სხვადასხვა მოთხოვნილება გაჩნდაო" [33]).

ჩვენ უკვე დავინახეთ ის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც ამ ახალ ჯგუფს ასულდგმულებდა. მაგრამ ამ პრინციპების უფრო ნათელსაყოფად აქ კვლავ სიტყვა დაუთმოთ იმავე ს. მესხს. იგი სწერს:

„თავისი ათი წლის (1866–76 წ.) სიცოცხლეში „დროებას" ერთი საზოგადო სახელმძღვანელო აზრი ჰქონდა; ეს აზრი იმას არასოდეს არ დაუტოვებია და იმედია არც შემდეგში დასტოვებს:

იმას ესმოდა და ესმის, სამშობლო ენის ლიტერატურის მნიშვნელობა ყოვლის ხალხისათვის; იმას ესმოდა და ესმის, ლიტერატურა საზოგადოდ და პერიოდული განსაკუთრებით ძალაა, რომ ყოველმა პატიოსანმა კაცმა ის ძალა თავის ქვეყნის სასარგებლოდ უნდა მოიხმაროს.

იმას ესმოდა და ესმის, რომ კაცობრიობა ერთს წერტილზე ვერ ჩერდება, დროთა ვითარება თავისას თხოულობს, რომ ერთს ალაგას გაჩერება რომელისამე ხალხისა პირველი და აუცილებელი ნიშანია ამ ხალხის სიკვდილისა და ისტორიულად გაქრობისა" [34]). (ხაზი ჩვენია ს. ხ.).

ასეთი პროგრესიულ-დემოკრატიული დროშით გამოვიდა გაზ. დროება და მისი ხელმძღვანელები 60–70-იან წლებში. ამ დროშის ძირითადი ხასიათი ბურჟუაზიული შინაარსისაა. **თუ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ ფიზიონომიას ახასიათებს თავად-აზნაურული ლიბერალიზმის შეუღლების ცდა მე-60-ე წლების პროგრესიულ-რევოლიუციონურ აზროვნებასთან, მესხ — წერეთლის ჯგუფი ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს უკავშირებს იმავე მე-60-ე წლების რადიკალურ მიმდინარეობას.** ერთიც და მეორეც ახალ ბურჟუაზიული ხასიათის საზოგადოებრივ აზროვნებას ანვითარებენ ჩვენში, ერთიც და მეორეც პროგრესიულ მიმდინარეობას უყრიან ჩვენში ნიადაგს.

---

[33]) მესხის ნაწერები გვ. 341.
[34]) ს. მესხის ნაწერები ტ. I გვ. 344.

4. ნაროდნიკული მიმდინარეობა.

60 და 70 წლები რუსეთის ისტორიაში ცნობილი არის როგორც რევოლიუციონური მოძრაობის ეპოქა. ხალხოსნური მოძრაობა, ხალხთან დაახლოვება და ხალხში სიარული მორიგ ამოცანად გადაიქცა რუსეთის ინტელიგენციისათვის: საქ. თავისი ეკონომიური წყობილებითა და სოციალური შენობით ძლიერ წააგავს რუსეთს. აქაც იმ პერიოდისათვის სამეურნეო ცხოვრებაში გადამჭრელ როლს თამაშობდა ურთიერთობა თავად-აზნაურთა და გლეხობისა. 1864 წ. საქართველომ ახლად მოიშორა ფეოდალიზმის ქურქი და ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ჩამოყალიბდა სოფლის წვრილ-ბურჟუაზიული კლასი — **სოფლის მესაკუთრე გლეხობა** და აგრეთვე ქალაქის წვრილი ბურჟუაზიაც განვითარდა. ცხადია, გლეხობას და წვრილ-ბურჟუაზიას, რომელნიც ჩვენი ხალხის დიდ უმეტესობას შეადგენდა, უნდა გამოსჩენოდა თავისი დამცველი, თავისი იდეოლოგიის მატარებელი ინტელიგენცია. რუსეთის მოძრაობამ ამ მხრივაც დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ინტელიგენციაზე. 70-80 წლებში ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ცხოვრების ფონზე უკვე გამოჩნდენ ნაროდნიკული იდეოლოგიით შეიარაღებული მებრძოლნი. *) მაგრამ ეს მოძრაობა არ იყო ხალხური მოძრაობა; ის მხოლოდ ინტელიგენციის ფენებს ეხებოდა.

ნაროდნიკული მოძრაობა თავის პროგრამის და მოღვაწეობის მიხედვით ორ პერიოდათ შეიძლება გავყოთ მე-19 საუკუნეში: პირველი პერიოდი 70-80 წლებს შეიცავს. ამ პერიოდისათვის ის პროგრესიული მოვლენა არის, რამდენადაც ნაროდნიკული ინტელიგენცია ხელს უწყობდა „სოციალისტურ" იდეების გავრცელებას მო-

---

*) წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიზმის მამამთავრად ჩვენში უნდა ჩაითვალოს დანიელ ჭონქაძე. ნაროდნიკული მიმდინარეობის წინამორბედათ გარდა დანიელ ჭონქაძისა, საქართველოში უნდა ჩაითვალოს ილია ჭავჭავაძეც. რამდენათაც მის მხატვრულ ნაწერებში ადგილი ჰქონდა გლეხის იდეალიზაციას და „შრომის სუფევის" მოტივებს.

სწავლე ახალგაზრდობაში და თავის პროგრამით იცავდა სოფლის წვრილ მესაკუთრეს, რომელიც ახლახან გამოძერა ბატონ-ყმობის ნაშუქიდან. გამაგრება სოფლის წვრილი მესაკუთრისა იმ პერიოდში პროგრესიული მოვლენა იყო ჩვენი ეკონომიკისათვის, რადგან ის ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში. სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია, არტელები, ასოციაციები და საერთოდ გლეხის კულტურის აყვავება და დაცვა — ეს სამეურნეო პროგრამა, წამოყენებული ჩვენი წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის მიერ 70-80 წლებში, ობიექტიურად ხელს უწყობდა ჩვენი სოფლის ეკონომიკის განვითარებას ბურჟუაზიული მიმართულებით და მასთანვე ჰქმნიდა საკირო ბაზას ქალაქის წარმოებისათვის.

აღსანიშნავი არის ის ფაქტიც, რომ მიწის განსაზოგადოების დებულებაც ქართველი რევოლიუციონერების მიერ წამოყენებული იყო 60-70-იან წლებში. უკვე დროების პირველივე წლების ნომრებში მიწის განსაზოგადოების პრინციპი ზოგადათ წამოყენებული არის, ხოლო უფრო გარკვევით და დასაბუთებით იგი დაიცვა **ანტონ ფურცელაძემ** 1873 წელს გაზ. „გუთნის დედაში", 1881 წელში იგივე წერილი („მამულის საერთო მფლობელობა") გამოცემულ იქნა ცალკე წიგნათაც. ამ წერილში ანტონ ფურცელაძე სწერდა: „ამის გულისათვის არჩევენ იმას, რომ დაყოფა სრულიად აღარ იყვეს: იხვნებოდეს და ივლებოდეს მთლად ერთიან ყველა სოფლის მუშა ხელის შემწეობით, და მარტო მოსავალი იყოფოდეს სასოფლოთ ყველა სულზე ცალკე... აქ იგივე მაშინები, რომელიც დღეს მდიდრების ხელში ჰლუპვენ ღარიბ ხალხს. დაეხმარებიან მუშაობაში ხალხს და ერთი ასად შეუმსუბუქებენ ამათ ცხოვრებასა და შრომას ამ გვარის წესით წავა წარმატებაში სასოფლო-მეურნეობაც და აიწევს ერთი ათად და ერთი ასათ ხალხის კეთილდღეობაცა. თუ არ იქნება ამ გვარი-წყობილება, რომელიც ეხლა ავწერეთ, ან იმგვარი წყობილება მაინცა მამულის მფლობელობისა, რომელიც არის რუსეთის მიტოვებულ სოფლებში და რომლებიც ეგრეთვე ჩვენ

ავწერეთ ზემოთ. სასოფლო მეურნეობის სახალხო საბოლოვო შეუძლებელია და უნდა დაეცეს, და წავა წარმატებაში მხოლოდ დიდი შეძლების პატრონთა მეურნეობა, რომელიც მოუღებს ბოლოს წვრილ მეურნეობას და წვრილი მამულების პატრონს". (იხ. ან. ფურცელაძე: „მამულის საერთო მფლობელობა" გვ. 31 — 32).

ანტონ ფურცელაძე ერთ-ერთი თვალსაჩინო მცოდნე იყო ევროპისა და რუსეთის ეკონომიური ცხოვრებისა და ეკონომიურ თეორიების. მას კარგათ ქონდა გაცნობილი რუსეთის ნაროდნიკული მიმდინარეობა და ის პროგრამა, რომელსაც აყენებდენ 60-70-იან წლების სოციალისტები აგრარულ საკითხის მოსაგვარებლად. ფურცელაძემ ეს პროგრამა პირწმინდათ გადმოიტანა ჩვენს სინამდვილეში და ახლად განთავისუფლებულ გლეხებს ურჩევდა მიწების კოლექტიურად დამუშავებას, წინაალმდეგ შემთხვევაში კაპიტალისტური განვითარება მოსპობს წვრილ მესაკუთრეს და გააღატაკებს მას. ასე მსჯელობდა ფურცელაძე. მაგრამ ფურცელაძის მსჯელობის პრაქტიკული ღირებულება მიწის განსაზოგადოებაში კი არ მარხია, — რაც იმ პერიოდში ობიექტიურ-ეკონომიური პირობების გამო შეუძლებელი იყო,—არამედ სასოფლო არტელების დაარსებაში, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდებოდა წვრილ მესაკუთრის ინტერესების გაუმჯობესება.

საერთოდ 60-70-იან წლებში პირველად შემოიჭრა ჩვენში სოციალისტური პრინციპი, სოციალისტური იდეოლოგია. ამ პერიოდში **ნ. ნიკოლაძის** ნაწერებს აშკარად ატყვია სოციალისტური იერი, ხოლო **მნათობის** ფურცლებზე **მ. ქიქოძე** იცავდა სოციალისტურ პრინციპებს. მაგრამ ჩვენი მაშინდელი სოციალისტური მიმდინარეობა, თავისი თეორიული დებულებით რუსეთის და ევროპის წყაროებიდან მომდინარეობდა, საქართველოში მის ნამდვილ სოციალურ საშოს ახლად ფეხ ადგმული ბურჟუაზია წარმოადგენდა. რაც შეეხება ნაროდნიკობას — ეს იყო წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი, უმთავრესად გლეხური მიდრეკილებით. 60-იან წლებში ჩვენში პირველად დაისვა რადიკალურად ბატონ-ყმობის უღ-

ლიდან განთავისუფლებულ წვრილ ბურჟუაზიის — გლეხის პრობლემა და ინტელიგენციის ერთმა ფრთამ მისი მოგვარება ნაროდნიკული პრინციპების მიხედვით მოინდომა. აღსანიშნავი არის ის გარემოებაც, რომ 70-იან წლებში ჩვენში გარკვეეით ჩაისახა ახალი მიმდინარეობა მხატვრულ ლიტერატურაშიაც (ნ. ლომაური, ს. მგალობლიშვილი, ა. ფურცელაძე), რომლებსაც ტეტიათა მოტრფიალეთ უწოდებდენ. 70-იან წლებში ჩვენში უკვე მოქმედებდა ნაროდნიკული — რევოლიუციონური არალეგალური პარტია, რომლის შესახებაც მთავრობა თვისი აგენტების საშუალებით გულმოდგინეთ ჰკრეფდა ცნობებს. 70—80 წლებში რეეოლიუციონური ნაროდნიკული ინტელიგენცია ჩვენში საგრძნობ მუშაობას აწარმოებდა მოსწავლე ახალგაზრდობაში და ხელოსნებში. 1881-83 წლებში ამ მიმდინარეობამ თავისი ორგანოც გაიჩინა იმედის სახით. ამ პერიოდში (70-80 წლებში) ნაროდნიკულ ინტელიგენციის მოღვაწეობა უაღრესად რევოლიუციონური და ახალი იყო. იგი სრულიად ახალი ხილი იყო ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისათვის.

90-იან წლებში იწყება ახალი პერიოდი ნაროდნიკულ მიმდინარეობაში. ის რაც პროგრესიული და რევოლიუციონური იყო განსაზღვრულ პერიოდისათვის, სრულიად რეაქციონურ შინაარსით აივსო მეორე სოციალ-ეკონომიურ ხანაში. 90-იან წლებში ნაროდნიკული მიმდინარეობა ჩვენში გამოხატავდა წვრილ ბურჟუაზიის რეაქციონურ სულისკვეთებას თავისი ეკონომიური პროგრამის მიხედვით. ნაროდნიკული ინტელიგენცია წინ აღუდგა თავისი პროგრამით კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში, უარყოფდა პროლეტარიატის როლს და სწადდა ხალხის ეკონომიური სტრუქტურა წვრილი მესაკუთრის ინტერესების მიხედვით აეგო. კაპიტალიზმის განვითარებამ ამიერ-კავკასიაში ხელი შეუწყო სოფლის წვრილ მესაკუთრის განვითარებას და ინტელიგენციაც, დამფრთხალი იმ მოვლენით, სცდილობდა გადაერჩინა წვრილი მესაკუთრე განადგურებისაგან და წამოეყენებინა პროგრამა კაპიტალიზმის განვითარების შეფერხებისა საქართველოში. თავის თავად ეს

პროგრამა იყო რეაქციონურ-უტოპიური და ცხოვრებამ იგი უკუაგდო. ხოლო ჩვენი სამეურნეო გზები კაპიტალისტურ განვითარებით წავიდა. ნაროდნიკული ინტელიგენცია არსებითად ჩამორჩა ჩვენი ცხოვრების განვითარებას. მან 90-იან წლებში ვერ შამჩნია ორი დიდი ფაქტორი ჩვენი ცხოვრების სიღრმეში შექმნილი: ფულის ტრიალის გამეფება. კაპიტალისტური მეურნეობის აღმოცენება და პროლეტარიატის ჩამოყალიბება. ამის გამო ნაროდნიკული ინტელიგენცია გაირიყა ცხოვრებიდან და მისი ადგილი ახალმა მიმდინარეობამ დაიჭირა.

როგორი იყო ამ ჯგუფის ეროვნული პროგრამა?

ნაროდნიკული მიმდინარეობა ჩვენში მოკავშირეს ეძებდა რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიაში და სოულიად არ სცდილობდა ქართველი ხალხი გამოეყო რუსეთის საერთო მოძრაობიდან. ამიტომ იყო, რომ ერთი ნაწილი ჩვენი ნაროდნიკული ინტელიგენციისა (ზდანოვიჩი-მაიაშვილი, ჯაბადარი, გამყრელიძე, ციციშვილი, ჩიკოიძე და სხ.) მხურვალე მონაწილეობას იღებდენ რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში. [33]) ეს ჯგუფი სცდილობდა ქართველი ხალხის განთავისუფლებას რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიასთან ერთად. 1874 წელს ჟენევის

---

[33]) აი რას სწერს ა. არგუნოვი 70-იან წლების ეროი ქართველი რევოლიუციონერის შესახებ: „როგორც ცოცხალი ისე სდგას ჩემს წინაშე ჩვენი საერთო საყვარლის **გამყრელიძის** პიროვნება (ძია გამკას, როგორც მას ყველანი ეეძახდით). 50-ის პროცესის გამო (1875 — 77) ის ციმბირში იქმნა გადასახლებული. ვადის გათავების წინ, გამყრელიძე კვლავ სასამართლოში იქნა მიცემული ადგილობრივ ტაბიბოვის საქმების გამო. ძლივს მოასწრო თავის სამშობლოში — კავკასიაში დაბრუნება. (რომელზედაც მთელი თავისი არსებით ოცნებობდა) კვლავ გადასახლებულ იქნა. იაკუტის ოლქში 5 წლით. ვადის გათავების შემდეგ ის ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ძლიერ ჩქარა გარდაიცვალა (თუ არ ვსცდები — 1892 წ.) ჭაღარით მოსილი თავით, მაგრამ ახალგაზრდა გულით, გულწრფელი, ფიცხელი კავკასიური ტემპერამენტით. ის მთლად მიენდო ახალგაზრდობას. დადიოდა ჯგუფებიდან ჯგუფებში. მალე დაგვიმეგობრდა (ახალგაზრდა რევოლიუციონერებს) და ჩვენთან თანაბრად ეწეოდა მუშაობას „(იხ. А. Аргунов: из прошлого партии социал.-революционеров“ ჟურ. Былое № 10, გვ. 95, 1907 წ.).

ქართველთა კონგრესზე ამ ჯგუფმა გაილაშქრა ამიერ-კავკასიის ფედერაციის პროექტის წინააღმდეგ და მოითხოვა ქართველი ხალხის გაერთიანება რუსეთის ხალხთან (იხ. **ჯაბადრის** „მოგონებები"). მსგავსივე პოლიტიკით გამოდიოდნენ საქართველოში მომქმედი ნაროდნიკული წრეები 70-80 წლებშიაც. (იხ. **შ. დავიდოვის** მოგონებანი „რევოლიუციის მატიალები" № 3 1923 წ. გვ. 204). ამრიგად ნაროდნიკების ეროვნული ფორმულა შემდეგი სახით გამოითქმებოდა: **საქართველოს განახლება განახლებულ რუსეთში.** ამ სახით ნაროდნიკულმა ინტელიგენციამ თავისი მოკავშირენი რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიაში ჰპოვა იგი იდეოლოგიურად. პროგრამით და ორგანიზაციულად გადაეჯაჭვა რუსეთის რევოლიუციონურ მიმდინარეობას. ნაროდნიკულმა მიმდინარეობამ ანდერძად დაუტოვა თავის მემკვიდრე თაობას რუსეთის დემოკრატიასთან კავშირი და მასთან ერთად ბრძოლა საუკეთესო იდეალებისათვის.

5. მარქსისტული მიმდინარეობა ჩვენში.

90 წლები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპოქა არის ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ამ პერიოდში ქართველმა ხალხმა თითქოს ჯამი გაუკეთა თავის ერთი საუკუნის მოღვაწეობას და გაასკეცებული ენერგიით გამოააშკარავა თავისი შემოქმედებითი პოტენცია. ეს ეპოქა ყოველ მხრივ მდიდარი და მნიშვნელოვანი არის ჩვენთვის. ამ ხანაში გარკვეული პროგრამით დაუპირისპირდენ ერთი მეორეს სოციალური კლასები: გაჩაღდა კლასთა შორის არა მარტო ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ბრძოლა. არამედ თეორიულ-იდეოლოგიურ ხასიათის ომიც. 90-იან წლებმა ჩვენ მოგვცა ახალი მიმდინარეობა მარქსიზმის სახით. მარქსიზმის აღმოცენებას და განმტკიცებას ჩვენში ხელი შეუწყო სამმა გარემოებამ: ა) ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ ჩვენში და ახალი სოციალური კლასის — პროლეტარიატის წარმოშობამ; ბ) ძველი სოციალისტური მიმდინარეობის საბოლოო გაკოტრე-

ბამ და გ) რუსეთის მარქსისტულ მიმდინარეობის გავლენამ.

90-იან წლებისათვის ჩვენში უკვე ჩამოყალიბებული იყო მუშათა კლასი და მას თავისი იდეოლოგია უნდა გასჩენოდა. ეს იკისრა ქართულმა მარქსიზმმა, ხოლო რადგან **ჩვენი პროლეტარიატი აჭრელებულ მასას წარმოადგენდა,** ამიტომ მარქსიზმის შეთვისების საქმეზედაც ამ გარემოებას თავისი გავლენა უნდა მოეხდინა. მაგრამ აღსანიშნავი არის მეორე მომენტიც: 90-იან წლებში ჩვენში ამოძრავდა წვრილი ბურჟუაზიაც, ნაწილობრივ გლეხობა, ინტელიგენცია და სხვა, რადგან ამ წრეებმა თავისი შესაფერისი დამცველი ვერ ნახეს ნაროდნიკულ მიმდინარეობაში, ისინი გაეშურენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაკენ. ამ საკითხის შესახებ 1905 წელს **ნ. ჟორდანია** სწერდა: „წვრილი ბურჟუაზიული კლასები თავის პარტიაში ვერ გამაგრდენ, სამაგიეროდ ისინი მაგრდებიან ჩვენ პარტიაში, ამით ბურჟუაზიულმა აზროვნებამ შემოხეთქა სოციალ-დემოკრატიის კედლებში და მას ემუქრება შიგნიდან“ (იხ. ნ. ჟორდანიას „დემოკრატია და ს-დემოკრატია“ გვ. 19). ცხადია, ეს წვრილი ბურჟუაზიული მასა და ინტელიგენციაც თავისებურ გაგებას მისცემდენ მარქსიზმის პრინციპებს. მენშევიზმი, რომელიც შემდეგ ჩამოყალიბდა ჩვენში, არსებითად გამომხატველი ამ წვრილ ბურჟუაზიულ ფენებისა და მისი სარდლობა ნ. ჟორდანიას ხვდა წილად.

ორი დიდი კითხვის გაშუქება განმარტება დაჭირდა ჩვენში ახლად აღმოცენებულ მარქსიზმს 90-იან წლებში: ა) მარქსისტებმა მეცნიერულად დაამტკიცეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც თან მოსდევდა კაპიტალიზმის განვითარებას, შედარებით წინა კაპიტალისტურ სამეურნეო ფორმაციასთან. ჩვენში არსებული მიმდინარეობანი (ნაროდნიკული, კონსერვატორები, ლიბერალები) ერთის მხრით მეცნიერულად უარყოფდენ საერთოდ კაპიტალიზმის დიდ როლს ხალხის წარმატების საქმეში, მეორეს მხრით სრულიად ვერ ამჩნევდენ (ზოგიერთი ნაროდნიკების გამოკლებით) ახალ მომენტებს ჩვენ სამეურნეო ცხოვრე-

ბაში. მარქსიზმმა ამ მხრივ გამანადგურებელი მახვილი ჩასცა მათ დებულებებს და ფაქტებით ხელში დაამტკიცა ის ღრმა ეკონომიური ცვლილებების არსებობა, რომელიც განიცადა საქართველომ 1864 წლის შემდეგ: საქართველომ თავი შეყო კაპიტალისტურ ურთიერთობაში და ამის არ დანახვა მხოლოდ ჩამორჩენილობით შეიძლებოდა. მაგრამ კაპიტალისტურ განვითარებას არა მარტო წარმატება მიჰქონდა, არა მარტო ეკონომიურ დაწინაურებას უწყობდა ხელს, არამედ ჰქმნიდა სილატაკეს და შიმშილს ფართო მასისათვის. ასეთი არის დიალექტიური გზა კაპიტალიზმის განვითარებისა.

ბ) კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას თან მოსდევდა ერის დაყოფა კლასებად; მოწინააღმდეგე ჯგუფები აქაც გაურკვევლობას იჩენდენ: ერთის მხრით ისინი უარყოფდენ კლასების არსებობას ჩვენში, მეორეს მხრით მათ სრულიად არაფერი გაეგებოდათ იმ დიდი მისიის, რომელიც ისტორიამ დააკისრა პროლეტარიატს აღსასრულებლად.

მაგრამ უკანასკნელი კითხვის გარკვევაში მარქსისტული მიმდინარეობის ერთმა ნაწილმა (ნ. ჟორდანია და სხ.) სრული გაუგებრობა გამოიჩინა და აქ აღმოჩნდა სწორედ მისი ოპორტიუნიზმი და წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება. ჟორდანიამ სრულიად სწორად შენიშნა ჩვენი ცხოვრების გაქალაქების ტენდენციები, ქალაქის მცხოვრებთა დაწინაურება და მათი ხელმძღვანელობა საერთო მიმდინარეობისა, მაგრამ მას დააავიწყდა, რომ **ქალაქის მცხოვრებნი თავისი მხრით დაყოფილნი არიან** კლასებად და მარქსიზმი სწორედ პროლეტარიატს სცნობს მებრძოლ კლასად და მის ჰეგემონიას ამყარებს სხვა დემოკრატიულ ფენებზე. ნ. ჟორდანიამ ეს ელემენტარული, მაგრამ ძირითადი დებულება მარქსიზმისა ვერ შეითვისა და ფართო დემოკრატიული პროგრამა წამოაყენა თავის სამოღვაწეო პლათფორმაში. 1900 წ. იგი სწერდა... „ჩვენი ერის მოწინავე ხალხის თანდათანი განვითარება, გაცნობიერება, დაბალი საფეხურიდან მაღლა ამოყვანა და შეგნებულ რაზმად გადაქცევა—აი რას უნდა ელტვოდეს მწერლობა,

აი მისი დროშა. ეს ერთიანად დემოკრატიული მოძრაობაა და მისი წინამძღოლი პრესაც დემოკრატიულია" (იხ. „ქართული პრესა" გვ. 116 1900წ.) ამრიგად „დემოკრატიის" მოძრაობა და „დემოკრატიის" დროშა გადაიქცა ნ. ჟორდანიას სამოღვაწეო პროგრამად. ეს პროგრესიული პროგრამა იყო ჩვენში მაშინდელ ცხოვრებისათვის, მაგრამ იგი მაინც შორს იდგა მარქსიზმისაგან. ჟორდანია პროლეტარიატის ხელმძღვანელობას კი არ მოითხოვს ფართო დემოკრატიულ მასაზე, არამედ პროლეტარიატის გათქვეფას მასაში, მისი კლასიური თვითშემეცნების გაღესვას დემოკრატიულ ლოზუნგში. დღესაც სიტყვით ამ ლოზუნგით გამოდის მენშევიკური პარტია, მაგრამ იგი დღევანდელი პირობებისათვის რეაქციონურია და სრულიად მიუღებელი. ჩვენში ნ. ჟორდანიას პირით მეტყველებდა წვრილი ბურჟუაზიის პროგრესიული ნაწილი. ნაროდნიკებმა მათი მოთხოვნილებები ვერ დააკმაყოფილეს და წვრილი ბურჟუაზიაც (ინტელიგენცია, მოწინავე გლეხობა და სხვა) მარქსისტულ სამოსელში გამოეხვია და მარქსისტული ნიღაბით გამოვიდა, ხოლო მისი არსებითი ბუნება მაინც წვრილ-ბურჟუაზიული დარჩა... მან თავისი რეალური სახეც მიიღო და გარკვეულ სისტემაში ჩამოყალიბდა მენშევიზმის სახით. მაგრამ მარქსიზმა თავისი ნამდვილი სახეც ნიიღო ჩვენში. ამ გარემოებას ხელი შეუწყო, ერთის მხრით, მოწინავე გათვითცნობიერებული მუშათა კონტინგენტის ჩამოყალიბებამ ჩვენში, ხოლო მეორე მხრით რევოლიუციონური ინტელიგენციის (**ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია,** და სხ.) მხრივ მარქსიზმის სწორედ გაგებამ. ასეთ ნაკადულიდან აღმოცენდა შემდეგში **დამთავრებული რევოლიუციონური სისტემა ბოლშევიზმის სახით.**

* * *

ჩვენ გავითვალისწინეთ უმთავრესი მომენტები ქართველი ინტელიგენციის განვითარებისა და დავინახეთ, რომ მე-60-ე წლებიდან საქართველოს ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა

დაარღვიეს ინტელიგენციის პატრიარქალური ოჯახი და ისინი სხვადასხვა ჯგუფებს სახით დაუპირისპირდენ ერთი მეორეს. ეს იყო ანარეკლი სოციალური ცხოვრებისა. რეალურად კლასების დაპირისპირებამ გამოიწვია ინტელიგენციის დაყოფა ჯგუფებად, სადაც ომი უმთავრესად თეორიულ და იდეოლოგიურ ფრონტზე სწარმოებდა. მაგრამ ცხოვრება გამუდმებული წინმსვლელობა არის დიალექტიური ფორმებით. ის, რაც ერთ პერიოდში პროგრესიული არის, მეორე-სოციალ ეკონომიური პერიოდისათვის რეაქციონური ხდება. ასე ემართებათ კლასებს, ასევე მოსდით პარტიებსაც. მე-19 საუკუნეში მომქმედი ყველა კლასები და პარტიები დღეს სრულიად მიუღებელნი არიან ჩვენი რეალური სინამდვილისათვის. აქედან იმავე საზოგადოებრივი ცხოვრების ლოლიკის ძალით მხოლოდ **ერთმა** შეინარჩუნა თავისი პროგრესიული დანიშნულება: **ეს კლასი პროლეტარიატია და მისი პარტია მარქსისტულ-ბოლშევიკური პარტიაა,** რომელსაც ისტორიამ დააკისრა საქართველოს სინამდვილის გარდაქმნა კომუნისტურ საფუძვლებზე. მე-19-ე საუკუნემ საკმაო კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვა პროლეტარიატს და მის პარტიას. ქართველი ინტელიგენციის ნამოღვაწარს ხელ აღებით არ უარყოფს პროლეტარიატი: იგი აფასებს ამ მოღვაწეობას ისტორიულ საზომით და ჰკრეფს ინტელიგენციის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობიდან მას, რაც ცხოვრების წინ წამწევი და პროგრესიული იყო.

ქართული მენშევიზმი და მისი სოციალური საფუძვლები.

ქართული მენშევიზმი და მისი სოციალური საფუძვლები.

1. ინტერესი საკითხისადმი.

პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებული მკითხველისა და მოქალაქის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობდა ორი დიდი ფაქტი ქართველ მენშევიკების მოღვაწეობიდან: ა) დიდი რევოლიუციის წინა პერიოდში და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში მენშევიკები ჩვენში ფაქტიურად წარმოადგენდენ მასიურ პარტიას. ამ პერიოდში მენშევიზმმა დაიპყრო ქართული ცხოვრების სიმაღლეები და იქედან გადმოდენა ან შეავიწროა სხვა პარტიები და თვით გაბატონდა. ისტორიული ფაქტია, რომ საქ. დამფუძნებელ კრებაში (1919 წ.) 130 წევრიდან მენშევიკებმა გაიყვანეს დაახლოვებით 108 წევრი. აქედან ცხადია, რომ მენშევიკური პარტია ბატონობს სოფლის და ქალაქის ფართო მასებზე: მას არა მარტო პოლიტიკური საქე უპყრია ხელთ, არამედ მის განკარგულებაში არის ჩვენი სოციალური ცხოვრების სხვა-და-სხვა ფენები. ბ) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ იწყება მენშევიკების დაშლის პერიოდი. განსაკუთრებით 1923 წლიდან იგი რღვევის პროცესს განიცდის, და-დასად მისი შემადგენელი ნაწილები სტოვებენ პარტიას და ეს პროცესი ვითარდება არა მარტო საქართველოში, სადაც მენშევიკური პარტია პოლიტიკური არტახებით შეზღუდულია. არამედ იქაც, ევროპაშიც, სადაც ქართველ მენშევიკებს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული. ეს არის. **მენშევიზმის მასიურად დაშლის პერიოდი.**

ამრიგად პირველ პერიოდში იგი მასაზე ბატონობს, მეორე პერიოდში კი — მასიდან ირიყება; პირველ პერიოდში იგი მასიური პარტიაა, მეორეში კი — მასიდან დატოვებულსა და გარიყულს პარტიას წარმოადგენს.

კიდევ მეორე სერია მნიშვნელოვან ფაქტებისა იმავე მენშევიკების მოღვაწეობიდან: რევოლიუციამდე მენშევიზმი სიტყვით თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიების მარცხნივ იდგა ჩვენში და რადიკალურად ემიჯნებოდა სხვა პოლიტიკურ პარტიებს. საქართველოში პოლიტიკურად გაბატონებისა და განდევნის შემდეგ პერიოდში, მენშევიზმი ფაქტიურად მეთაურობს ანტი-რევოლიუციონურ ჯგუფებს: ამ პერიოდში მისი ფორმულაა: „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო (ბოლშევიკებს)"-ო.

ამრიგად მენშევიზმი არა მარტო ორგანიზაციულად მარცხდება, არამედ იდეოლოგიურადაც კოტრდება; მისი სამოღვაწეო პროგრამა აშკარად აივსო კონტრ-რევოლიუციონური შინაარსით.

მენშევიზმი დამარცხდა ორგანიზაციულად, გაკოტრდა — იდეოლოგიურად. ერთ დროს გაბატონებულ მასიურ პარტიას მემარცხენეობის ფარხმალით შეიარაღებულს, — დღეს ეს „სიამაყენი ამა სოფლისანი განეძარცვა" და გაძარცული დაიარება ევროპის სასახლეებსა შინა....

ზემოდ აღნიშნული ფაქტები არ არის ჩვენი ცხოვრების ფონზე ამოჭრილი შემთხვევითი მოვლენები: მათ ღრმა სოციალური მიზეზები უდევს საფუძვლად. ახსნა ამ ფაქტების სოციალური მიზეზებისა, მათი საშკარაოზე გამოტანა, მეტად საინტერესო თემას წარმოადგენს. ეს არ არის მარტო პოლიტიკური საკითხი, იგი უაღრესად სოციალური პრობლემაც არის.

ვისაც სურს გაიგოს რომელიმე პარტიის მოძღვრების შინარსი, მისი არსებითი სახე და რაობა, მან ამ მოძღვრების არა მარტო ზოგადი დებულებანი უნდა შეისწავლოს, არამედ მისი წარმომშობი საზოგადოებრივი მიზეზებიც უნდა გამოარკვიოს და აგრეთვე ის სოციალური

ბაზაც, რომელიც ამ პარტიის მთავარ დასაყრდნობს წარმოადგენს. ყოველი პარტია რომელიმე სოციალურ კლასს ეყრდნობა, რომელიმე სოციალურ წრის ავანგარდს წარმოადგენს. გაცნობა ამ სოციალური წრის ფიზიონომიისა განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში, გამოაშკარავება მისი საზოგადოებრივი როლისა, ნათელს მოჰფენს თვით პარტიის ფიზიონომიას. ჩაიხედეთ რეალურ სინამდვილის სიღრმეში — სოციალურ ფენების წიაღში და თქვენ იცნობთ მისი პარტიის ნამდვილ სახეს, მისი ავანგარდის სწორ ფიზიონომიას; მაგრამ ჩაიხედეთ ამ პარტიის პროგრამაში და თქვენს წინ ხშირად არ გადაიშლება იმ სოციალური ფენის ნამდვილი სახე, რომელსაც ეს პარტია არსებითად ეყრდნობა. რად ხდება ეს? ხშირი არის ისტორიული შემთხვევა, როდესაც განსაზღვრული პარტია, გამომხატველი რომელიმე კლასის ინტერესებისა, სრულიად საწინააღმდეგო პროგრამით გამოდის და საწინააღმდეგო დებულებებს აყენებს, ვინემ ამას ითხოვენ მისი კლასის ინტერესები ე. ი. ეს პარტია პოლიტიკურ **ნიღაბს იკეთებს**, ბრჭყვიალა გარეგან სახეს იღებს, რომ დამალოს თავისი არსებითი სახე: მისი გარეგანი ფორმა — ნიღაბში შედარებით მომხიბლავია და მშვენიერი, ხოლო არსებითი მიზნებით კი ამის საწინააღმდეგოა. ერთი სიტყვით, ნიღაბით სხვაა, შინაარსით კიდევ სხვა. აქ ფორმა და შინაარსი, ნიღაბი და შინაარსი ერთი-მეორეს არ ეგუება. საჭირო არის მკვეთრი დიალექტიური მეთოდი, რომ არ შესცდე და გარეგანმა ნიღაბმა არ დაფაროს მისი ნამდვილი შინაარსი.

ასე, მაგ., მარქს — ენგელსმა **კომუნისტურ მანიფესტში** შემდეგნაირად დაახასიათეს ფეოდალური სოციალიზმი: „ინგლისის და საფრანგეთის არისტოკრატია თავის ისტორიული მდგომარეობით მოწოდებული იყო თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ პამფლეტები ეწერა..... თანაგრძნობის მოსაპოებლად არისტოკრატიას უნდა **მოეჩვენებინა**, რომ იგი თავის საკუთარ ინტერესებზე კი აღარ ზრუნავს, არამედ ადგენს საბრალმდებლო ოქმს ბურჟუაზიის წინააღმდეგ მხოლოდ და

მარტოოდენ გაყვლეფილ მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ამნაირად ის სიამოვნებას იმაში ხედავდა, რომ თავის ახალ ბატონს სალანძღავ წერილებით უმასპინძლდებოდა და ცოტათ თუ ბევრად საშიშარ წინასწარმეტყველებას ყურში ჩასჩურჩულებდა.

ასე წარმოიშვა ფეოდლაური სოციალიზმი....

პროლეტარის სამათხოვრო ხალათს არისტოკრატია დროშასავით აფრიალებდა თავის გარშემო ხალხის შემოსაკრებად. მაგრამ აიყოლებდა თუ არა ხალხს, უკანასკნელი მის ზურგზე მაშინვე ამჩნევდა ძველ ფეოდალურ ღერბს და ხმამაღალი მოურიდებელი რახრახით შორდებოდა მას".

ამრიგად, არისტოკრატია სოციალიზმის ნიღაბით გამოვიდა, მაგრამ ამით სრულიათ ვერ დაჰფარა თავის ფეოდალურ-რეაქციონური შინაარსი: გარკვეულ ისტორიულ მომენტში თავისი ნამდვილი სახე გამოამზეურა, ხოლო მარქს-ენგელსის მკვერთმა დიალექტიურმა ანალიზმა ყველასათვის ცხადი გახადა ამ არისტოკრატიული სოციალიზმის არსებითი ბუნება და დანიშნულება. ამრიგად პარტია იცნობა არა მარტო თავისი პროგრამით, არამედ თავისი შემოქმედებით.

ქართული მენშევიზმი ჩვენში განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში წარმოიშვა და გარკვეული სოციალური მომენტების ზეგავლენით ვითარდებოდა. ამ პარტიის და მისი ლიდერების მოღვაწეობამ მთელი ეპოქა შექმნა ჩვენში. ეპოქა, რომელიც 30 წლის მანძილით განისაზღვრება.

მაგრამ მენშევიზმი არის გარკვეული ოპორტუნისტული დოქტრინა და, როგორც ასეთი, იგი ეყრდნობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ ფენებს. რაში გამოიხატება ოპორტუნიზმის სოციალური შინაარსი?

2. მარქს-ენგელსი და ლენინი ოპორტუნიზმის შესახებ.

ოპორტუნიზმი და რეფორმიზმი ყველგან და ყოველ ქვეყანაში ერთი და იგივე წყაროდან არ მომდინარეობს. ოპორტუნიზმის არსებითი ნასიათი ყველგან თითქმის ერთგვარია, ხოლო მისი წარმომშობი სოციალური საშო სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაობს ამ ქვეყნის ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების მიხედვით. ჟორესიზმი და მილიერანიზმი — საფრანგეთში, ტრედუნიონიზმი და მაკდონალდიზმი — ინგლისში, ბერშტეინიანიზმი და კაუცკიანიზმი—გერმანიაში, მენშევიზმი — რუსეთსა და საქართველოში ერთი და იგივე რეფორმისტულ შინაარსს ატარებენ. ხოლო მათი წარმომშობი მიზეზები სხვა-და-სხვა გვარია აღნიშნულ ქვეყნებში. დაწინაურებულ ქვეყნებში სადაც კაპიტალისტურმა განვითარებამ უმაღლეს საზღვარს მიაღწია. რეფორმიზმი მუშათა არისტოკრატიის. პრივილეგიებით მოსილ პროლეტარულ ზედაფენების იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მიმდინარეობას წარმოადგენს. ხოლო ჩამორჩენილ ქვეყნებში. როგორიც რუსეთი და საქართველოა, სადაც კაპიტალისტური ეკონომიკა **თავისებურ** ობიექტიურ პირობებში ვითარდებოდა. რეფორმიზმი წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებისა და ჩამორჩენილ პროლეტარულ ელემენტების იდეოლოგიას გამოხატავს. სხვა-და-სხვა სოციალური ფენებიდან წარმოშობილი რეფორმიზმი და ოპორტუნიზმი ერთნაირ პროგრამულ დებულებამდე მივიდა: იქაც, ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებშიაც და ჩვენშიაც რეფორმიზმი წარმოადგენს შეთანხმებას და თანამშრომლობას კაპიტალისტურ კლასთან. შეგუებას კაპიტალისტურ ეკონომიკასთან.

ამ გარემოებას. ჯერ კიდევ ამ 60—55 წლის წინედ არსებითი ყურადღებას აქცევდენ **მარქსი და ენგელსი.**

1858 წელს **ენგელსი** სწერდა **მარქსს:** „ინგლისის პროლეტარიატი ფაქტიურად სულ უფრო და უფრო ბურჟუაზიულდება. ისე. რომ ამ ყველა ერთან შედარებით ძლიერ ბურჟუაზიას. ეტყობა სურს ბოლოს და ბო-

ლოს საქმე იქამდის ძიიყვანოს, რომ ჰყავდეს ბურჟუაზიის გარდა ბურჟუაზიული არისტოკრატია, და ბურჟუაზიული პროლეტარიატი; რასაკვირველია, ეს ერთგვარად შესაძლებელიც არის იმ ერისთვის, რომელიც მთელი მსოფლიოს ექსპლოატაციას ეწევა".

1882 წელს იგივე ენგელსი სწერდა კ. კაუცკის: „თქვენ მეკითხებით, რას ფიქრობენ ინგლისის მუშები კოლონიალურ პოლიტიკაზე? ფიქრობენ იმას, რასაც პოლიტიკაზე საზოგადოდ. **არ არსებობს მუშათა პარტია, არიან მხოლოდ კონსერვატორები და ლიბერალ-რადიკალები, ხოლო მუშები ძლიერ გულმოდგინებით სარგებლობენ მათთან ერთად ინგლისის კოლონიალური პოლიტიკით და ინგლისის მონოპოლიური მდგომარეობით მსოფლიო ბაზარზე".**

1891 წელს ენგელსმა განმარტა ოპორტუნიზმი, როგორც ძირითადი მოსაზრებების დავიწყება ყოველდღიურ წუთიერ ინტერესებისათვის. „...მომავალი მოძრაობის მსხვერპლად მიტანა მიმდინარე მდგომარეობისათვის".

1892 წელს ენგელსმა დაწვრილებით აღწერა, თუ სამრეწველო განვითარებამ როგორ მოუტანა მდგომარეობის გაუმჯობესება „განსაკუთრებულ მფარველობაში მყოფ მუშათა კატეგორიებს". ენგელსი სწერდა: „არა მარტო მწარმოებლები არიან მათი (მუშების) კმაყოფილნი, არამედ თვით მუშებიც სავსებით კმაყოფილნი არიან თავიანთი მწარმოებლების, ისინი წარმოადგენენ მუშათა კლასის არისტოკრატიას..... და ისინი, მართლაც, მშვიდობიანი ხალხია, ზედმიწევნით სასარგებლო ყოველი ჭკვიანი კაპიტალისტისათვის, კერძოდ და მთელ კაპიტალისტთა კლასისათვის საერთოდ". [1]).

ასეთი არის ენგელსის განმარტებით ინგლისში რეფორმიზმის წარმომშობი უმთავრესი მიზეზები. ამ გარემოებით რეფორმიზმი, ოპორტუნიზმი არის იმ მუშათა ზედაფენების იდეოლოგიური გამოხატულება, რომლებ-

---

[1]) М. Рубинштейн: „Социальные корни реформизма 1926 წ. გვ. 11.

ძაც ინგლისის კაპიტალიზმის განვითარების წყალობით გაბატონებული და ეკონომიურად განსაკუთრებული პირობები მოიპოვეს. ეს ფენა არის **მუშათა არისტოკრატია**, ხოლო მისი იდეოლოგია რეფორმისა და ტრედუნიონიზმში გამოიხატება. ამ მოსაზრებებს სავსებით ეთანხმება **ლენინის** დებულებაც. ომის პერიოდში იგი სწერდა: „ოპორტუნიზმი არის მუშათა უმნიშვნელო ნაწილის დროული ინტერესებისათვის მსხვერპლად მიტანა მასების ძირითად ინტერესებისა, ან სხვა გვარად — ეს არის მუშათა ნაწილის კავშირი ბურჟუაზიასთან პროლეტარულ მასების წინააღმდეგ“.

„ომმა ასეთი კავშირი გამოააშკარავა და სავალდებულო გახადა. ოპორტუნიზმი წარმოიშვა ათეული წლების განსაკუთრებული განვითარებით, ისეთი ეპოქით, როდესაც შედარებით მშვიდობიანი და კულტურული მდგომარეობით პრივილეგიაში მყოფ მუშათა ფენების „გაბურჟუაზიულება“ მოხდა, როდესაც ისინი ღებულობდენ ნაციონალურ კაპიტალის მოგებისაგან ნამცეცებს და როდესაც მოწყდენ ისინი დარბეულ, დაძარცულ მასების უბედურებას, ტანჯვასა და რევოლიუციონურ განწყობილებას“ [2]).

ამრიგად, ინგელსისა და ლენინის განმარტებით ევროპასა და ამერიკაში რეფორმიზმს, ოპორტუნიზმს სარჩულად უდევს განწყობილება იმ არისტოკრატ მუშათა ელემენტებისა, რომელნიც თანამედროვე კაპიტალისტურ ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებულან და ეკონომიურად დაინტერესებულნი არიან კაპიტალიზმის არსებობით.

ასეთი არის დასავლეთ ევროპის რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის სოციალური საფუძვლები.

როგორი იყო მდგომარეობა რუსეთში?

მე-19-ე საუკუნის მიწურულში რუსეთი ეკონომიურად ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო ევროპასთან შედარებით, თუმცა მან ღრმა მნიშვნელოვანი სამრეწვე-

---

[2]) Ленин: Соб. соч. ტ. XIII გვ. 166.

ლო რევოლიუცია განიცადა 90-იან წლების განმავლობაში. ამ პერიოდში ფართოდ ვითარდება მუშათა მოძრაობა რუსეთში. მაგრამ მარქსისტულ მიმდინარეობაში რევოლიუციონურ ფრთასთან ერთად ჩამოყალიბდა აშკარა ოპორტუნისტული და რეფორმისტული მიმდინარეობა (ეკონომიზმი). **ლენინმა** მთელ რიგ წერილებში ნათელჰყო ეკონომიზმის ოპორტუნისტული ბუნება. თავის წიგნში: **„რა უნდა ვაკეთოთ“** (1902 წ.) — **ლენინმა** აღნიშნა ზოგიერთთა „ცდები გადააქციონ სოციალ-დემოკრატია რეფორმიზმის დემოკრატიულ პარტიად და უზრუნველყონ სოციალიზმში ბურჟუაზიული იდეებისა და ბურჟუაზიულ ელემენტების ჩანერგვის თავისუფლება“. ლენინის დებულებით: „სტიქიურ მუშათა მოძრაობას თავის-თავად შეუძლია შექმნას (და აუცილებლადაც ჰქმნის), მხოლოდ ტრედუნიონიზმი, ხოლო ტრედუნიონისტური პოლიტიკა მუშათა კლასისა არის სწორედ ბურჟუაზიული პოლიტიკა მუშათა კლასისა“ [3]).

„სოციალ-დემოკრატიული შეგნება შეუძლებელია ჰქონდეს მუშებს, ის შესაძლებელია შეტანილი ყოფილიყო მუშათა კლასში, მხოლოდ გარედან“ [4]). ეკონომიზმი ეს იყო ტრედუნიონიზმის რუსული ვარიაცია, მაშასადამე, აშკარა ბურჟუაზიული იდეოლოგია. მაგრამ კითხვა იბადება: როგორი სოციალური ფენები შეადგენენ, „ეკონომიზმის“ დასაყრდნობ ძალას, რა უწყობდა ხელს მის განვითარებას, როგორი საზოგადოებრივი ნაკადი ჰკვებავდა მუშათა მოძრაობის ამ ჩამორჩენილ იდეოლოგიას? ასეთი ჯგუფის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენენ სოფლიდან გამოსულნი, საქარხნო ქვაბში ჯერ კიდევ ნაკლებად მოხარშულნი ელემენტები. დაჰკარგეს რა ყოველგვარი პირობა თავისი დამოუკიდებელი წვრილი მეურნეობის მოსაწყობად,—ეს გლეხები, გადმოდენილნი მოთხოვნილებათა და სიმშილით, მიეშურებოდენ ქალაქისაკენ, სადაც სამრეწველო აღორძინებამ იხსნა ისინი აუცილებელი სი-

---

[3]) Ленин: „Что делать?“ გვ. 83.

[4]) Ленин „Что делать?“ გვ. 29.

კვდილისაგან.... მთელი თავისი არა რთული არსებანი სოფლის პროტესტის საშუალებათა ამ ნახევრად პროლეტარებმა თან მოიტანეს ფაბრიკაში [5]). რუსული ეკონომიზმი უმთავრესად ამ სპეციალურ ნიადაგზე აღმოცენდა.

რუსეთის პროლეტარიატი უმთავრესად იზრდება გლეხობის ხარჯზე. სოფელი აწვდიდა რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებს დიდძალ მუშა ხელს; აქედან ნაწილი ჯერ კიდევ არ სწყვეტდა კავშირს სოფელთან: ამ გარემოებამ შექმნა რუსეთის პროლეტარიატის აჩრელებული კადრი: აქ ნახავდით პროლეტარულს, ნახევრად პროლეტარულს და ნახევრად გლეხურ ელემენტებს, რომელნიც სეზონობით ეწეოდენ მუშაობას ფაბრიკა ქარხნებში, ხოლო პროლეტარიატის ასეთი აჩრელებული შემადგენლობა თავისთავად იწვევდა იდეოლოგიურ სხვა და სხვაობას მუშათა მოძრაობაში. აქ ერთი-მეორეს ეხეთქებოდა ორგვარი იდეოლოგია: რევოლიუციონური და წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგია. მუშათა მოძრაობა შეიძლება განვითარებულიყო ან ერთი, ან მეორე ფორმით, ან სრულიად გახლეჩილიყო და ორი დამოუკიდებელი გზით განვითარებულიყო. პირველი ფორმა მოითხოვდა პროლეტარიატის ჰეგემონიის დამყარებას ნახევრად გლეხურ ელემენტებზე და ამ გზით მთელი რუსეთის დემოკრატიულ მასაზე: ამ გზას ადგა თავიდანვე ლენინი, რაც შემდეგში ლენინიზმის მთავარ საფუძვლად გადაიქცა: და მეორე ფორმა მოითხოვდა პროლეტარიატის გათქვეფას ნახევრად პროლეტარიატის ფართო მასაში, პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფას და ეს შეადგენდა „ეკონომიზმის" საფუძველს, რაც შემდეგში მენშევიზმის მთავარ პოლიტიკად გარდაიქცა. პირველ გზას პირდაპირ მივყავდით პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე, ხოლო მეორეს-კი ამ დიქტატურის უარყოფამდე.

რუსეთში რეფორმიზმი (ეკონომიზმი, მენშევიზმი) წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიას წარმოადგენდა მუშათა წრეებში. მის სოციალურ საშოს შეიცავდა პრო-

---

[5]) Е. Ярославский: История В. К. П. ტ. I. გვ. 212.

ლეტარიატის შიგნით და მის გარშემო არსებული წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები. დაახლოებით თითქმის ასეთსავე სოციალურ ბაზაზე აღმოცენდა ქართული მენშევიზმი, მაგრამ მას აქვს თავისებური სახე, თავისებური ნიუანსები. განვიხილოთ იგი უფრო ახლოს.

3. ქართული მენშევიზმის სოციალური ბაზა.

ჩვენი აზრით, ქართული მენშევიზმის წარმოშობას, განვითარებასა და გაძლიერებას ჩვენში სამმა გარემოებამ შეუწყო ხელი:

ა) **ჩვენი პროლეტარიატის აჭრელებულმა შემადგენლობამ, მისი სოციალური ფენების სხვა-და-სხვაობამ, და წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების სიმრავლემ და აქტივობამ.** ჩვენი ხალხის სოციალური შენობის უმთავრეს ფენას წარმოადგენდა წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტი და მე-19-ე საუკუნის მიწურულიდან იგი დიდ როლს თამაშობდა ჩვენი ცხოვრების ვითარებაში. **ეკონომიურად,** ჩვენში კაპიტალისტური მეურნეობის არა საკმარისი განვითარების გამო წვრილი ბურჟუაზია მაგრად იდგა; **პოლიტიკურად კი,** სამოქალაქო ცხოვრების განვითარების გამო, სოფელსა და ქალაქს შორის მტკიცე ურთიერთობის განვითარებით ინტელიგენტური მასის გამრავლებით იგი აქტიურ როლს თამაშობდა უკვე 90-იან წლებიდან. წვრილი ბურჟუაზია გამრავლდა ქალაქში, ამოძრავდა სოფლად და იგი ეძებდა აქტიურსა და მომქმედ ორგანიზაციას, მას ხუთავდა და ბორკავდა რუსული სახელმწიფოს პოლიტიკური არტახები და სახელმწიფოებრივი აპარატი.

ბ) ამოძრავებულმა წვრილმა ბურჟუაზიამ ვერ ჰპოვა შესაფერისი დახმარება და ძალა 90-იან წლებში ჩვენში არსებულ პარტიებში. **ჩვენი ცხოვრების სინამდვილემ ვერ მოგვცა მასიური და ხალხთან დაკავშირებული პოლიტიკური პარტია 90-იან წლებამდე.** ნაროდნიკული მიმდინარეობა ჩვენში სახელით იყო ნაროდნიკული (ხალხოსნური). ფაქტიურად იგი ინტელიგენციის მცირედი

კონტინგენტით ისაზღვრებოდა. ხოლო 90-იან წლებისათვის მისი სოციალ-პოლიტიკური კონცეპციები სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა ჩვენი ცხოვრების სინამდვილისათვის. ამრიგად ერთ-ერთი მიმდინარეობა (ჩვენ არას ვამბობთ ლიბერალურ-თავად-აზნაურულ მიმდინარეობაზე), რომელიც ხალხურ სახეს ატარებდა, ორგანიზაციულად მოწყვეტილი იყო ხალხისაგან, ხოლო იდეოლოგიური მხრივ, თავისი ეკონომიური პროგრამით გამოხატავდა წვრილ-ბურჟუაზიის რეაქციონურ ნაწილის სულისკვეთებას. ამ მხრივ იგი გაკოტრებული იყო. აქედან ცხადია, რომ წვრილი ბურჟუაზია, რომელიც ამოძრავდა ახალ ეკონომიურ ცხოვრების ნიადაგზე, ვერავითარ რეალურ დახმარებას, ვერც იდეოლოგიური ხელმძღვანელობისა და ვერც ორგანიზაციულ-პოლიტიკური მხრივ, ვერ ჰპოებდა ნაროდნიკულ მიმდინარეობაში. ამრიგად წვრილ ბურჟუაზიას არ ჰყავდა თავისი შესაფერისი პარტია ჩვენში; მას იგი აუცილებლად უნდა ეპოვა და ჰპოვა კიდეც. ეს პარტია მენშევიკების პარტიაა, მის იდეოლოგიურ გამომხატველად შეიქმნა მენშევიზმი, ხოლო 90-იან წლებში, მის ინტერესებს გამოხატავდა ის ნაკადი ქართულ მარქსიზმში, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა **ნ. ჟორდანია.**

გ) წვრილი ბურჟუაზია ჩვენში გამოეხვია მარქსიზმის ქურქში, მარქსისტული ნიღაბი გაიკეთა. ეს გარემოება გამოიწვია ინტელიგენციის მიერ მარქსიზმის ცუდად გაგებამ.

როგორც მკითხველი ქვევით დაინახავს, ინტელიგენციის ნაწილმა (ნ. ჟორდანია და სხვა) შეითვისა მარქსიზმის მხოლოდ ეკონომიური მხარეები, ხოლო ამ მოძღვრების რევოლიუციონური სისტემა მათთვის გაუგებარი დადჩა. წვრილმა ბურჟუაზიამ და მისმა იდეოლოგიამ მარქსიზმის სისტემიდან განდევნა მათთვის სახიფათო რევოლიუციონური მხარე და ამრიგად „მარქსიზმი“ შეუფარდა, შეუწონა თავის ინტერესებს, თავის მიზნებს. მოხდა მარქსიზმის ფალსიფიკაცია: დამახინჯდა მარქსიზმი, სამაგიეროდ გაძლიერდა ქართული წვრილი ბურჟუაზია,

იზარალა მარქსიზმმა, სამაგიეროდ მოიგო იმავე სოციალურმა კლასმა. როგორც შტრიხი, დამახასიათებელი არის შემდეგი მომენტი: ნ. ჟორდანიამ თავისი მოღვაწეობა ამხ. **ფილიპე მახარაძის** მოწმობით, **ნაციონალურ-დემოკრატიულ** პროგრამის წამოყენებით დაიწყო; ამხანაგების ზეგავლენით მან ეს შესცვალა, მაგრამ შემდეგ ნაროდოვოლცების ბანაკში ამოყო თავი. ამის შესახებ თვით ნ. ჟორდანია ამბობს თავის მოგონებაში: „მე მაგონდება პირველი კრება მარქსისტებისა 1892 წელს ყვირილაში. ჩვენ ვიყავით მცირედი: მე (ნ. ჟორდანია), ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი), კ. ჩხეიძე, ი. კაკაბაძე, დ. ჯალანდარაშვილი; ს. ჯიბლაძე კახეთში იყო და დასწრება არ შეეძლო; ჩვენ მიზნად ვისახავდით დაგვეწერა მარქსისტული პროგრამა, და როდესაც ის ჩვენ დავსწერეთ, ვნახეთ, რომ ეს (პროგრამა) ნაროდოვოლცური იყო და არა მარქსისტული. მაშინ ვთქვით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ მარქსისტები“ [9]) ნ. ჟორდანიამ, მისი თქმით, მხოლოდ ევროპაში შეითვისა ნამდვილი მარქსიზმი პლეხანოვის ზეგავლენითო. („Только получив творенья Плеханова мы стали понимать Маркса“).

ეს არ არის მარტო თეორიული ძიება, სწავლითა და ცოდნით დაინტერესებულ პიროვნებებისა, ეს პოლიტიკური შინაარსის ძიებაა: გამოფხიზლებული წვრილი ბურჟუაზია ეძებს თავის შესაფერის ფორმას, იგი ხან ნაციონალ-დემოკრატიის ჭურჭში ეხვევა, ხან ნაროდოვოლცების მოსასხამს ისხამს, ხან კი მარქსიზმის ნილაბს ატარებს. მაგრამ ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ.

ახლა დაუბრუნდებით ზემოდ წამოყენებულ პირველ დებულებას.

ჩვენში პროლეტარული კლასის წარმოშობის პროცესი რამოდენიმედ წააგავს რუსეთის პროლეტარიატის წარმოშობის პროცესს. როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც, პროლეტარიატის მთავარი კადრები უმთავრესად სოფლის ცხოვრებიდან გამოსულ ელემენტებისაგან სდგებო-

---

[9]) Н. Жордания. „За два года“. გვ. 105. 1919 წ.

და. ევროპის ქალაქებმა განვლეს საშუალო საუკუნეების ისტორიული სკოლა მთელი თავისი წარმოებითა და ცეხური სისტემით. ბურჟუაზიულმა განვითარებამ ეს საზოგადოებრივი ფენები დაარღვია, დაშალა და უმეტესად აქედან წარმოსდგა ევროპის თანამედროვე ქალაქების წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარული ელემენტები. ევროპის პოლიტიკური რადიკალიზმიც, როგორც ცნობილია, უმთავრესად საშუალო საუკუნეების სკოლა განვლილ ქალაქის წვრილ ბურჟუაზიაზე ეყრდნობოდა. მაგრამ მაშინ, როდესაც ევროპის ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა სამი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული, კლასი: ა) მსხვილი ბურჟუაზია, ბ) წვრილი და საშუალო ბურჟუაზია და გ) პროლეტარიატი — ჩვენს ქალაქებს 90-იან წლებისათვის ახასიათებდა უმთავრესად წვრილი ბურჟუაზიული და პროლეტარული ფენები, ხოლო ბურჟუაზიული კლასი, (ლაპარაკია ქართულ ბურჟუაზიაზე), როგორც ასეთი, ჩანასახს წარმოადგენდა. [7]) მაგრამ ეს ორი უმთავრესი ფენა ჩვენი ქალაქური ცხოვრებისა **თავისი გენეოლოგიით სოფლური შთამომავლობისა იყო.** როგორც ვიცით, ქალაქურმა ცხოვრებამ მე-18-ე საუკუნის გასულამდე ვერ გაიდგა ფართედ ფესვები და ვერ განვითარდა, ხოლო აქ, ტფილისში, სადაც ასე თუ ისე ცენტრი იყო აღმოსავლეთ საქართველოსი, ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენდა სომხობა. 1835 წ. **ორესტ ევეცკის** მოწმობით ტფილისში იყო 25. 290 მცხოვრები; აქედან სომხობა შეადგენდა 18. 220, ქართველობას კი 4. 217 კაცი [8]). მოქალაქობრივ ცხოვრების განუვითარებლობასთან ერთად არც წარმოება იყო განვითარებული ტფილისში; იგივე

---

[7]) აქ საჭიროდ მიგვაჩნია გავახსენოთ მკითხველს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას ჩვენში ხელი შეუწყო უმთავრესად რუსეთის ეკონომიურმა პოლიტიკამ და რუსეთის კაპიტალისტურმა მეურნეობამ.

[8]) Орест Евецкий: „Статистическое описание Закавказского края" 1835 წ. გვ. 143

ეველაკი სწერს: „В Грузии нет фабрик, за исключением тифлисской шелкомотальной“, (იხ. გვ. 134). ავტორის მოწმობით ტფილისში იყო 1818-დე სხვადასხვა სავაჭრო და სამრეწველო წვრილი დაწესებულება. ამ დაწესებულებებში მომუშავენი წარმოადგენდენ ტფილისის წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებს. მაგრამ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება: 1865 წელს ტფილისის მოსახლეობის რაოდენობა უდრის 67. 770; 1886 წ. — 78. 445; 1897 წ. — 160. 645; 1891 წ. ქართველთა რაოდენობა უდრიდა 38. 357; რუსების 36.113; სომხების 55.553: ასე სწრაფად იზრდება ჩვენი ქალაქი მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში. ხოლო ეს ზრდა არ ხდებოდა ქალაქის მცხოვრებთა ბუნებრივი ზრდის გზით. აქ უმთავრესად თავს იყრიდა გარედან მოსული ელემენტები: რუსეთიდან და სხვა მხარეებიდან — სომხობა და რუსობა; სოფლებიდან - კი — ქართველობა. ბატონ-ყმობის მოსპობამ, გლეხის იურიდიულად „განთავისუფლებამ“ ხელი შეუწყო სოფლებიდან ქალაქებში საგრძნობი ნაწილის გადასახლებას; მაგრამ ამ პროცესს ღრმა ეკონომიური მიზეზები ედვა სარჩულად. გლეხი „გაანთავისუფლეს“ იურიდიულად, ხოლო მისი ეკონომიური პირობები კი მეტად სამწუხარო და დაცემული შეიქნა. ამ საკითხს ჯერ კიდევ 70-იან წლებში შეეხო ცნობილი პუბლიცისტი ს. **მესხი.** გაზ. „დროებაში“ იგი სწერდა:

„ახლანდელ ჩვენებურ გლეხურ უმეცრებას, სილარიბეს და დაცემას, სხვათა შორის, ორი ეკონომიური ძალა უწყობს ხელს: სოფლის ვაჭრები, ანუ უკეთ ვთქვათ ფულის გამსესხებელნი და ნაბატონრები. ძალიან კარგათ ვიცით, რომ მარტო ჩვენი სიტყვითა და რჩევით არც ჩვენებური ნაბატონარი, რომელზედაც ვამბობთ არ შეიქმნება თავისი მოძმის შემბრალებელი და არც ვაჭარი — გულლმობიერი. ბევრიც, რომ ვიყვიროთ, თუ ამ ნაბატონარმა თავის მიწაზე ნახევარ შემოსავლის გამორთმევა მოუხერხა გლეხს, გამოართმევს; რამდენიც უნდა ურჩიოთ ფულის გამსესხებელს, თუ კი შეიძლო, დარწმუნებული

ბრძანდებოდეთ, რომ ერთ თუმან'ში საოგებლად ორ სამ ოთხ თუმანს ან მის ღირებულ ნამუშევარს გადაახდევინებს წლის დამლევს გაჭირვებულ გლეხსა. სანამ გლეხი საკუთარი მამულის პატრონი, დამოუკიდებელი მემამულე არ შეიქნება, მანამ ნაბატონარებსა და მის ნაყმებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოისპობა, სანამ ჩვეულებრივი გლეხის მდგომარეობა ცოტათი მაინც არ გაუმჯობესდება ეკონომ. მხრითა, სანამ სწავლის ლამპარი მკრთალ სხივს მაინც არ მოჰფენს იმის უმეცრებას და ბნელ ცხოვრებას, ერთი სიტყვით, სანამ თავის საცხოვრებლად და ყოველგვარი ხარჯის გადასახდელად იმას ფულის შეძლება არ ექნება, მაშინ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი გლეხი ვაჭრებისა და ფულის გამსესხებელის კლაჭებიდან ვერ განთავისუფლდება". [9]).

აი სწორედ ამ ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ფულის მოსაპოვებლად გლეხი გაექანა ქალაქისაკენ, ხოლო აქ იგი იძულებული იყო უმთავრესად თავისი ძალღონე გაეყიდა და ყოველდღიურ შრომით ეცხოვრა. ასე ჩამოყალიბდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ახალი სოციალური კლასი—პროლეტარიატი მე-19-ე საუკ. მეორე ნახევარ'ში. შესაძლებელი არის ამის წინ ეპოქა'შიაც არსებობდა ჩვენ'ში შრომის გამყიდველი ელემენტები ქალაქებ'ში (სტამბებ'ში, ქარხანა'ში და სხვა დაწესებულებებ'ში); ეს შეიძლება, მაგრამ, როგორც ასე თუ ისე თვალსაჩინო ძალა, იგი წარმოიშვა გასული საუკუნის მეორე ნახევარ'ში და უმთავრესად სოფლის გლეხობის ხარჯზე.*) თუ რამდენად განვითარდა ჩვენ'ში ეკონომიური დაწინაურების ნიადაგ'ზე 90-იან წლებ'ში მუშათა კლასი, ამის შესახებ ჩენ მოვიყვანთ ამხ. ფ. მახარაძის ნარკვევიდან შემდეგ დაახლოვებით ცნობას. ამ ცნობის მიხედვით ტფილისსა და ქუთაისის გუბერნია'ში 1887 წელს

---

[9]) „დროება" № 12. 1875 წ. (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

*) რასაკვირველია, ჩვენი მუშათა კლასის შემადგენლობა ივსებოდა ნაწილობრივ ქალაქის ხელოსანთა და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების ხარჯზედაც, მაგრამ ისინი მაინც მცირედ ნაწილს წარმოადგენენ გლეხობასთან შედარებით.

ირიცხებოდა 12. 315 მუშა; ხოლო 1893-4 წლებისათვის ეს რიცხვები გაიზარდა ორივე გუბერნიებისათვის 22.828. ეს ფაქტები ამოწმებენ, რომ პროლეტარიატი — მუშათა კლასი — უკვე ჩამოყალიბდა ჩვენში და იგი 90-იან წლებისთვის ჩვენი საერთო ცხოვრების საგრძნობ ძალად გარდაიქცა, როგორც ეკონომიურის მხრივ, ისე პოლიტიკურადაც.

მაგრამ როგორი არის მისი ხარისხი, უკეთ, როგორი ელემენტებისა და სოციალური ფენებისაგან შესდგება იგი? ჯერ კიდევ 1895 წ. ს. **ჯიბლაძე** სწერდა:

„ჩვენი პროლეტარიატი არეულ სხულს წარმოადგენს. აქ უმეტესობას მცირე მამული აქვს, რომელიც მხოლოდ მესაკუთრის სახელს აძლევს. ნამდვილად კი გაღატაკებული ბოგანოა. ესენი მუშა ხალხია, რომლის ბედ-ილბალი დამოკიდებულია, როგორც საქონლის ისე მუშეთა ხელის ბაზარზე. ესენი სულ გაპროლეტარების გზას დაადგენ“. [10]).

ჩვენ ვფიქრობთ სწორი იქნება, თუ 90-იან წლებისათვის შემდეგ კატეგორიებს გამოვყოფთ ჩვენი მუშათა კლასის რიგებში: 1) **ნამდვილი პროლეტარი,** „მოხარშული კაპიტალისტურ ქარხანაში“: 2) **ნახევრად-პროლეტარული ელემენტი,** რომელიც სავსებით არ გასცილებია სოფელს: ცალი ფეხით სოფელში სდგას, ცალი ფეხით კი ქალაქში. ეს ასე ვთქვათ სოფლისა და ქალაქის შემაერთებელი რგოლია, 3) **ნახევრად გლეხური ელემენტი,** რომელიც ქალაქში და წარმოებაში სეზონობით მუშაობს, ხოლო უმთავრეს დასაყრდნობ ბაზას მაინც სოფლის მეურნეობა შეადგენს. ასეთი არის და ასეთივე იყო ჩვენი მუშათა კლასის სოციალური შემადგენლობა. ეს ფაქტი ამტკიცებს ჩვენი პროლეტარიატის ღრმა კავშირს გლეხობასთან: მათ შორის პოლიტიკური და რევოლიუციონური თანამშრომლობის დამყარებას. მაგრამ ამ თანამშრომლობის დამყარების დროს საკითხავია, რომელი ელემენტი რომელ პილიტიკას ემორჩილება: თუ სასწორს

---

[10]) იხ. „კვალი“ № 14. 1895 წ.

გადავხრით გლეხობისაკენ, მაშინ პროლეტარიატი ითქვიფება წვრილ-ბურჟუაზიულ მასაში და მუშათა პარტიას აუცილებლად გადაგვარება მოელის, ხოლო თუ სასწორი პირუკუ იქნა გადახრილი, მაშინ ჩვენ ვღებულობთ პროლეტარიატისა და მისი პარტიის ჰეგემონიას წვრილ დემოკრატიულ მასაზე. ეს საჭიროა დავიმახსოვროთ მენშევიზმის ბუსების გამოსარკვევად.

მაგრამ შემცდარი იქნება დებულება, რომ სოფელმა მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატი მოგვცა. სოფლის წიაღიდან გამოსულმა ფენებმა აავსეს და გააძლიერეს **აგრეთვე** ჩვენი ქალაქის **წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებიც** (წვრილი ვაჭრობა. მოხელენი, ინტელიგენცია, ხელოსნები, ნოქრები და სხვა). ეს ძალაც საგრძნობლად გაიზარდა ჩვენს ქალაქებში. ამ წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების ზრდის შესახებ ჩვენ ხელთ არ არის ამ ჟამად სრული ცნობა. მის ტენდენციას საგრძნობლად გადაშლის ჩვენს წინ **მოსწავლე ახალგაზრდობათა** საერთო რიცხვის ზრდა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში. ეს მოსწავლე ახალგაზრდობა მომავალი ინტელიგენცია არის, მაშასადამე მომავალი წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტიც.

15 წლის (1887 — 1902) განმავლობაში ორივე გუბერნიის **ყველა სასწავლებლებში** წოდების მიხედვით იყო მოსწავლე: თავად-აზნაურობის — 1887 წ. — 5.685 (23.5%). 1902 წ. — 9.935 (16.3%); **სასულიერო წოდების** 1887 წ. — 873 (3.5%); 1902 წ. — 1.515 (2.5%); — **მოქალაქეთა წოდების:** 1887წ. — 2.646 (18,6%); 1902 წ. — 13.807 (22,7%); **გლეხობის** — 1887 წ. — 13.233 (52,9%); 1902 წ. — 34.620 (56.9%). [11]).

ეს მშრალი ციფრები საგრძნობლად მეტყველებენ იმ საერთო ტენდენციაზე, რომელმაც შეიპყრო 30 — 35 წლის განმავლობაში საქართველოს მცხოვრებნი. საქართველოს სოციალური სტრუქტურა საგრძნობლად შეიცვა-

---

[11]) იხ. „მოამბე" № 6. 1904 წ. ფ. გოგიჩაიშვილის წერილი: „სხვადასხვა წოდებანი საქართველოში სწავლა-განათლების მხრივ". გვ. 93.

ლა და მასთან სწავლა-გახაფლება აჩქარებულის ტემპით შეიჭრა მასაში. მოქალაქისა და გლეხობის მოწოდებამ მეტად მოზრდილი რიცხვით (79,6%) გადააჭარბა სხვა წოდებებს. ჩვენი წვრილი ბურჟუაზია ამოძრავდა და იგი ხარბად დაეწაფა სწავლა-განათლებას; **ხოლო საერთოდ ინტელიგენციის კადრის გამრავლებამ დიდათ შეუწყო ხელი ამ წვრილ ბურჟუაზიის პოლიტიკურ ამოძრავებას. ინტელიგენცია ველარ თავსდება ცარიზმის პოლიტიკურ არტახებში და იგი თავისუფლებას მოითხოვს.** უნდა ითქვას, რომ საერთოდ ინტელიგენციის გამრავლება ხელს უწყობდა წვრილ ბურჟუაზიის გაძლიერებას. „წარჩინებული" წოდების ეკონომიური დაცემის გამო, მისი წიაღიდან გამოსული ინტელიგენციის საგრძნობი უმეტესობა ითქვიფებოდა ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიულ მასაში: ამიტომ **თავად-აზნაურულ** ინტელიგენციის როლი მცირდებოდა, ხოლო წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის კონტიგენტიკი, რომელიც სხვა და სხვა ელემენტებისაგან შესდგებოდა, სულ თანდათანობით ფართოვდებოდა.

შესაძლებელი არის საქართველოს საზოგადოებრივი შენობა 90-იან წლებისათვის შემდეგი სოციალური კლასების მიხედვით დახასიათდეს: 1) განადგურების გზაზე მდგარი **თავად-აზნაურობა**, რომელიც ეკონომიურად ჯერ კიდევ ძლიერი წოდებაა, 2) ჩანასახის პირობებში მყოფი **ქართული ბურჟუაზია**; 3) მრავალ რიცხოვანი **წვრილი და საშუალო ბურჟუაზია**: სოფლისა და ქალაქის მცხოვრებნი; 4) **მუშათა კლასი.**

ამ სოციალურ ძალთა ურთიერთობაში გადამჭრელ როლს თამაშობდა მხოლოდ სამი ფენა: თავად-აზნაურობა, პროლეტარიატი და წვრილი ბურჟუაზიული ელემენტები: ამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, პოლიტიკურ ბრძოლის მომენტში ბურჟუაზია, როგორც მომქმედი ძალა არ არსებობდა. ამით ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური ფონი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ევროპისა და რამოდენიმედ რუსეთის ცხოვრებისაგან. სამაგიეროდ ჩვენში წვრილი ბურჟუაზია უფრო აქტიური და მომქმედი გამოდგა. ევროპის სინამდვილისათვის მარქს — ენგელსი

სწერდენ: „იმ ქვეყნებში კი, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია განვითარდა, წარმოიშვა და, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების დამატებითი ნაწილი მუდამ ახლად იბადება **ახალი წვრილ-ბურჟუაზიული კლასი, რომელიც პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის ქანაობს**".

ჩვენში რაკი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობაში ბურჟუაზია გადამჭრელ. როლს ვერ თამაშობდა, წვრილ ბურჟუაზიას საქანებლად დარჩა პროლეტარიატისა და მთავრობის შორის დარჩენილი მანძილი. წვრილი ბურჟუაზია ჩვენში იტანჯებოდა არა კაპიტალიზმის განვითარებით, არამედ მისი განუვითარებლობით, არა კაპიტალისტური ურთიერთობით, არამედ დიდტანიან ბიუროკრატიული სახელმწიფოს აპარატით. ამიტომ იგი ებრძოდა ამ აპარატს და მხარს უჭერდა პროლეტარიატს. მაგრამ მის სამოღვაწეო პროგრამას შეადგენდა არა სოციალური რევოლიუცია, არამედ დემოკრატიული წყობილება და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება. ეს ხედმიწევნით აღნიშნა **ნ. ჟორდანიამ** ერთს თავის მოხსენებაში; იგი ამბობს: „ეს კლასი (წვრილი ბურჟუაზია) პოლიტიკურად ემხრობა რევოლიუციონურ კლასებს, ხოლო სოციალურად, რადგან ჯერ კიდევ არ განუცდია მსხვილი ბურჟუაზიის გამანადგურებელი გავლენა, დაინტერესებული არის წარმოებისა და მსხვილი კაპიტალის განვითარებაში".

აქ სისწორით არის აღნიშნული ჩვენი ცხოვრების ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: **წვრილი ბურჟუაზია ჩვენში მსხვილი კაპიტასისტური წარმოების მომხრედ გამოდის.** ეს გარემოება ნათელს ჰფენს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ფონზე აღმოცენებულ სხვა მომენტებსაც. ჩვენში სოციალ-ფედერალისტური პარტია წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის წიაღიდან გამოვიდა, იგი იდეოლოგიურ ნათესაობას ამკვიდრებდა რუსეთის ნაროდნიკებთან, ხოლო პრაქტიკულ პროგრამის მიხედვით კი მსხვილ კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას მოითხოვდა ჩვენში. ამ გარემოების სოციალურ ბუნებას თქვენ ვერ გაიგებთ, თუ ნ. ჟორდანიას ზემოყვანილი მო-

საზრება არ მიიღეთ მხედველობაში საქართველოს წვრილ ბურჟუაზიის შესახებ. მაგრამ ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს არა მარტო სოციალ-ფედერალიზმის სოციალური ბუნების გასაგებად. არამედ თვით მენშევიკური საიდუმლოების გასაგებადაც. მენშევიზმი, როგორც მეორე სახის უფრო ძლიერი წვრილ-ბურჟუაზიული პარტია, იმავე კაპიტალიზმის განვითარებით გამოდის ჩვენში, როგორც არ. ჯორჯაძემ წამოაყენა 1901 და 1903 წლებში: ფაქტიურად ნ. ჟორდანია ჯორჯაძის ეკონომიურ პროგრამას ანხორციელებდა თავის პრეზიდენტობის დროს.

ამრიგად გარკვეული ობიექტიური პირობების გამო წვრილი ბურჟუაზია თავიდანვე ჩვენში იძულებული იყო პროლეტარიატს მიმხრობოდა, მის ორგანიზაციაში შესულიყო. ამ გარემოებას ხელს უწყობდა აგრეთვე ჩვენში წვრილ-ბურჟუაზიული დამოკიდებული პარტიის განუვითარებლობა; 90-იან წ. ნაროდნიკული მიმდინარეობა, როგორც ვწერდი, ინტელიგენციის ვიწრო წრეებს ეხებოდა ფაქტიურად და მას მასასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა გაბმული, მაგრამ ამ მიმდინარეობამ სრულიად ვერ აართვა ალლო ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს და მისი ეკონომიური პროგრამა არსებითად მიმართული იყო კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგ. წვრილი ბურჟუაზიის უმეტესობის ინტერესი მოითხოვდა კაპიტალისტური უთრიერთობის განვითარებას, ნაროდნიკული ინტელიგენცია კი ძველი ეკონომიური ფორმების დაცვის პროგრამას აყენებდა; წვრილი ბურჟუაზია პოლიტიკურ აქტივობასა და ორგანიზაციულ მოქმედებას ითხოვდა, ინტელიგენცია კი პასიურ ლოდინის თეორიებს აყენებდა. ამრიგად მასისა და ინტელიგენციის სავალი გზები დაშორდა ერთი მეორეს: პირველი ცხოვრებას მისდევდა კვალდაკვალ, მეორე კი მას ჩამორჩა, პირველი პროგრესიული იყო თავისი **ეკონომიური პროგრამით**, მეორე კი რეაქციონური. აი რას ამბობდა ნაროდნიკული მიმდინარეობის ერთი ცნობილი წარმომადგენელი **ლალი (გ. ლასხიშვილი:**

„ჩვენს ქვეყანაში დღეს კაპიტალისტური წესწყობილება არა თუ არ არსებობს, პირიქით, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ხელს უშლის ამ ფორმების დამყარებას..... ევროპის ახლანდელი ეკონომიური ფორმა უთუოდ შეიცვლება სამართლიანისა და უფრო ჩინებული ფორმით. ამ ფორმას ჩვენი ერი შეგნებული ინტელიგენციის დახმარებით ადვილად შეითვისებს, თუ ქართველთა ცხოვრების კალაპოტი გაფართოვდა, რასაც უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება. *) მანამდის ჩვენი მეცადინეობა და ეკონომიური მოღვაწეობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ჩვენი დღევანდელი სიმდიდრის და ერთად ერთი განძის დაცვისათვის და ამ სიმდიდრის წესიერი მოხმარებით ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის ყოველივე ღონისძიება ვიხმაროთ, ეს სიმდიდრე — მიწაა; ეს განძი, რომ ხელიდან არ გამოგვეცალოს, საჭიროა ის მოგროვდეს იმათ ხელში, ვისაც მისი მოვლა შეუძლია საჭიროა მიწამ იმდენი ხვირი მისცეს მამულს რამდენიც საკმარისია ნივთიერ და სულიერ დღევანდელ ცხოვრების დასაკმაყოფილებლად". [12]). (ხაზი ჩვენია ს.ხ.).

ამრიგად ლალის აზრი, კაპიტალისტური წარმოების გვერდის ავლით, წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობის ნიადაგზე ინტელიგენციის დახმარებით შესაძლებელი არის სოციალიზმის დამყნა. ნუ განვავითარებთ ჩვენში კაპიტალიზმს. შევინარჩუნოთ ჩვენი წვრილ-ამქრული წარმოება და პატრიარქალური მეურნეობა, დრო დადგება, ევროპა განახორციელებს სოციალიზმს, და აქედან შეგნებული ინტელიგენცია მას გადმონერგავს ჩვენს ნიადაგზე. ასე მსჯელობდა ლალი. მაგრამ ეს ეკონომიური პროგ-

---

*) ავტორს აქ სახეში აქვს პოლიტიკური მომენტი. თუ ეკონომიური პროგრამა ნაროდნიკებისა ალარ შეესაბამება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, სამაგიეროდ პოლიტიკური პლატფორმა — დემოკრატიული წყობილების მოთხოვნა სრულიად მიზანშეწონილი და პროგრესიული იყო. ლალი იმ პერიოდში (90-იან წლებში) არსებითად იცავდა ჩვენში ნ. მიხაილევსკის პლატფორმას, რომელიც რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების შეცვლის პროგრამას აყენებდა.

[12]) იხ. ივერია № 34. 1895 წ.

რამა აღარ შეესაბამებოდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს: ა) კაპიტალისტურმა ურთიერთობამ მოიკიდა ფეხი ჩვენს სინამდვილეში, ბ) ამის ნიადაგზე განვითარდა კლასიური დიფერენციაცია. ასეთ პირობებში კაპიტალიზმის საწინააღმდეგო ეკონომიური პროგრამის წამოყენება იქნებოდა ცხოვრების უკან დახევა: ახალ ქონებრივი ურთიერთობის ჩარჩოებში ძველი წარმოებისა და საზოგადოებრივი დამოკიდებულების მოთავსება რეაქციონური და უტოპიური იყო. ამიტომ ეს მიმდინარეობა ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების ფონიდან რაღაც 6 წლის განმავლობაში აღმოიფხვრა, და 1901 წლიდან მან ადგილი დაუთმო ახალი სახის წვრილ-ბურჟუაზიულ მიმდინარეობას — სოციალ-ფედერალიზმს. ძველის სახის ნაროდნიკობა მოკვდა, რადგან იგი ჩამორჩა ცხოვრების მიმდინარეობას. მას მასა არ გაჰყვა; დემოკრატიამ სხვა გზა მოიძებნა თავის სამოღვაწეოდ.

საით მიემართება ეს გზა?

ჩვენ უკვე აღენიშნეთ, რომ ჩვენი წვრილი ბურჟუაზია ობიექტიური პირობების გამო პროლეტარიატს ამოუდგა გვერდში და მასთან ერთად მოინდომა მტკიცე ორგანიზაციის შექმნა. აქ ჩვენ სიტყვას **ნ. ჟორდანიას** დაუთმობთ, თავის მემარცხენეობის პერიოდში, 1905 წელს იგი სწერდა:

„საკვირველია ის, რომ ჩვენში, რუსეთში, სადაც მსხვილი კაპიტალის განუვითარებლობით წვრილი კაპიტალი დიდ როლს თამაშობს, წვრილი ბურჟუაზია მაგარი, მრავალი და თავაღებულია, მისი პარტიები კი სუსტი და უძლურია, მუშათა პარტიამ წინ გაუსწრო მათ და ბრძოლის ველს დაეპატრონა: ნაციონალისტები, სოციალ-რევოლიუციონერები და სხვა დემოკრატიული პარტიები უჯერო სარდალთა გროვაა. **მათი ჯარი კი მუშათა პარტიას ემხრობა; გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობას სცნობს და პარტიაში შემოდის, და ეს განსაკუთრებით ჩვენში, კავკასიაში. რუსეთში კი პარტიას მოაწვა განსაკუთრებით ინტელიგენცია და თან შემოაქვს თავისი წვრილ-ბურჟუაზიუ**

ლი არზოვნება და ფსიქოლოგია. ნათქვამია ბუნება კარებიდან რომ განდევნო, ფანჯრიდან შემოვაო. წვრილი ბურჟუაზიული კლასები თავის პარტიებში ვერ გამაგრდენ. სამაგიეროდ ისინი გამაგრდებიან ჩვენს პარტიაში. ამით ბურჟუაზიულ აზროვნებამ შემოხეთქა სოციალ-დემოკრატიის კედლები და მას ემუქრება შიგნიდან". [13]). (ხაზი ჩვ.).

აქ ფაქტი სისწორით არის აღნიშნული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული მენშევიზმი, რომელიც გარკვეულ სისტემაში 1903 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა, ანარეკლი არის ამ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებისა. მენშევიკური იდეოლოგია და მისი სისტემა ერთი ათეული წლის განმავლობაში მზადდება ჩვენში ინტელიგენციის მიერ. ხოლო ამ მზადების პროცესზე თავის შესაფერის გავლენას ახდენდენ ჩვენი ცხოვრების შემდეგი სოციალური ფენები: ა) ქალაქის წვრილი ბურჟუაზია (მოხელეები, ინტელიგენცია, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ნოქრები *). ბ) სოფლის დაწინაურებული გლეხობა, წვრილი მესაკუთრე და გ) პროლეტარული ელემენტები. **აი ეს ჩვენი ცხოვრების საზოგადოებრივი ელემენტები წარმოადგენენ ქართულ მენშევიზმის სოციალურ ბაზას.** [14]). ეს ელემენტები შეიკრენ პარტიაში და თან შეიტა-

---

[13]) იხ. ნ. ჟორდანია: „დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია".

*) ვისაც ქუთაისში უცხოვრია და უმოღვაწნია, მას ეცოდინება, რომ მენშევიკების მთავარ არმიას იქ შეადგენდენ **ნოქრები** და მათი საშუალებით იგი დიდ დიდ გავლენას ახდენდენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ვინ არის სოციალისტურად ნოქარი? ეს არის წვრილი ბურჟუაზია. **მომავალი ვაჭარი.** ქუთაისის ვაჭრების უმეტესობა — ეს ყოფილი ნოქრები არიან, მათ გავლილი აქვთ ნოქრობის სკოლა.

[14]) თავის მოხსენებაში საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შესახებ, ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა სწერს: „Таким образом, общественыя отношения Грузии складываются тремя демократическими классами: рабочаго, крестьянства и мелкой буржуазии, которые и состовляют: социальный базис для постройки Грузинского государства. Государство при таких условиях может быть только демократическим или оно не может быть вовсе". (იხ., „За два года". გვ. 118).

ნეს შიგ წვრილ-ბურჟუაზიული მიდრეკილება. მენშევიზმის ხელმძღვანელებმა იგი გააღამაზეს და სისტემაში მოიყვანეს.

აქ ზედმეტი არ იქნება თვალი გადავავლოთ ამ სისტემის იდეოლოგიურ მომენტებსაც.

4. ქართული მენშევიზმის იდეოლოგიის სალარიდან.

„ქართული პრესა"-ში 1900 წ. ნ. ჟორდანია სწერდა: „არავის არ ჰგონია თავის თავი ისე. როგორც არის, ყოველთვის გაზვიადებული წარმოდგენა აქვს და ამიტომ თავის თავის დაფასება და გარჩევა ასე ძნელია.." (გვ. 113).

ყველაზე უფრო შეიძლება ითქვას ეს ქართულ მენშევიზმზე. ამ პარტიას თავი ას პროცენტიან მარქსისტად მოჰქონდა. არსებითად ეს ასე არ არის. მარქსიზმს ამ პარტიამ თავისი წვრილ-ბურჟუაზიული სათვალეებით შეხედა და მარქსიზმიდან მოინდომა გამოეკერა ისეთი მოძღვრება, რომელიც ყველაზე უფრო ეგუებოდა ამ წვრილ ბურჟუაზიის ინტერესებს. მარქსიზმიდან მან შეითვისა დემოკრატიზმი, კაპიტალისტური ეკონომიკის უარყოფითი მხარეების „კრიტიკა", მაგრამ მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩა კლასთა ბრძოლის პრინციპი და მარქსიზმის მთელი რევოლიუციონური სისტემა. როგორც ლეგალურმა მარქსიზმმა რუსეთში (90-იან წლებში) მარქსიზმიდან მიიღო ის, რაც ბურჟუაზიულ წყობილებისათვის სასარგებლოდ მიაჩნდა, ხოლო უკუაგდო ის, რაც საზარალო და დამღუპველი იყო იმავე ბურჟუაზიისათვის, ისე მენშევიკური წვრილი ბურჟუაზიაც საქართველოში თავის წვრილ ბურჟუაზიული სარგებლიანობის საზომით მიუდგა მას. მაგრამ მარქსიზმი მთლიანი სისტემა არის, მისი სოციოლოგიური დებულებანი და რევოლიუციონური სისტემა განუყოელი რგოლებით არის ერთმანეთზე გადაბმული, როდესაც ამ მოძღვრებიდან იღებს მხოლოდ ნაწილს, ამით მთელ სისტემას ამახინჯებთ. მენშევიზმი იღებს მხოლოდ ნაწილს ამ მოძღვრებიდან, ხოლო დანარჩენს ავსებს თა-

ვისი წვრილ ბურჟუაზიული არსენალიდან. ამით იგი სცილდება მარქსიზმის მოძღვრებას და სრულიად საწინააღმდეგო სახეს ღებულობს.

ამ თავში ჩვენ უმთავრესად ვეხებით 90-იან წლებში დაწერილ წერილებს. სწორეთ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მომავალ ქართულ მენშევიზმსაც. რაც შემდეგ გარკვეულ სისტემაში ჩამოყალიბდა.

1905 წელში ნ. ჟორდანია სწერდა:

„ჩვეულებრივად ჰგონიათ, რომ რაკი ჩვენსკენ ამდენი სხვა-და-სხვა ხალხი მოდის — ალბად ძლიერი ვართო: ეს შეხედულება მართალიც არის დაშემცდარიც, იმისდა მიხედვით, თუ როგორი თვალით შევხედავთ სოციალ-დემოკრატიას. თუ მას შევხედავთ დემოკრატიის თვალით დავინახავთ, რომ ის ძლიერია, წინაალმდეგ შემთხვევაში დემოკრატიული კლსები ჩვენსკენ არ მოვიდოდნენ; თუ მას შევხედავთ სოციალ-დემოკრატიული თვალით ის სუსტია. უამისოდ წვრილი ბურჟუაზია არ გაეკარებოდა. ესენი პარტიაში **შემოდიან როგორც დემოკრატები. მათთვის ჩვენ ვართ უბრალო დემოკრატები და სურთ ჩვენი პარტია იარაღად მოიხმარონ თავისი მიზნის მისაღწევად. ისინი კი არ არიან ჩვენი იარაღი, ისინი კი არ ითვისებენ ჩვენს პროგრამას, არამედ ჩვენ ვართ მათი იარაღი და ვიბრძვით მათ სასარგებლო ბურჟუაზიის თავისუფლების დასამყარებლად, ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოებია, ჩვენში სოციალისტური სახე აშკარად გამოგვეჩინა და მათ ეს დაენახათ უეჭველია, ჩვენსკენ არ წამოვიდოდენ და ჩვენი დროშის ქვეშ არ დადგებოდენ, მათთვის ჩვენი წითელი დროშა ნიშნავს არა კერძო საკუთრების მოსპობას. არამედ კერძო საკუთრების გადიდებას, და ამიტომ ასე ალტაცებით აფრიალებენ მას წარამარა.**

ევროპის სოციალ-დემოკრატიას იმდენი გავლენა არ აქვს ბურჟუაზიაზე, რამდენიც ჩვენ გვაქს. მაგ. ქუთაისის სოციალ-დემოკრატიამ მთელი ქალაქის გაფიცვა მოახდინა, რაც არ შეუძლია არც ბერლინის და არც პარიზის სოციალ-დემოკრატიას მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუ-

ოაისის სოციალ-დემოკრატია ბერლინისაზე უფრო ძლიერია, სრულიადაც არა. ეს ნიშნავს იმას, რომ **იქ არის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აქ კი ბურჟუაზიის სასარგებლოდ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ**". (ხაზი ჩვენია). [15]).

ასე სწერდა ნ. ჟორდანია, როდესაც იგი მენშევიკური „ეემარცხენეობის" სენით იყო შეპყრობილი. რასაკვირველია, წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებს ფართოდ გაუღია ჩვენში სოციალ-დემოკრატიის კარები იმ ორგანიზაციულმა პრინციპმა, რომელმაც მეორე ყრილობაზე (!903 წ.) ჰპოვა გამარჯვება, სოლო ამ წვრილ ბურჟუაზიული მასების მოშხიბლავ ლოზუნგად გადაიქცა ის პლატფორმა, რომელიც იმავე ავტორმა (ნ. ჟორდანიამ) წამოაყენა 90-იან წლებში. მე ბოდიშს მოვიხდი მკითხველის წინაშე, თუ აქ მოვიყვან ვრცელ ციტატას მისი წიგნიდან.

1900 წ. ნ. ჟორდანია სწერდა:

„რას შეიცავს ეს მიმდინარეობა? ის შეიცავს ერთნაირად სამოქალაქო მიმდინარეობას. ქართველობა უკანასკნელ 10 — 15 წლის განმავლობაში სწრაფად ჩაება თანამედროვე მოქალაქეობრივობაში და რაც დრო მიდის, მით უფრო ის მაგრდება ამ გზაზე და რადგანაც **ბურჯი ახლანდელი ცხოვრებისა მოქალაქეობაა, ამისთვის გაქალაქებული საქართველო ბურჯია ჩვენი მერმისის. ამ სახით თვით ცხოვრებამ დაჰყო ქართველობა ორ ნაწილად: მოწინავე ე. ი. მოქალაქეობის გზაზე გამოსული და უკან ჩამორჩენილი,** ე. ი. ჯერ კიდევ პატრიარქალურ პირობებში ჩამორჩენილი; პირველი არის ჩვენი ერის ახალი ხალხი, და ახალი პრესაც აქ უნდა ეძებდეს თავის ნიადაგს.

„ვისგან შესდგება ეს ახალი ხალხი? აქ პირველ ყოვლისა წოდებები (არ) არიან. დანაწილება სწარმოებს თანასმად ხელობისა და არა შთამომავლობისა. გუშინდელი ნაყმები და ნაბატონარი დღეს ერთი ხელობით ცხოვრობენ, ერთ პირობებში არსებობენ, ერთ რაზმს,

---

[15]) ნ. ჟორდანია „დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია" გვ. 19-20.

ერთ საზოგადოებას შეადგენენ. აქ უნდა იკითხოთ არა გლეხი ხარ თუ აზნაურიო, არამედ რა ხელობის და შეძლების ხარო. ეს არის შეურყეველი საძირკველი ევროპიულ მოქალაქეობისა. აშკარაა, რომ ჩვენ ვერ შეიქმნებით მომხრედ რომელიმე წინანდელი წოდების და მაშასადამე ვერც მოწინააღმდეგე. გლეხობა. რომელსაც ასე გულმხურვალედ ესარჩლებოდა „დროება", თავად-აზნაურობა, რომელსაც ასე ესარჩლება „ივერია", დღეს შეურყეველ და კარჩაკეტილ წოდებებს აღარ წარმოადგენენ. იმათ უკვე მოგვცეს მოქალაქეობის ელემენტები: ამ ელემენტების გადადუღებით და შეერთება — დანაწილებით მუშავდება ჩვენში მერმისი. რა-კი ეს ახალი ელემენტები ამზადებენ ჩვენს მერმისს, ცხადია, პრესა, რომელიც აქ ეძებს ნიადაგს, არის პრესა მერმისის. ერთი სიტყვით, **ქართველობის ის ნაწილი, რომელიც სამოქალაქო ასპარეზზეა გამოსული და ილტვის თანამედროვე საშუალებებით (განათლება, ალებ-მიცემობა, ხელოსნობა, შავი მუშაობა და სხვა-და-სხვა) თავი ირჩინოს, არის ახალი ქართველობაც და ახალი მწერლობაც მათი მიდრეკილების გამომხატველი უნდა იყო.** ის პირობები, რომლებშიაც ამათ უხდებათ მოღვაწეობა, ძალიან რთულია და დახლართული; ამისათვის ამ პირობების შეგნება და გათვალისწინება მისცემს მათ უძლიერეს იარაღს არსებობისათვის ბრძოლა გაუადვილოს და მით ის კულტურულად აღამაღლოს. თავისთავად ცხადია, რომ ამ ახალი ქართველობის დიდი უმრავლესობა სუსტია შეძლებით და შეუგნებელია გონებით (**მუშა, ხელოსანი, და სხვა წვრილი შეძლების პატრონნი**). იმას, როგორც ეს ახლად აღორძინებულს შეფერის, ჯერ კიდევ დიდი შრომა და მეცადინეობა ესაჭიროება, რომ შეიქმნეს დღევანდელ ვითარების გაგებული შვილი. ის ამ გზაზე უკვე შესდგა და მარდად მიექანება. **საჭიროა მეთაურობა და ალაგს გაფთხილება, რომ სადმე არ ჩაიჩეხოს. ასეთი მეთაურობა უნდა იკისროს ახალმა პრესამ. პრესის მოვალეობაა ამ მომავალ ქარავანს გზა გაუნათოს, ყოველივე დამაბრკოლე-**

ბელი ზღუდეები დაუნგრიოს და თავისუფალ სამოძრაო კალაპოტის მოპოებაში დაეხმაროს.

„მაშასადამე ჩვენი ერის მოწინავე ხალხის თანდათანი განვითარება, გაცნობიერება, დაბალი საფეხურიდან მაღლა ამოყვანა და შეგნებულ რაზმად გადაქცევა — აი რას უნდა ელტვოდეს მწერლობა, აი მისი დროშა, ეს ერთიანად დემოკრატიის მოძრაობაა და მისი წინამძღოლი პრესაც დემოკრატიულია. ამ სახით ახალი პრესის ერთად ერთი მიზანია ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენ მოქალაქეობრივ განვითარებას და დაეხმაროს ხალხს, ამ განვითარებაში შეგნებული მონაწილეობა მიიღოს — ეს არის რეალური ნიადაგი. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია კრიტიკა პირუთვნელი, აზრი ახალი, სიტყვა მკრელი — ეს არის მისი ლტოლვილება (ხაზი ჩვენია) [14]).

ეს წიგნი დასწერა ნ. ჟორდანიამ. სამწერლო ასპარეზზე გამოსელის შვიდი წლის შემდეგ. ამ ხანაში იგი არა მარტო დავაჟკაცებული პუბლიცისტია, არამედ სასელ მოხვეჭილიც. მაგრამ დიოგენის ფარნით, რომ ეძიოთ ზემოდ მოყვანილ ციტატში, ვერ იპოვით, მარქსიზმის რევოლიუციონური სისტემის მთავარ დებულებებს; არა მარტო ამ ციტატაში, არამედ მთელ წიგნში. მოყვანილ ციტატაში ავტორი აყენებს სოციოლოგიურ კონცეპციას ქართული საზოგადოებრივ განვითარების შესახებ. ქართული ეკონომიკის წარმატებაზე და უკვე მომქმედ ჯგუფების სამოღვაწეო პლატფორმას ეხება. რომელ კლასს ეყრდნობა ნ. ჟორდანია? მთლიან აღებულ მოქალაქეს. მისთვის სოფელი და ქალაქი დაშორდა ერთმანეთს, პირველი რეაქციონურია თავისი ყოფით, მეორე კი — პროგრესიული; სოციალ-დემოკრატიის დასაყრდნობ ბაზად უნდა გადაიქცეს მეორე. ხოლო უნდა უკუ აგდოს პირველი. მაგრამ ასეთი პლატფორმის წამოყენების დროს ნ. ჟორდანიას გამოეპარა ერთი რამ — კლასთა ბრძოლის პრინციპი და პროლეტარული თვალსაზრისი..... არსებითად ნ. ჟორდანიას 1900 წლის პლატფორმა არის პროგრესიული წვრილ

[14]) ნ. ჟორდანია. „ქართული პრესა" გვ. 114 16 1900 წ.

ბურჟუაზიის დემოკრატიული პლატფორმა. მისთვის ახალი ცხოვრების ხელმძღვანელი არის არა პროლეტარიატი, არამე მთლიანად აღებული ქალაქის მცხოვრებნი.

რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს სწორი მარქსისტული მიდგომა საკითხისადმი, ,ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ ციტატას **ნ. ლენინის** ერთი წერილიდან. რომელიც დაწერილი არის 1896 წელს. ნ. ჟორდანიასა და ნ. ლენინის ციტატების შედარებით მკითხველი აშკარათ დაინახავს დიდ განსხვავებას წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიულ და მარქსისტულ პროლეტარულ პროგრამათა შორის.

ლენინი სწერდა:

„სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკული მოღვაწეობა. როგორც ცნობილია. მიზნად ისახავს ხელმძღვანელობა გაუწიოს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას და ორგანიზაციულად მოაწყოს ამ ბრძოლის ორგვარი გამოხატულება: სოციალისტური (კაპიტალისტების კლასის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა. რომელიც მიისწრაფვის კლასობრივი წესწყობილების დანგრევისა და სოციალისტური მთავრობის ორგანიზაციისაკენ) და დემოკრატიული (აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა. რომელიც სცდილობს. რომ რუსეთისთვის პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვოს და რუსეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესწყობილების დემოკრატიზაცია მოახდინოს). რუსის სოციალ-დემოკრატებს დიდძალი საქმე აქვთ გასაკეთებელი გამოფხიზლებული პროლეტარიატის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა. მუშათა მოძრაობის ორგანიზაციისა რევოლიუციონურ ჯგუფების და მათი ურთიერთობის განმტკიცებისა. მუშებისათვის საპროპაგანდო და სააგიტაციო ლიტერატურის მიწოდებისა. მთელ რუსეთში გაფანტულ მუშათა წრეებისა და სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფების მთლიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიათ გაერთიანების მხრივ". (იხ. მისი: Задачи русских социал-демократов).

ხოლო უფრო ადრე 24 წლის ლენინი თავის პირველ სერიოზულ შრომაში შემდეგს ამბობდა:

„როდესაც მისი (მუშათა კლასის) მოწინავე წარმომადგენელნი შეითვისებენ მეცნიერულად სოციალიზმის იდეას, იდეას რუსეთის მუშების ისტორიული როლის შესახებ. როდესაც ეს იდეები ფართოდ გავრცელდებიან და მუშათა შორის შეიქმნება მტკიცე ორგანიზაციები. რომელნიც ახლანდელ მუშათა დაქსაქსულ ეკონომიურ ბრძოლას შეგნებულ კლასიურ ბრძოლად გარდაქმნიან. **მაშინ რუსეთის მუშა, ჩაუდგება რა სათავეში ყოველ დემოკრატიულ ელემენტებს, დასცემს აბსოლიუტიზმს და წაიყვანს რუს პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად) აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით გამარჯვების მომგვრელ კომუნისტურ რევოლიუციისაკენ**". [17]).

ეს ციტატები ნათელ-ყოფენ მათ ავტორთა სოციალურ შეხედულებას: ლენინი ორივე ფეხებით პროლეტარიატის ნიადაგზე სდგას და კლასთა ბრძოლის საზომით სკვრეტს მოვლენას. ნ. ჟორდანია მთლიანად აღებულ „მოქალაქის" ნიადაგს ეყრდნობა; პირველი პროლეტარიატის ჰეგემონიას მოითხოვს სხვა დემოკრატიულ მასაზე, მეორე — პროლეტარიატის გათქვეფას მოქალაქის ჭრელ მასაში; პირველი პროლეტარული პარტიის შექმნას მოითხოვს, მეორე — ფართო დემოკრატიული მასების დარაზმვას. პირველი არჩევს პროლეტარიატის შორეულ (სოციალიზმი) და ახლობელ (დემოკრატიული) ამოცანებს და პროლეტარიატის შესაფერის პროგრამას აყენებს ორივე მომენტისათვის; მეორე — დემოკრატიული ლოზუნგით კმაყოფილდება. ერთი სიტყვით, პირველი პროლეტარული — მარქსისტული საზომით იხილავს ამოცანას, მეორე — ფართო დემოკრატიის თვალთახედვით; პირველი პროლეტარიატის იდეოლოგია, მეორე — კი წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის.

---

[17]) Ленин: Соч. соч. ტ. I.

ამ წერილ-ბურჟუაზიის დემოკრატიის თვალსაზრისზე სდგას ნ. ჟორდანია სხვა კითხვების განხილვის დროსაც. *).

ავიღოთ მაგალითად **ეროვნული საკითხი:**

ეროვნული საკითხი ჩვენში განსაკუთრებით წამოიჭრა მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებიდან, როდესაც ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ჰორიზონტზე ფეხი შესდგა ახალმა პოლიტიკურმა მიმდინარეობამ ქართული ლიბერალიზმის სახით, ეს იყო მიმდინარეობა ნახევრად თავად-აზნაურული და ნახევრად ბურჟუაზიული; უკეთ. ქართული ლიბერალიზმის დოქტრინა ავსებული იყო თავადაზნაურული მემარცხენეობისა და ბურჟუაზიული აზროვნების პროგრესიული შინაარსით. ლიბერალიზმმა ცხოვრების ზეგავლენით ახალ ნიადაგზე წამოაყენა საქართველოს ეროვნული საკითხი. ეს საკითხი ცენტრალურ პრობლემად გადაიქცა მე-19-ე საუკუნის ჩვენი მოაზროვნე თაობისათვის: მან დაღრღნა ჩვენი პოეზია, დატვირთა მძიმე მოვალეობით ჩვენი პუბლიცისტიკა. შებორკა ჩვენი აზროვნება, დააქლექიანა ჩვენი ინტელიგენცია.

ასეთს ატმოსფერაში ამოძრავდა ჩვენი წვრილი ბურჟუაზია და გამოვიდა სამოღვაწეოდ. შეეძლო მას არ განეცადა „ეროვნული ჰიპნოზის" ზეგავლენა? რასკვირველია, არ შეეძლი. ჩვენ უკვე ვიცით ნ. ჟორდანიას პირველი ნაციონალ-დემოკრატ. პროექტი. ამ პროექტის უარყოფის შემდეგ დაიწერა 1892 წელს, ხოლო შემდეგ შესწორებული და შევსებული დაიბეჭდა 1894 წ., მისივე პირველი სერიოზული შრომა: „ეკონომიური წარმატება და ეროვნება." ეს წერილი გაჟღენთილი არის ნაციონალი-

---

*) აღსანიშნავი არის ის ფაქტი, რომ ქართველი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას ნ. ჟორდანია ხსნის თაობათა ბრძოლის მიხედვით, მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩა მარქსისტული სოციოლოგია, რომელიც ყოველგვარ აზროვნებისა და პარტიულ მიმდინარეობათა საფუძველს სოციალური ცხოვრების სიღრმეში ეძებს. ნ. ჟორდანია, როგორც ისტორიკოსი — მკვლევარი არ გასცილებია იმ მეთოდს. რომელიც გ. წერეთელმა და ს. მესხმა წამოაყენეს 70-იან წლებში.

სტერი კონცეპციებით. რომ ჩვენი წერილი არ დაიტვირთოს ზედმეტი ციტატებით ჩვენ შევეცდებით მხოლოდ რამოდენიმე დამახასიათებელი ადგილი მოვიყვანოთ ნ. ჟორდანიას. პირველი პერიოდის მოღვაწეობიდან. ზემოდ დასახელებულ წერილში ის სწერდა:

„ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის თავს ერთ ერად, ჭირში და ლხინში განუყრელად. აქვთ წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულად იცავს. მაგ. ფრანგები, არისტოკრატი იყო თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნების საქმეში ყოველთვის სრულ ერთობას იჩენენ აზრებისას, მიჰართულებისა და გულის თქმისას. **თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ დაუღალავად ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთად დგებიან ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისათვის თავსა სდებენ, როცა მათ ეროვნულ თვითარსებობას განსაცდელი რამ მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილდება და ქვეყანას აღგვას უპირებს. ამ შემთხვევაში ილვიძებს დროებით ერთსულობა და ერთი მეორეს დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნების არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით".** (ხაზი ჩვენია) [18]).

მეორე თავის წერილში (1895 წ.) იგივე ნ. ჟორდანია უფრო ნათლად სწერს შემდეგს:

„...იმავე კაპიტალიზმმა დაჰყო ერი ორ ნაწილად: მდიდარი და ღარიბი. მესაკუთრე და ბოგანო, ბურჟუაზია და მუშა, ააღორძინა სოციალური განხეთქილება, დაბადა კლასთა ბრძოლა, გამოიწვია მუშა ხალხი საპოლიტიკო ასპარეზზე და მით გათხარა თავის სამარე. **ამგვარად ეკონომიურ განვითარებას თან მოსდევს ერის ერთობა იმ კით-**

[18]) ნ. ჟორდანია — ტ. I გვ. 13 — 14 1920 წ.

ხვებზე, რომელნიც ეხებიან მთელი ერის პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას, (მხარე ეროვნული) და ერის დაყოფვა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან მის შემადგენელ ნაწილების პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე პოლიტიკო-სოციალური). ერი ერთდება, იმავე დროს იყოფა. სხვადასხვაობა ერთობაში, ერთობა სხვადასხვაობაში. თანხმობა განხეთქილებაში, განხეთქილება თანხმობაში.“ (ხაზი ჩვენია) [19]).

აქ არის წამოყენებული ტიპიურ სოციალ-პატრიოტიზმის და სოციალ-შოვინიზმის კონცეპციის ძირითადი დებულებანი. ვინ არ იცის, რომ მარქს — ენგელსი **კომუნისტურ მანიფესტში** შემდეგ სოციალურ დებულებებს აყენებდენ: **ყველა დღემდე არსებული საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია.** წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი გვასწავლის: საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაც არის და კლასთა შეთანხმების, თანამშრომლობის: ისტორიაში ხდება სხვადასხვაობა ერთობაში და ერთობა სხვადასხვაობაში.

თუ ეროვნული საკითხის წამოყენების ისტორიას განვიხილავთ ჩვენში, დავინახავთ შემდეგს: ლიბერალურ თავად-აზნაურულ მიმდინარეობისათვის არ არსებობდა ჩვენში კლასები, კლასიური წინააღმდეგობა. არსებობდა მხოლოდ ეროვნული ერთიანობა — აქედან ამ მიმდინარეობის წარმომადგენელის **ილ. ჭავჭავაძის** პოლიტიკას შეადგენდა: „ჩვენი დაცემის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველი მოსალოდნელი ფალთერაკისაგან. **სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზე უსაჭიროესი არა აქვს ახლანდელ შვილს. ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს“.** [20]). ამრიგად ი. ჭავჭავაძის პოლიტიკა იყო კლასთა ბრძოლის ხელის წაფარება და ეროვნული მთლიანობის წამოყენება. ხოლო ამ მთლიანობაში უმთავრესად იგულისხმება თავად-აზნაურობის ინტერესები, დაცვა არსებული წყობილებისა და ეკონო-

[19]) ნ. ყორდანია — „რჩეული ნაწერები“ გვ. 79 — 80. 1910 წ.
[20]) ის. „ივერია“ № 5. 1881 წ.

მიური ურთიერთობის. ნაროდნიკული მიმდინარეობაც უარყოფდა კლასების არსებობას ჩვენში. იგიც ეროვნული მთლიანობის პროგრამას აყენებდა, ხოლო მის მატარებლად ინტელიგენცია და გლეხობა მიაჩნდა. ამ მხრივ ნ. ჟორდანიამ ბევრად წინ წასდგა ფეხი. მან ეროვნულ მთლიანობასთან ერთად კლასებიც დაინახა; ეროვნულ მთლიანობის მომენტთან ერთად ეროვნების დამნაწილებელი ფაქტორებიც აღნიშნა. პირველთათვის არსებობდა ეროვნული მთლიანობა და არ არსებობდენ კლასები. ნ. ჟორდანიასათვის არსებობს ერთიცა და მეორეც.

ასეთი არის წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის კონცეპტია ეროვნულ საკითხში. ამგვარი სახით წამოყენება ეროვნულ კითხვისა პროგრესიული იყო ჩვენი ცხოვრების მაშინდელი პირობებისათვის, მაგრამ მარქსიზმის სოციოლოგიურ დებულებებიდან იგი მაინც შორს იდგა.

ამრიგად ნ. ჟორდანიას და მთელი მისი მიმდინარეობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი. ამაში გამოიხატებოდა წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგია. აი, ამ ძირეულ საფუძველზე აეგო და დამთავრებულ სისტემაში ჩამოყალიბდა შემდეგში ქართული მენშევიზმი. ამ იდეოლოგიის არსენალიდან განდევნილი არის მარქსიზმის რევოლიუციონური მხარეები, მისი რევოლიუციონური სისტემა: კლასთა ბრძოლის პრინციპი, პროლეტარიატის დიქტატურა და სხვა, სამაგიეროდ მარქსიზმის ეკონომიური კონცეპცია გამოსადეგი შეიქმნა წვრილ-ბურჟუაზიისათვის და მისი ინტელიგენციისათვს. თავისი ძირითადი დებულებანი: დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი ინტელიგენციამ შეუთანხმა მარქსის ეკონომიურ კონცეპციას. „შეადუღა" ერთს სისტემაში ისინი და გამოახვია იგი მარქსიზმის ქურქში, ასე ნილაბაფარებული გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და მაშინდელ პირობებისათვის ნაყოფიერი ბრძოლა გააჩაღა უკვე დრომოქმულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. მაგრამ ეს ახლად მოვლენილი პროგრესიული მიმდინარეობა ფორმალურად მარქსიზმის ნილაბს ატარებდა. სული კი წვრილ-

ბურჟუაზიული ჰქონდა. ასეთი იყო ამ მიმდინარეობის ნამდვილი სახე.

კრიტიკის მოვალეობაა, ფორმა და შინაარსი, ნიღაბი და სული ერთმანეთისაგან გაარჩიოს და მენშევიკურ მიმდინარეობას თავისი შესაფერისი ადგილი მიაკუთვნოს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში არა მენშევიკების სიტყვიერი განცხადების მიხედვით, არამედ მისი ფაქტიური საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიხედვით სოციალურ ურთიერთობაში.

ზემოდ მოყვანილი ფაქტებიდან მკითხველი ნათლად დაინახავდა, თუ როგორ **სოციალურ საშოდან** წარმოიშვა ჩვენში მენშევიზმი და როგორი იყო მისი **იდეოლოგიური საფუძველი** პირველ ხანებში.

ახლა ზედმეტი არ იქნება განვიხილოთ მენშევიკების მოღვაწეობის პერიოდები მათი პრაქტიკული საქმიანობის მიხედვით.

5. მენშევიკური მოღვაწეობის უმთავრესი პერიოდები.

ჩვეულებრივად ჩვენში პარტიას აფასებენ მისი განცხადებისა და პროგრამის მიხედვით. ეს არ არის სწორი მიდგომა კითხვისადმი. რასაკვირველია, პარტიის დაფასების დროს ხელთ უნდა გვქონდეს მისი პროგრამა და მთავარი დებულებებიც; მაგრამ ეს საკმარისი არ არის საკითხის ნათელსაყოფად. ყოველი პარტია ფასდება თავისი პრაქტიკით, თავისი მოღვაწეობით, პროგრამა უბრალო ქაღალდის ნაგლეჯი არის, თუ იგი ცხოვრებას არ უახლოვდება და აღარ ლამობს ხორცის შესხმას, რეალური სინამდვილედ გადაქცევას. პარტია პრაქტიკაა. პარტიის ცხოვრება უმთავრესად საქმიან მოქმედებაში გამოიხატება. პარტიაც ამ მხრივ უნდა იქნეს შეფასებული; უკეთ, იგი უნდა ფასდებოდეს იმ საზომით, **თუ როგორ როლს თამაშობს ეს თუ ის პარტია საზოგადოებრივ ურთიერთობაში, როგორ მისიას აკისრებს მას ისტორიული ცხოვრების განვითარება და სოციალური პირობები.** მარქსი ამბობდა:

დიუეინ პროგრამას ერთი სწორი. ნამდვილი მოძრაობა სჯობიაო. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სწორ პროგრამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ლენინი ყაი ხანია ამბობდა: „**რევოლიუციონური თეორიის გარეშე შეუძლებელი არის რევოლიუციონური მოძრაობაო**"[21]). სწორი თეორია სწორ პროგრამას იძლევა, ხოლო ამ თეორიის დანიშნულება. ამ პროგრამის მთავარი რევიზორი ცხოვრებაა. პრაქტიკული სინამდვილეა. ამიტომ მართალი იყო ნ. ჟორდანია, როდესაც ის ამბობდა: „**სოციალ-დემოკრატიული პროგრამა რას გიშველის თუ საქმე ბურჟუაზიული გაქვთ**"-ო[22]). მარტო რევოლიუციონური პროგრამა არას გიშველით, თუ მისი პრაქტიკა ამის საწინააღმდეგოა.

როდესაც მენშევიზმის შესახებ გვიხდება სჯა-ბაასი, არ უნდა გავიწყდებოდეს შემდეგი გარემოება: წვრილი ბურჟუაზია თავისი ეკონომიური მდგომარეობით და სოციალური პირობებით მერყეევია და ოპორტიუნისტი. იგი განსაზღვრულ პეიოიდში გარკვეულ ისტორიულ პირობების ზეგავლენით სხვა-და-სხვა სოციალურ კლასებს შორის ქანაობს. ირყევა სოციალურ რადიკალიზმსა და სოციალურ ოპორტიუნიზმის შორის. განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში მისი მოღვაწეობა პოლიტიკური ოპორტუნიზმით ხასიათდება, მეორე პერიოდი კი პოლიტიკური რადიკალიზმითა და ფრაზების რევოლიუციონიზმით. ასეთ პირობებში წვრილ-ბურჟუაზიის შესასწავლად აუცილებელი არის ორი ფაქტის ცოდნა: წვრილი ბურჟუაზიის სოციალური ბუნების (ოპორტუნიზმის) და გარკვეულ ობიექტიურ პირობების. ამ უკანასკნელი გარემოების გაცნობა საშუალებას იძლევა იმის გასაგებად, თუ რატომ გაიზიარა წვრილმა ბურჟუაზიამ ესა თუ ის პოლიტიკური ორიენტაცია.

---

[21]) Ленин — ტ. 5, გვ. 135.

[22]) ნ. ჟორდანია — „დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია" გვ. 15.

მენშევიზმი, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებზე **ალმოცენებული და მათი იდეოლოგიის მატარებელი პარ-** **ტია, დასნეულებული არის წვრილ-ბურჟუაზიის ოპორ-** **ტუნიზმისა და მერყეობის სენით:** თავის მოღვაწეობის პე-
რიოდში, იგი ქანაობს, ირყევა პოლიტიკური პოზიციებს
შორის; ხან მარჯვნით სდგას და ლიკვიდატორობს, ხან
მარცხნით და რევოლიუციონურად ფრაზიორობს. ყველა
ამ **პოლიტიკური ექსკურსიების** დროს იგი ერთგული რჩება
თავის ბუნების, თავის წვრილ-ბურჟუაზიულ განწყობილე-
ბის.

1905 წ. ნ. ჟორდანია ამბობდა:

„ინტელიგენცია არის არა მარტო წვრილი ბურჟუა-
ზია, როგორც სხვა მისი მოძმენი. არამედ განათლებული
წვრილი ბურჟუაზია. მისი ცხოვრების იარაღი — განათ-
ლება. სწავლა. ცოდნაა. ამიტომ სადაც კი შედის — შედის
არა როგორც ჯარის კაცი. არამედ როგორც სარდალი.
აქედან მისი დამახასიათებელი თვისებაა: მდგომარეობა
ბურჟუაზიული, ხოლო ფსიქოლიგია. სულიერი განწყობი-
ლება ღენერალური, ე. ი. მიილტვის რამენაირად „ჯარის"
მეთაური გახდეს. ორივე ამ ძირითად კლასიურ თვისებას
ის ხანდახან ჩრდილავს მესამე თვისებით — იდეურათ
სხვა კლასის. პროლეტარიატის მიკედლებით. მაგრამ რად-
განაც მდგომარეობა ჰქმნის იდეას. ამიტომ მისი პრო-
ლეტარული იდეა მუდმივ რყევაშია და დაუდგრომლო-
ბას განიცდის. მას თავისი მდგომარეობა მუდამ მის შეუმ-
ჩნევლად უკან ეწიწება თავის კლასისაკენ და მის მოღვა-
წეობას პროლეტარულ გზას აშორებს. აქედან წარმოსდ-
გება ის, რომ ხშირად ის პროგრამას წმინდა ს.-დემოკრა-
ტიულს იღებს. ორგანიზაციასა და პრაქტიკას კი წვრილ
ბურჟუაზიულს აღიარებს. მის სიტყვა და საქმე ერთმანეთს
არ ეთანხმება. მაშასადამე ინტელიგენციის სოციალ-დე-
მოკრატიაში მრავლად შეძოსვლა ნიშნავს ყველა ამ თვი-
სებების შემოტანას და ასე პარტიისათვის ახალი განსაც-
დელის დაგებას" [23]).

---

[23]) ნ. ჟორდანია — იგივე გვ. 21 — 22.

მკითხველს ნუ გაუკვირდება: ამას სწერდა ნ. ჟორდანია 1905 წელს ბოლშევიკებისა და ლენინელთა დასახასიათებლად. რასაკვირველია. ნიჭიერმა პუბლიცისტმა აქ მოხდენილად **თავისი პარტიისა და მისი ლიდერების ავტოპორტრეტი დახატა.** ამას უფრო ნათლად ქვევით დავინახავთ. ახლა გადავიდეთ დასმულ კითხვაზე.

ქვემოდ აღნიშნულ პერიოდების განსაზღვრის დროს ჩვენ ვისარგებლეთ თვით ნ. ჟორდანიას დებულებებით [24]), ხოლო პირველი პერიოდის განსაზღვრაში ჩვენ შევიტანეთ მცირედი ცვლილება.

პირველი პერიოდი. ეს პერიოდი განისაზღვრება 1892 — 1901 წლებით (ჟორდანიას განმარტებით 1893-7 წლებით). ამ პერიოდს ახასიათებს საზოგადოებრივი ძალების ამოძრავება: მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები, წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის აქტივობა. იდეოლოგიურად ჩვენი ცხოვრების ფონს ბატონობს **თავად-აზნაურული ლიბერალიზმი,** იღია ჭავჭავაძის მეთაურობით, ხოლო გამოცოცხლება ეტყობა ნაროდნიკულ მიმდინარეობას (ლალი, ვ. წ. ალ. ნ-ლი, ი. ფანცხავა). ეკონომიურად ჩვენი ცხოვრება უკვე განიცდის კაპიტალისტურ ურთიერთობის მშობიარობის მძიმე ტკივილებს. ამ პერიოდში ისახება ჩვენში სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა, მარქსიზმი; მაგრამ ამ ორგანიზაციაში თავს იყრიან როგორც რევოლიუციონური პროლეტარიატის წარმომადგენელნი, ისე წვრილ ბურჟუაზიის იდეოლოგები. **ეს არის, ასე ვთქვათ, წვრილი ბურჟუაზიის პირველი შეუღლება ერთ ორგანიზაციის ქვეშ პროლეტარიატთან.** რა იწვევს ამ შეუღლებას? ერთი საერთო სოციალური მდგომარეობა: ორივეს სტანჯავს კაპიტალიზმის განუვითარებლობა და პოლიტიკური უუფლებობა. ამ ნიადაგზე მათ ბოროძოლა უხდებათ მოწინააღმდეგე მიმართულებასთან და თვითმპყრობელობასთან. რას იცავს და როგორ ახალ დებულებას აყენებს ეს ჩვენი ცხოვრების ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა. ნ. ჟორ-

---

[24]) ნ. ჟორდანია ტ. I გვ. 2 — 4, 1920 წ.

დაბეჭდა 1920 წელს სწერდა: „ამ 25 წლის წინად **ჩვენი საზოგადოების ყურადღებას იქცევდა ერთი კითხვა — არსებობს ჩვენში კაპიტალიზმი თუ არა.** სოციალ-დემოკრატების პირველი ნაბიჯი მწერლობაში გამოიხატება ამ კითხვის დადებითად გადაჭრაში, რამაც გამოიწვია დიდი დავა ყველა სხვა ჯგუფებთან და პარტიებთან" [24]).

უნდა აღინიშნოს, რომ აქ მხოლოდ ერთი მომენტი არის აღნიშნული; ის მომენტი, რომლითაც დაინტერესებული იყო აგრეთვე ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. მაგრამ კაპიტალიზმის არსებობის კითხვასთან ღრმად იყო დაკავშირებული მეორე კითხვაც.—**პროლეტარიატის წარმოშობის და მისი როლის საკითხი.** ეს საკითხი, **როგორც აქტუალური პრობლემა** ნ. ჟორდანიასათვის არ არსებობდა და ამიტომ მას ეს არ შეუტანია თავის მოღვაწეობის აქტივში. სამაგიეროდ ამ საკითხის წამოყენება, სათანადოთ გაშუქება და პროლეტარიატის კლასიური თვით-შემეცნების განვითარება წილად ხვდათ მარქსიზმის პიონერებს, რომელნიც იმავე ორგანიზაციაში მოღვაწეობდენ, მაგრამ წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისზე კი არ იდგენ, არამედ პროლეტარულ ნიადაგზე (ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია და სხვა). როგორც ზევით დავინახეთ ნ. ჟორდანია ამ პერიოდში აყენებს **არა პროლეტარიატის დარაზმვის პლატფორმას, არამედ ფართო დემოკრატიის ორგანიზაციას** [25]). დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი მისი პლატფორმის მთავარ ფუძეებს წარმოადგენენ. მან უკუ აგდო მარქსიზმის რევოლიუციონური მხარეები (კლასთა ბრძოლის პრინციპი, პროლეტარიატის დიქტატურა და სხ.). სამაგიეროდ შეითვისა მისი ეკონომიური მოძღვრება. ამ თვალთახედვით მან საკმაო დასაბუთებით დაამტკიცა კაპიტალიზმის აუცილებლობა ჩვენში. წვრილმა ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ პროლეტარიატის ხელმძღვანელებთან ერთად, გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ძველ პოლიტიკურ მიმდინა-

---

[24]) იგივე გვ. 2.

[25]) იხ. „ქართული პრესა" 1900 წ. და რჩეული ნაწერები გვ. 460 — 61.

რეობას. ამ პერიოდისათვის პროგრესიული წვრილი ბურ-ჟუაზიის გამოსვლა პოლიტიკურ ფრონტზე უაღრესად პრო-გრესიული მოვლენა იყო ჩვენში საზოგადოებრივი სინამდ-ვილისათვის: ამიტომ მოხდა ასეთი მტკივნეული შეუღ-ლება პროლეტარიატისა და მისი ხელმძღვანელების წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებთან და მათ ხელმძღვანელებ-თან ერთ პოლიტიკურ ქერ ქვეშ. მათ ავიწროვებდა ერთი საერთო მტერი — ბიუროკრატიული სახელმწიფო, სტან-ჯავდათ თითქმის ერთნაირი სოციალური ყოფა, პატრიარ-ქალური სივიწროვე და იდეურად ორივეს ებრძოდა ერთი და იგივე მტერი — თავად-აზნაურული ლიბერალიზმი და რეაქციონური ინტელიგენცია.

მეორე პერიოდი. ეს პერიოდი იწყება 1901 — 2 წლი-დან და თავდება პირველი რევოლიუციით — 1905 წ. (ნ. ჟორდანიას დებულებით — 1898 — 1905 წლებით.). ეს პერიოდი ხასიათდება ჩვენი ცხოვრების ღრმა რევოლიუ-ციონური კრიზისით. მე-20-ე საუკუნის დასაწყისი და მის ფონზედ ამოვარდნილი პოლიტიკური და სოციალუ-რი ხასიათის ფაქტორები გარკვევით მიუთითებენ, თუ საით მიექანება საზოგადოებრივი მოძრაობა. როგორც რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიაში, ცხოვრების კალაპოტი შეირყა და საზოგადოებრივი ძალები ამოძრავდენ. საზო-გადოებრივი ცხოვრება დიდი რევოლიუციონური მოძ-რაობის მშობიერების პროცესში იმყოფებოდა. რევოლიუ-ციონური მდგომარეობა ნათლად ისახებოდა. „...მეცხრამე-ტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ამიერ-კავკასიაში მუშების მოძრაობაში ხდება **ძირითადი გარდატეხა**..... ამგვარად, როგორც ტფილისის, ისე საერ-თოდ მთელი ამიერ-კავკასიის ჟანდარმერიისათვის მუშა-თა მოძრაობა სრულიად უეცრად წამოიჭრა და მთავრობა ფაქტის წინაშე დარჩა დაყენებული... მოძრაობა ფართოვ-დებოდა და ღრმავდებოდა ელვის სისწრაფით, ერთი ქარხ-ნიდან მეორე ქარხანაში, ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქ-ში, ქალაქიდან სოფელში“ [20]).

---

[20]) ფ. მახარაძე: „1925 წელი ამიერ-სავკასიაში“ გვ. 62, 79. 80.

გამოფხიზლება დაეტყო გლეხობასაც. განსაკუთრებით გურიის გლეხობას.

„1902 წელი უაღრესი მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის მუშებისათვის. მან მრავალ ადგილას დაარღვია ძველი სამარისებური მყუდროება. დღემდე მშვიდი და მოკრძალე მცხოვრებნი გადაიქცენ სიმართლის, თავისუფლების და სახელის დაუცხრომელ, გაბედულ შეურიგებელ მებძოლად" [27]).

ასეთი იყო საერთო რევოლიუციონური განწყობილება ამიერ-კავკასიის გლეხებსა და მუშებში 1905 წლის წინა ხანებში. ეს რევოლიუციონური დუღილი აშკარა და გარკვეულ სახალხო აჯანყებამდე უნდა მისულიყო. ეს ჩვენ მივიღეთ 1905 წელში. ამ წლის საერთო სურათს მოგვცემს ერთი კორესპონდეცია, რომელიც მოთავსებული არის სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანო — „საქართველო"-ში, რომელიც პარიზში გამოდიოდა. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„გურიის მდგომარეობა ამნაირია: მემამულენი გარბიან, სტოვებენ თავიანთ სახლ-კარს, მათი გაქცევა იმით აიხსნება, რომ გლეხები ემუქრებიან და მამულების ექსპროპრიაციის სურვილს აცხადებენ. ხალხი მთავრობის სამსახურში აღარ დადის და ბევრმა ხალხის შიშით საჩივრებზე ხელი აიღო. ოზურგეთის მსაჯულს გამოეცხადებინა, არავითარი საქმე არა მაქვს, ხალხი ჩემთან აღარ დადისო. ყველა საქმეებს თურმე ხალხის მიერ ამორჩეული სამსჯავრო სწყვეტს...." [28]).

ამ ფაქტებთან ერთად უნდა აღინიშნოს კიდევ შემდეგი გარემოებაც: ძველი ლიბერალურ თავად-აზნაურული მიმდინარეობა და ნაროდნიკული პარტია დამარცხდა ბრძოლაში ჯერ კიდევ მე-19-ე საუკ. მიწურულებშივე. პოლიტიკური ჰეგემონიის საქმე ჩაუვარდათ ჩვენში სოციალ-დემოკრატებს. ფაქტიურად დემოკრატიისა და პრო-

---

[27]) იხ. Мхеидзе и Каландадзе: „Очерк революционного движения в Гурии" 1906 წ.

[28]) იხ. „საქართველო" № 22, 1905 წ. პარიზი.

ლეტარიატის შეერთებულმა ძალამ დაამარცხა ძველი თაობა. ეს იყო ფართე დემოკრატიის იდეური და ფაქტიური გამარჯვება, მაგრამ ამ გარემოებას აუცილებლად უნდა გამოეწვია თვით გამარჯვებულთა ოჯახში — დემოკრატიული და პროლეტარულ ელემენტებს შორის — შეხლა-შემოხლა მოძრაობის **პოლიტიკური ხელმძღვანელობის** გარშემო. სოციალ-დემოკრატიულ ოჯახში შეხიზნულ წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიას და მის ინტელიგენციას არ შეეძლო არ გამოეჩინა თავისი არსებითი ბუნება.

რაში გამოიხატება მისი არსებითი ბუნება აღნიშნულ პერიოდში? ამ წვრილ ბურჟუაზიის ბუნება გამოიხატა **სიტყვიერ რევოლიუციონიზმსა და პრაქტიკულ ოპორტუნიზმში,** ე. ი. სიტყვით რევოლიუციონური რადიკალიზმის პოზიცია დაიჭირეს, ფაქტიურად კი მისი ტაქტიკა პროლეტარიატს ლიბერალური ბურჟუაზიის მაჩანჩალად უპირებდა გადაქცევას; სიტყვით რევოლიუციონური, საქმით ოპორტუნისტი, — ასეთი იყო მენშევიზმი აღნიშნულ პერიოდში. ამ პერიოდში მენშევიზმმა ობიექტიური რევოლიუციონური პირობების ზეგავლენით, შეითვისა რევოლიუციონური ფრაზეოლოგია, მარქსისტული თერმინოლოგია — და მარქსიზმის ეკონომიურ კონცეპციასთან ერთად პროლეტარული საზომის შეთვისებაც მოინდომა. ან თვით ნ. ჟორდანიას სიტყვით, რომ გამოვსთქვათ: **პროგრამა წმინდა სოციალ-დემოკრატიული მიიღო, ხოლო ორგანიზაცია და ტაქტიკა კი წვრილ-ბურჟუაზიული.** ამ ტაქტიკურმა ორგანიზაციულმა საკითხებმა გახეთქა საქართველოს სოც.-დემოკრატია ორ მიმდინარეობად. აქედან მენშევიზმი ცდილობდა წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გაბატონებას პარტიაში. ხოლო ბოლშევიზმი პროლეტარულ მსოფლ მხედველობის განმტკიცებას. ეს ბრძოლა იყო წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციისა პროლეტარული პარტიისა და პროლეტარიატის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ამბ. **მახარაძე** თავის ნარკვევში სწერს:

„მენშევიკები უარყოფდენ იმას, რომ პროლეტარიატი გამხდარიყო რუსეთის რევოლიუციის ხელმძღვანელად.

მათი აზრით ეს როლი პროლეტარიატს ლიბერალური ბურჟუაზიისათვის უნდა დაეთმო. თავისთავად იგულისხმება, რომ ის, რაც ახასიათებდა მენშევიზმს რუსეთში — სავსებით გადმოლებულ იქმნა ჩვენშიაც. რევოლიუციის მოსაწყობად წინდაწინ გეგმის შედგენის უარყოფა შეიარაღებულ აჯანყების და ამისათვის მზადების უარყოფა, პროლეტარიატის მოთხოვნის შეკვეცა, რათა ლიბერალური ბურჟუაზია არ დამფრთხალიყო. შეთანხმება ლიბერალებთან, ქალაქის თვითმართველობასთან და სხვა-და-სხვა, ყველა ეს სათნოებანი გადმოტანილ იქნა ჩვენშიაც" [21]).

ასეთი იყო მენშევიზმის ტაქტიკა 1905 წელში; არსებითად ეს ტაქტიკა მიმართული იყო რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ და რევოლიუციის დამარცხებას უწყობდა ხელს. როგორი იყო მათი სიტყვა, მათი ასე ვსთქვათ სიტყვიერი პროგრამა?

ყური ვათხოვოთ ისევ **ნ. ჟორდანიას.** 1905 წელში იგი სწერდა:

„სოციალისტ-რევოლიუციონერი, პროგრესისტი, ავტონომისტი, ფედერალისტი, რადიკალი — აი ვის ამხანაგობას გვირჩევს „პერიოდი" (ბოლშევიკური ორგანო), აი ვისთან ერთად უნდა შევადგინოთ „დემოკრატიული დიქტატურა". სოციალ-დემოკრატი მინისტრი. ეს ნიშნავს სოციალ-დემოკრატ გუბერნატორს, სოციალ-დემოკრატ პოლიციელს, სოციალ-დემოკრატ ჟანდარმს, ერთი სიტყვით სოციალ-დემოკრატ ბიუროკრატს. თუ კი უმრავლესობამ მინისტრის პორტფელი ხელთ იგდო. მაგ. შინაგან საქმეთა მინისტრის რადგან ამას ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. უეჭველია ის თავის ამხანაგთ განაწესებს ყველა საპოლიციო თანამდებობაზე და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი გუშინდელი ამხანაგები ახალ ბატონებად მოგვევლინებიან, როგორც ეს 1848 წ. საფრანგეთში გამინისტრებული ლუი ბლანი და როლენი მუშებს მოევლინათ. და თუ მუშები არ დაკმაყოფილდენ დემოკრატიული რეფორმებით და მოინდომეს ბურჟუაზიული ბატონობის დანგრევაც,

---

[21]) იხ. ფ. მახარაძე „1905 წ. ამიერ-კავკასიაში" გვ. 122.

დროებითი მთავრობა „უმრავლესობის“ დახმარებით, მუშებს ჩააჩუმებს ან ნებით ან ძალით. როგორც ეს იმავე საფრანგეთში იყო“ [30]).

ცოტა ქვევით ავტორი სწერს: — „ჩვენი საჭირბოროტო კითხვაა არა პარტიის კარის გაღება, ის უკვე საკმაოდ ღიაა, არამედ პარტიის გამრავლება, სოციალისტური შეგნების გაფართოება. **ჩვენი პროგრამა მაქსიმუმის წინ წამოუენება და ასე პროლეტარიატის პარტიის წმინდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გადაქცევა“.** [31]).

ასე „მარცხნიდან“ აკრიტიკებდა ნ. ჟორდანია ბოლშევიკების პროლეტარიატსა და გლეხობის დიქტატურის პლატფორმას. არსებითად კი მან თავისი წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება გვიჩვენა. შეადარეთ ნ. ჟორდანიას 1905 წლის სიტყვიერი პლატფორმა მის მიერ 1893 — 1901 წლებში წამოყენებულ პროგრამას და 1917 — 1921 წლების მის საქმიანობას და თქვენ დაინახავთ სრულ კონტრასტს მათ შორის. ნ. ჟორდანიამ არა მარტო პოლიტიკური კავშირი დაიჭირა ს. ფედერალისტებთან, ესერებთან, ნაციონალ-დემოკრატებთან, არამედ პრემიერობის პოსტიც მიიღო 3 — 4 წლის განმავლობაში: დღეს, როდესაც ნ. ჟორდანიას პოლიტიკური სიშალარე შემოეპარა, პირზე ღიმილით წაიკითხავს ალბად თავის მემარცხენეობის ვარჯიშობას.

ამრიგად რევოლიუციონური ენტუზიაზმის პერიოდში წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგიამ საკმაოდ შეითვისა რევოლიუციონური ფრაზა, რევოლიუციონური პოზა; მოქმედებით კი მაინც ბურჟუაზიული დარჩა.

მაგრამ არა მარტო მენშევიკები ამეტყველდენ მემარცხენეობის ენით 1905 წელში; საილუსტრაციოდ გავიხსენოთ შემდეგი ფაქტები 1905—6 წლის ისტორიიდან: სოციალ-ფედერალისტთა პარტია გაიყო ორ ფრაქციად და არ. ჯორჯაძის მეთაურობით ჩამოყალიბდა ანარქო-

---

[30]) ნ. ჟორდანია — „დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია“ გვ. 25.

[31]) იქვე გვ. 34 — 35.

სინდიკალისტური მიმდინარეობა [32]). (1905 — 7 წ.) განვითარდა წმინდა **ანარქისტული მიმდინარეობა** (ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი, გ. გორდეზიანი, შ. გოგელია), თავი იჩინა **მაქსიმალისტურმა** პარტიამაც, (რამდენადაც ვიცით ამ უკანასკნელს არავითარი ლიტერატურული მემკვიდრეობა არ დაუტოვებია). დამოუკიდებლად მოღვაწეობდენ ს.-რევოლიუციონერებიც. პატარა საქართველო და ამდენი მაქსიმალისტური პარტიები! მაგრამ ეს აიხსნება წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის მერყეობით, ფრაზებით, გატაცებით რევოლიუცია დამარცხდა, მაქსიმალიზმიც ალმოიფხვრა საქართველოს სინამდვილიდან (არჩ. ჯორჯაძე 1908 წლიდან დაუბრუნდა თავის ძველ პოზიციებს). ნ. ჟორდანია ამ საერთო გატაცების ფერხულში მოხვდა: ხოლო მისი ნამდვილი ფიზიონომია 1905 წელში იყო: სიტყვით რევოლიუციონიზმი, საქმით — ოპორტუნიზმი. მისი სიტყვა და საქმე ერთი მეორეს იყო დაცილებული.

მესამე პერიოდი 1906 — 14 წლებით განისაზღვრება. ეს არის რეაქციის ბატონობის ხანა. ჩვენი ინტელიგენცია კულტურული და ყოველდღიური საქმიანობით გაერთო პროლეტარიატი დარჩა განმარტოებული. მენშევიზმი რევოლიუციის ამკარა ლიკვიდაციის გზას დაადგა, ისიც ინტელიგენციის გზას გაჰყვა: რევოლიუციონური თვისება გაქრა და სამაგიეროდ წვრილი საქმეები აღიმართა მის წინაშე, ამ პერიოდში მენშევიკურ პოლიტიკას ახასიათებს დაუსრულებელი მერყეობა, გაურკვევლობა და გზაარეულობა ეროვნულ საკითხში. მენშევიზმის გავლენა წვრილ-ბურჟუაზიის მასაზე არამც თუ მცირდება, არამედ თანდათანობით ძლიერდება.[33]).

---

[32]) იხ. არჩ. ჯორჯაძე — „ძველი და ახალი" (1906 წ.) და „სოციალ-ფედერალიზმი საქართველოში" (1907 წ.).

[33]) ნ. ჟორდანიამ 1906 წელს სახ. თათბირში არჩევის დროს ტფილისში მიიღო 8078 ხმა. ლ. მარტოვი თავის ისტორიაში აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატია გაბატონებული იყო გლეხობისა და წვრილ-ბურჟუაზიულ წრეებში (იხ. „Общественное движение в России в начале XX века", ტ. III მარტოვის წერი-

მეოთხე პერიოდი, მსოფლიო ომის ხანას წარმოადგენს (1914 — 17 წლები). ეს არის სოც.-დემოკრატიულ რიგებში სოციალ-შოვინიზმის გამეფების პერიოდი. წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია ჩვენში ნაციონალიზმის ცი-ებ-ცხელებამ შეიპყრო. მან ვერც თავი გაუგო ომს, ვერც ბოლო: მისთვის გაუგებარი დარჩა ძირითადი ეკონომიური მიზეზები და მისი მიზნები. ამ გაურკვევლობაში ინტელი-გენცია დაიბნა, გზა აერია, ერთი ნაწილი ჩვენი ინტელიგენ-ციისა რაღაც „აჯანყების" მზგავს გეგმას თხზავდა ცარიზ-მის წინააღმდეგ იმ პირობებში. თუ ამ.-კავკასიაში ოსმალე-თი შემოვიდოდა (ესენი იყვნენ, ასე ვთქვათ, ოსმალეთ — გერმანიის ორიენტაციის მიმდევარნი). ხოლო მეორე ნაწი-ლი ქება-დიდებას უძღვნიდა რუსეთის სახელოვან არმიას. არევ-დარევა მოხდა ქართველ მენშევიკების ბანაკშიაც: ნ. ჟორდანიამ გარკვევით გაიზიარა პლეხანოვის ომის პლატფორმა. (იხ. მისი წერილები „ომი და ზავი"), ე. ი. რუსული სოციალ-შოვინისტური პროგრამა, ხოლო მეორე ნაწილი (ს. დევდარიანი. კ. ჩხეიძე და სხ.) არ იზიარებდა ნ. ჟორდანიას პოზიციას, მაგრამ ვერც პროლეტარიატის პლატფორმაზე (ლენინის პლატფორმაზე) ახერხებდა გა-დასვლას. მას არც შამფური სურდა დაეწვა და არც წვა-დი. არსებითად ერთიც დასწვა და მეორეც.

მეხუთე პერიოდი (1917 — 21 წლები). ამ პერიოდში მენშევიზმი მოექცა სახელმწიფოს სათავეში. იგი გაბატო-ნებული პარტიაა. რას ემსახურება ამ პერიოდში მენშევიზ-მი. როგორი არის მისი სამოღვაწეო პროგრამა? თავისი თხუზულების წინასიტყვაობაში ნ. ჟორდანია სწერს: „ვინც პირველ ტომის პირველ საპროგრამო წერილს (1894 წ.) შეაფარდებს უკანასკნელ ტომს (ე. ი. 1917 — 20 წლების ნაწერს), ის **აშკარად დაინახავს მათ შორის მჭიდრო კავ-შირს, დაინახავს 27 წლის წინეთ დაწერილ გეგმის დღეს**

ლი: „Социал-демократя в 1905-7 г.г.") ეს ელემენტები შეადგენ-დენ მენშევიკების დასაყრდენ ძალას და მათი საშუალებით ამარცხებ-დენ ისინი ბოლშევიკებს, როგორც პარტიის შიგნით. ისე გარედაც.

გამოცოცხლებას" [34]). ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ პრინციპებზე იყო აგებული ეს პირველი საპროგრამო წერილი: მის საფუძვლებს შეადგენდა დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი. ეს პროგრამა პროგრესიული და სასარგებლო იყო 90-იან წლების ჩვენი სინამდვილისათვის, ხოლო გამოუსადეგარი დიდი რევოლიუციის პერიოდისათვის. ამიტომ მოხდა ის, რასაც მენშევიზმი არ მოელოდა: **მათი სამოღვაწეო პლატფორმა და სავალი გზა აშკარა კონტრ-რევოლიუციონური შინაარსით აივსო** (ს. დევდარიანის სიტყვებია). ცხოვრების მოთხოვნილება და მენშევიკების სამოღვაწეო გეგმები ერთი მეორეს დაშორდენ, ცხოვრება წინ წავიდა, მისი სოციალური სტრუქტურა და ეკონომიური პირობები შეიცვალა. ახალი მოთხოვნილებები და ახალი მომენტები წარმოიშვენ. მათი გადაწყვეტა და მოწესრიგება. შესაძლებელი იყო მხოლოდ ახალი გზით. ახალი პლატფორმით, მენშევიკებმა ამ ცხოვრებას 27 წლის წინეთ გაკეთებულ სათვალეებით შეხედეს და ახალი მოვლენების ძველ ფორმებში გამოხვევა მოინდომეს. მაგრამ ცხოვრებამ არ მიიღო ეს ფორმები და იგი უკუ აგდო, თავისი გზით იწყო დენა: მენშევიზმი დამარცხდა პოლიტიკურად, გაკოტრდა იდეოლოგიურად: წვრილი ბურჟუაზიული პროგრამა უკვე მიუღებელი შეიქმნა ჩვენი ცხოვრებისათვის და მანაც (ცხოვრებამ) ახალი გზები მოსძებნა.

ეს პერიოდი ხასიათდება მენშევიზმის წვრილი ბურჟუაზიის **ლეგალურ კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობით:** როგორც საშინაო პოლიტიკაში, ისე საგარეო ორიენტაციაში მენშევიკები რევოლიუციის საწინააღმდეგო საქმეებს აკეთებდენ [35]).

მეექვსე პერიოდი. ეს ხანა იწყება 1921 წლიდან. ამ **პერიოდში მენშევიზმი ხასიათდება არალეგალური კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობით,** ამავე პერიოდში (განსაკუთრებით 1923 წლიდან) **იწყება მათი რიგების დაშლის**

---

[34]) ნ. ჟორდანია — ტ. I. გვ. 4.

[35]) ფ. მახარაძე „მენშევიკების დიქტატურა საქართველოში" და მ. ამიას: „Путь грузинской жиронды".

პროცესი: როგორც წვრილი ბურჟუაზია, ისე პროლეტარული ელემენტები სტოვებენ მათ ორგანიზაციას და საბჭოთა პლატფორმაზე გადმოდიან. ერთ დროს ძლიერი პარტია, დღეს ერთობ ვიწრო კონტიგენტის არმიას განაგებს. ამ პერიოდში იწყება მენშევიკების იდეოლოგიის ალმოფხვრა წვრილ-ბურჟუაზიულ მასებში. არა მარტო მენშევიკების მთავრობა განიდევნა საქართველოდან, არამედ მენშევიკების იდეოლოგიაც იდევნება ჩვენი ქვეყნიდან. პროლეტარულმა პარტიამ მენშევიზმი დაამარცხა პოლიტიკურ ბრძოლაში: დღეს მის უმთავრეს ამოცანას შეადგენს მენშევიზმი იდეოლოგიურად დაამარცხოს — ფართო დემოკრატიული მასის თვალში. ეს ჩვენ ნაწილობრივ შევძელით, დანარჩენი ნაწილი კი თავის განხორციელებას მოითხოვს.

6. დასკვნისათვის.

, მარქსიზმი გვასწავლის: ყოველი მოვლენა ისტორიულ ფარგლებში უნდა იქნეს ჩაყენებული. ყოველი საზოგადოებრივი ფაქტი ისტორიულ-კონკრეტულ საზომით უნდა იქნას განხილული. თუ ამ საზომით მიუდგებით მენშევიკურ, ე. ი. წვრილ-ბურჟუაზიულ მოძრაობას ჩვენში, მაშინ უნდა აღინიშნოს ორი დიდი ხანა მათ მოღვაწეობაში: 1917 წლის რევოლიუციამდე და ამ რევოლიუციის შემდეგ. პირველ ხანაში წვრილ-ბურჟუაზიული მოძრაობა ჩვენში პროგრესიული და ჩვენი ცხოვრების წინ წამწევი ფაქტორი იყო. რა-კი ჩვენი სამოქალაქო ცხოვრება მე-19-ე საუკუნის სამოციან წლებამდე ვერ განვითარდა საკმაოდ, ხოლო შემდეგში ბურჟუაზიული კლასი შესაფერისად ვერ ჩამოყალიბდა, ამიტომ ჩვენი ცხოვრების თავად-აზნაურულ ფეოდალურ ფორმების დარღვევა წილად ხვდა უმეტესად ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს. ჩვენში ბურჟუაზიული კლასი კი არ დაუპირდაპირდა ფეოდალურ არისტოკრატიას. არამედ ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი. აქ იმალება ჩვენი ცხოვრების **ერთ-ერთი თავისებურობა.** ეს ელემენტები დაეჯახენ თავად-აზნაურულ წოდებას, ხოლო ბურჟუაზიისა და თავად-

აზნაურობის შორის რადიკალური კონფლიქტისათვის ჩვენში ნიადაგი არ მომწიფებულა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ნაციონალ-დემოკრატიული პარტია ჩვენში არსებითად აერთებდა ამ ორივე კლასის სოციალურ ინტერესებს. ისტორიულ ობიექტიურ პირობების გამო, წვრილ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს დასჭირდათ წოდებრივ ურთიერთობის დარღვევა და ჩვენი ცხოვრების ფორმების დემოკრატიულ შინაარსით ავსება. ამით აიხსნება ჩვენი წვრილ ბურჟუაზიის რადიკალიზმი და მისი აქტივობა. ამითვე აიხსნება ამ კლასის მოძრაობის პროგრესიულობა. ჩვენმა წვრილმა ბურჟუაზიამ ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების **დემოკრატიზაციის საქმე** ასე თუ ისე პირნათლად შეასრულა 1917 წლამდე: იგი ხან პროლეტარიატთან ერთად, ხან მარჯვნივ გადახრით, ხან მარცხნით, — მუდმივი მერყეობით და ქანაობით არღვევდა ჩვენი ცხოვრების ძველ ფორმას და უდიდეს ისტორიულ მისიას ასრულებდა, ამიტომ იყო, რომ ქართველ პროლეტარიატს დასჭირდა მასთან თანამშრომლობა ერთ პარტიულ ჭერ ქვეშ. რასაკვირველია, ამ ისტორიულ მისიის აღსრულებაში პროლეტარიატის არსებობა და მისი რევოლიუციონური მოღვაწეობა გადამჭრელ როლს თამაშობდა.

1917 წლიდან სრულიად ახალი პერიოდი იწყება ჩვენი ხალხისა და საერთოდ მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში. დემოკრატიზმი უკვე მოძველდა, ცხოვრება ახალ ფორმებს ითხოვდა, ხოლო წვრილი ბურჟუაზია კი ძველი ხერხით და საშუალებით ცდილობდა მის მოწესრიგებას; მაგრამ ის, რაც პროგრესიული და წინ წამწევ ფაქტორს წარმოადგენდა განსაზღვრული პერიოდისათვის სრულიად მიუღებელი შეიქმნა მეორე სოციალური პირობებისათვის. ჩვენი ცხოვრების ფორმები ითხოვენ არა დემოკრატიული შინაარსით, არამედ სოციალისტური პრინციპებით ავსებას. წვრილი დემოკრატიის სამოღვაწეო პროგრამა გაკოტრდა, მენშევიზმი დამარცხდა. იგი ლეგალურად და არალეგალურად კონტრ-რევოლიუციის საქმეს იწყობდა და უწყობს ხელს. მენშევიზმს სტოვებს ორი სოციალური ფენა:

1) პროლეტარული, 2) წვრილ-ბურჟუაზიული. პირველი ჩვენს პარტიაში შემოდის. ხოლო მეორე ჩვენს პლატფორმაზე სდგება.

რა გარემოება იწვევს წვრილ-ბურჟუაზიის ჩვენს მხარეზე გადმოსვლას? ფაქტია, რომ ეს ფენა მენშევიკების ბურჟუაზიულ ეკონომიურ პროგრამას უჭერდა მხარს. **ჩვენმა სამეურნეო აღმშენებლობამ, ჩვენმა კულტურულმა და საზოგადოებრივმა დაწინაურებამ სავსებით დაარწმუნა წვრილი ბურჟუაზია, ბურჟუაზიული ეკონომიკის უვარგისობასა და საბჭოთა ეკონომიკის სარგებლიანობაში.** ჩვენი პრაქტიკით, ჩვენი სამეურნეო კულტურულ და საზოგადოებრივი შემოქმედებით დავიპყარით ეს მასა. რამდენადაც მძლავრად ვსცემთ ჩვენს წერაქვს, ვამუშავებთ მანქანებს, წინ ვსწევთ ეკონომიურად ჩვენს ცხოვრებას, შეგვაქვს სწავლა-განათლება ხალხში, ვიბრძვით კულტურულ ფრონტზე — იმდენად ვანთავისუფლებთ წვრილ-ბურჟუაზიულ მასას მენშევიზმის გავლენისაგან.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
ავტორისაგან .	3—4
I ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური იდეალები მე-XIX-ე საუკუნეში	5 — 71
1. საქარ. საერთო სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ვითარება მე-XIX-ე საუკ. . .	7
2. თავად-აზნაურული ინტელიგენცია .	33
3. ქართული ლიბერალიზმი	50
4. ნაროდნიკული მიმდინარეობა	62
5 მარქსისტული მიმდინარეობა ჩვენში .	67
II ქართული მენშევიზმი და მისი სოციალური საფუძვლები	73 — 124
1. ინტერესი საკითხისადმი	75
2. მარქს-ენგელსი და ლენინი ოპორტუნიზმის შესახებ	79
3. ქართული მენშევიზმის სოციალური ბაზა	84
4. ქართული მენშევიზმის იდეოლოგიის სალაროდან	98
5. მენშევიკური მოღვაწეობის უმთავრესი პერიოდები	109
6. დასკვნისათვის	122